ლელო

№038 (12 108)

16 თებერვალი პარასკევი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ყაველაშვილმა კარიერა დაასრულა

თბილისის "დინამო", ვლადიკავკაზის "ალანია", "მანჩესტერ სიტი", "გრასჰოპერსი", "ციურიხი", "ლუცერნი", "სიონი", "არაუ", "ბაზელი" - ეს ის გუნდებია, რომლებშიც 1988 წლის შემდეგ უთამაშია მიხეილ ყაველაშვილს.

დეკემბერში ყაველაშვილმა "ბაზელთან" კონტრაქტი გაწყვიტა და მიუხედავად იმისა, რომ ახალი წინადადებებით მიმართეს, გადაწყვიტა:

- ფეხბურთელობა დავამთავრე!

ეს სიტყვები მიხეილმა საკმაოდ დიდი ტკივილით გვითხრა. ჩვეული იუმორით კი გააფორმა, მაგრამ სევდაც შეეტყო.

3





## მიხეილ ყაველაშვილი

დაიბადა: 22. 07.1971 სიმაღლე: 182 სმ. წონა: 76 კგ.

1988: დინამო თბ. (სსრკ) 1 თ.
1989: დინამო თბ. (სსრკ) 1 თ.
1990: იბერია (საქართველო) 13 თ. 5 გ.
1991: იბერია (საქ.) 19 თ. 12 გ.
1991-92: დინამო (საქ.) 37 თ. 21 გ.
1992-93: დინამო (საქ) 16 თ. 9 გ.
1993-94: დინამო (საქ) 28 თ. 19 გ.
1994-95: დინამო (საქ) 17 თ. 14 გ.
1995: სპარტაკ-ალანია (რუს) 24 თ. 12 გ.
1995-96: მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 4 თ. 1 გ.
1996-97: მანჩესტერ სიტი (ინგლისი I დივ.) 24 თ. 2 გ.
1997-98: გრასჰოპერსი (შვეიცარია) 28 თ. 9 გ.
1998-99: გრასჰოპერსი (შვეიცარია) 31 თ. 11 გ.
1999-2000: ციურიხი (შვეიცარია) 34 თ. 7 გ.
2000-01: ციურიხი (შვეიცარია) 33 თ. 13 გ.
2001-02: ციურიხი (შვეიცარია) 27 თ. 12 გ.
2002-03: ლუცერნი (შვეიცარია) 25 თ. 5 გ.
2003-04: სიონი (შვეიცარია, B) 10 თ. 6 გ.
2004: ალანია (რუსეთი) 5 თ.
2004-05: სიონი (შვეიცარია B) 0 თ.
2005-06: ბაზელი (შვეიცარია) 10 თ 4 გ.
2006-07: ბაზელი (შვეიცარია) 4 თ.

საქართველოს ნაკრები
46 თამაში. 9 გოლი.
დებიუტი: 1991 წლის 2 ივლისი.
მოლდოვა-საქართველო 2:4 (1 გოლი)



## ჯერ ნუ ვიტყვით, STOP MOELLER

4




## ფაჩულიამ კლიპერსი დაამარცხა

15 ქულა 12 მოხსნა, 9 მოხსნა მეოთხე მეოთხედში, დაფარება ბოლო წამზე

13

ნუგზარ სუარიძის ფოტო



ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული ფინალი. კოტე კუპატაძე (მარჯვნივ) ლევან ღვამიჩავასთან დამარცხდა

## ერთი-ორი სენსაცია და სკანდალი

კრივი. საქართველოს ჩემპიონები:

| | |
|---|---|
| **48 კგ** | **69 კგ** |
| ზვიად ხალური (თბილისი) | კახა ჭვანია (ფოთი) |
| **51 კგ** | **75 კგ** |
| მერაბ თურქაძე (ქუთაისი) | რევაზ ქარელიშვილი (ვარიანი) |
| **54 კგ** | **81 კგ** |
| ნიკოლოზ იზორია (ფოთი) | თორნიკე ივლაშვილი (გარდაბანი) |
| **57 კგ** | **91 კგ** |
| კობა ფხაკაძე (ქუთაისი) | იაგო კილაძე (საჩხერე) |
| **60 კგ** | **+ 91 კგ** |
| ვასილ ყაზიშვილი (გორი) | ბექა ლობჟანიძე (გორი) |
| **64 კგ** | |
| ლევან ღვამიჩავა (ფოთი) | |

11

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ევრო 2008

# შოტლანდიაში დანიელები გვიმსაჯებენ, ფარერებთან ყაზახები

24 მარტს, შოტლანდია-საქართველოს მატჩს დანიელი არბიტრი **ნიკოლაი ვოლკარცი** იმსაჯებს. ასისტენტები იქნებიან **ტორბენ იენსენი** და **ბო აბილდგაარდი**, მეოთხე მსაჯი კი **თომას ვეილგაარდი**. რაც შეეხება ფარერებთან 28 მარტს გასამართ შეხვედრას, მას ყაზახი არბიტრები განსჯიან. მთავარ მსაჯ **პაველ სალიიას რუსლან დუზმამბეტოვი** და **ოლეგ სოკოლოვი** დაეხმარებიან, მეოთხე არბიტრად **აკმალხან ხოლმატოვია** დანიშნული.

ახალგაზრდული ნაკრები. მეტოქე

# რუსებს კოლივანოვი გაწვრთნის

წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **იგორ კოლივანოვი** დღე-დღეზე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება. მის კანდიდატურას მხარი ეროვნული გუნდის ჰოლანდიელმა თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** დაუჭირა. კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე გასვლის გარდა, კოლივანოვს ყველა სხვა შედეგი წარუმატებლობად ჩაეთვლება.

შეგახსენებთ, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები რუსებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მოხვდა. უკვე გარკვეულია, რომ ჩრდილოელ მეზობლებს 20 ნოემბერს ვმასპინძლობთ, სტუმრად კი მომავალი წლის 5 სექტემბერს ვეთამაშებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**



მალხაზ ასათიანი

ლეგიონერები

# ასათიანი როდის დაგვიბრუნდება?

მოსკოვის "ლოკომოტივის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ბიშოვეცმა** ერთ-ერთ ინტერვიუში თავისი გუნდის მზადებაზე დაწვრილებით ისაუბრა. მან განაცხადა, რომ დაცვის ხაზში გარკვეული პრობლემები აქვს. და იქვე იმის იმედი გამოთქვა, რომ **მალხაზ ასათიანის** დაბრუნების შემდეგ, ეს ხარვეზი აუცილებლად გამოსწორდება.

ზოგადად კი, ბიშოვეცი "ლოკომოტივის" სადღეისო სათამაშო ფორმით მთლად უკმაყოფილო არაა. მისი აზრით, არსებული კონტინგენტით უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა სავსებით შესაძლებელია. კლუბის ხელმძღვანელობა მიზნად რუსეთის ჩემპიონობისა და ევროსარბიელზე წარმატებით გამოსვლას ისახავს.

აქვე შეგახსენებთ, რომ მალხაზის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. გადაწყვეტილია, რომ იგი "ლოკომოტივს" მესამე მოსამზადებელ შეკრებაზე გაჰყვება. რკინიგზელები ჩემპიონატისთვის ჰოლანდიაში მოემზადებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე წრის წინ

დინამო

# სპასოევიჩი და შაშიაშვილი უპრინთან

სამი დღის წინათ იყო, თბილისის "დინამომ" მედიას ახალწვეულები რომ წარუდგინა, თუმცა მაშინ გადაწყვეტილად არაფერი თქმულა 19 წლის ჩერნოგორიელ ფორვარდ **ილია სპასოევიჩისა** და მცველ **გიორგი შაშიაშვილის** თაობაზე. ბუბა ტყავაძემ მხოლოდ იმის თქმა იკმარა, სურვილი გვაქვს სპასოევიჩმა ჩვენთან ითამაშოსო. ასეთი განცხადების მერე სავარაუდო იყო, რომ ჩფორვარდი "დინამოში" გააგრძელებდა კარიერას. ასეც მოხდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სპასოევიჩის თბილისში დარჩენა გადაწყვეტილი ამბავია. "დინამო" ჩერნოგორიიდან ახლა მის სატრანსფერო ფურცელს ელის და მიღების მერე ფორვარდს კლუბის განაცხადში შეიყვანს.

**ფეიქრიშვილის, კრშკოსა და დიღმელაშვილის** მსგავსად სპასოევიჩსაც სავარაუდოდ, 3-წლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.

რაც შეეხება გიორგი შაშიაშვილს, მას სამი ვარიანტი ჰქონდა. თბილისის "დინამოს" გარდა, ოდესის "ჩერნომორეცის" თავკაცთა მტკიცებით თითოთითო რუსული და უკრაინული კლუბის ვარიანტზეც იყო საუბარი. თუმცა, როგორც ირკვევა, დანარჩენი ორი ვარიანტი ამ ეტაპზე გამოირიცხა და შაშიაშვილი მიმდინარე სეზონის ბოლომდე "დინამოში" ითამაშებს. ოდესიდან დაბრუნების შემდეგ, ის ჩვეულებრივ, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და, სავარაუდოდ, 18 თებერვალს თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში, "ამერის" წინააღმდეგაც ითამაშებს.

დაბოლოს, ჯერაც გაურკვეველია **ირაკლი სირბილაძის** ბედი. ფორვარდი კლუბში ვარჯიშობს, მაგრამ მისი დატოვება-არდატოვება მწვრთნელს დღემდე არ გადაუწყვეტია.



ილია სპასოევიჩი

**დავით ცაბაძე**

# კალაძე სამეულს უმიზნებს

საბოლოოდ გამოჯანმრთელებულმა **კახა კალაძემ** გუშინ პრესკონფერენცია გამართა, სადაც თავის თანაკლუბელების, "მილანის" მდგომარეობას და პერსპექტივის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით გუნდის მიზანი - ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა, უცვლელი რჩება. *"მართალია, მიმდინარე სეზონს არასტაბილურად ვატარებთ, მაგრამ პროგრამას მაინც შევასრულებთ. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი ჩემიონთა ლიგა "მილანის" გარეშე არ ჩაივლის, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ვფიქრობ, რომ იტალიის ჩემპიონატს მესამე საფეხურზე დავასრულებთ"*, - ამბობს კალაძე.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა იქვე დასძინა, რომ შიდა ასპარეზზე არსებული პრობლემები "მილანს" ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ხელს ვერ შეუშლის. კახა თავის გუნდს უპრესტიჟულესი ევროპული გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს და სულ მცირე ფინალში თამაშს უწინასწარმეტყველებს.

*"იმ თავდამსხმელებით, რომლებიც "მილანს" ჰყავს, შეუძლებელია, არ იფიქრო დიდ წარმატებებზე. ნახევარდაცვა და დაცვაც ძალიან ძლიერი გვყავს. მგონი, ეს საკმარისი არგუმენტია საიმისოდ, რომ დიდ მიზნებზე ვიფიქროთ"*, - განაცხადა ქართველმა მცველმა.



კახა კალაძე

აქვე გეტყვით სერია A-ს მომავალ ტურში, "სიენის" წინააღმდეგ, ის, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. **ნესტას** ტრავმის მერე კალაძის კარგ თამაშზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ სერგი ორბელაძესთან

# ჯერ ფორმას აღვიდგენ, მერე კი...

**მარიუპოლის "ილიჩევეცში" სეზონის დასაწყისში განათხოვრებული სერგი ორბელაძე თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა. თბილისური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ორბელაძეზე განაცხადა, გვიან შემოგვიერთდა, ტრავმა ჰქონდა და ფორმაშიც არააო. ასეთი შეფასების მერე ძნელია ძირითადში ადგილის დამკვიდრება და ეს თავად ორბელაძემაც იცის, თუმცა არც ყურების ჩამოყრას აპირებს.**

- მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი მარიულოპის "ილიჩევეცში" გავატარე. საწყის სამ მატჩში ვითამაშე, მერე ტრავმა მივიღე და როცა გამოვჯანმრთელდი, აღარ მათამაშეს. ერთი ეგ იყო, "ილიჩევეცის" დუბლებში პირველ ტაიმს ვთამაშობდი ხოლმე, მთავარი გუნდის 18 კაციან განაცხადშიც კი ვიყავი, მაგრამ თამაში არ მიწევდა.

**- იქნებ მწვრთნელებს სამართლიანი პრეტენზია ჰქონდათ შენთან...**

- მწვრთნელებს ფეხბურთელთა მისამართით ხშირად აქვთ პრეტენზიები. თუკი ამას მართლაც იმსახურებ, მაშინ რა გეთქმის. ჩემთან დაკავშირებით, მართლაც სხვაგვარად იყო საქმე. საწყისი სამივე თამაში მოვიგეთ, რომელშიც ვითამაშე, მერე ტრავმა მივიღე, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ შანსი აღარ მომეცა ძირითად გუნდში ადგილი დამებრუნებინა. არადა, სეზონის დასაწისში ჩემს გამოსყიდვასა და კონტრაქტის გაგრძელებაზეც იყო საუბარი, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა.

**- რა ტრავმა გქონდა?**

- მენისკის მყესები დამიზიანდა. იოლად გადავრჩი, რომ ოპერაცია არ დამჭირდა, მაგრამ ტრავმამ ბევრი დამაკარგვინა.

**- "დინამოსთან" რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გაკავშირებს?**

- კიდევ წლინახევრით "დინამოს" ვეკუთვნი.

**- დუშან უჰრინმა თქვა, ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა და ფორმაში ჯერ კიდევ არააო. მასთან თუ გქონდა საუბარი?**

- უჰრინი მართალია, ფორმაში ნამდვილად არ ვარ.

**- რას აპირებ?**

- სეზონის ბოლომდე, "დინამო" რომელიმე კლუბში გამანათხოვრებს. დუბლებში თამაშს ან მთავარი გუნდის სათადარიგოთა სკამზე ჯდომას, ისევ ეს მირჩევნია. მოვემზადები, სათამაშო პრაქტიკა მექნება და მერე უკვე აღარ გამიჭირდება.

**- ჩვენი ინფორმაციით, "ბათუმში" "კახეთში", ან "დილაში" განათხოვრებაზეა საუბარი...**

-კონკრეტულად კლუბს მართლა ვერ გეტყვით. ყველაფერი ორ-სამ დღეში გადაწყდება. მართლაც ბევრი გამიცდა. ახლა მთავარია ვითამაშო და ფორმა აღვიდგინო. მერე კი, შესაძლოა, ისევ უცხოეთში წავიდე. ვნახოთ, ამას მომავალი გვაჩვენებს.

**დავით ცაბაძე**



სერგი ორბელაძე

# ფედერაცია 17 წლისაა

17 წლის წინ, 1990 წლის 15 თებერვალს, დამფუძნებელი ყრილობის შედეგად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა, რომლის პრეზიდენტადაც დელეგატებმა **ნოდარ ახალკაცი** აირჩიეს. ამ სხდომის შემდეგ, ქართულმა კლუბებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. იმავე წლის 30 მარტს საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. საქართველო პირველი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რომელმაც სსრკ-ის საფეხბურთო კავშირი დატოვა.

1992 წლის 25 თებერვალს ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დროებით წევრად მიიღო, ხოლო იმავე წლის 3 ივლისს, ციურიხში გამართულ კონგრესზე თავის სრულუფლებიან წევრადაც აღიარა.

უეფამ სფფ დროებით წევრად 1992 წლის მაისში აღიარა, თავის რიგებში კი 1993 წლის 17 ივნისს მიიღო.

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები 1992 წლიდან ასპარეზობენ, ქართული კლუბები კი ევროტურნირებზე 1993-94 წლების სეზონიდან მონაწილეობენ.

1998 წელს, უფროსი ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ, ფედერაციის პრეზიდენტად **მერაბ ჟორდანია** აირჩიეს, 2005 წლიდან კი ქართულ ფეხბურთს **ნოდარ ახალკაცი-უმცროსი** ხელმძღვანელობს.

**სფფ-ის პრესცენტრი**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტ ჯორჯია

## კიდევ ერთი ფრე

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" გუშინ ბოლო სპარინგმატჩი გამართა. მისი მეტოქე ბელარუსული "ნაფტანი" იყო. გარდამავალი უპირატესობით წარმართული, საკმაოდ ხისტი და დაძაბული შეხვედრა უგოლო ფრით დასრულდა. **ნესტორ მუმლაძემ** მოწინააღმდეგეს ასეთი შემადგენლობა დაუპირისპირა:

**ბედიაშვილი (46. ღურბელეიშვილი), ადამაძე, ლომაია (70. კაიშაური), პ. დათუნაიშვილი (44. ბეჭვაია), ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი (46. კიკნაძე), რაზმაძე (46. იმერლიშვილი), კვალინიძე (70. ლიპარტია), სახოკია (50. კლიმიაშვილი), ბერიაშვილი (46. ლუჭაშვილი), მელქაძე.**

როგორც ხედავთ, მატჩის მეორე ნახევარში თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდებს მიეცათ. **თენგიზ კობიაშვილსა და ალექსანდრე კვახაძეს** მიკროტრავმები აქვთ, რის გამოც მწვრთნელებმა მათი მოედანზე გაყვანა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

"ვიტ ჯორჯია" თბილისში ხვალ ბრუნდება. შეგახსენებთ, ვეტერინარები საქართველოს თასის გათამაშებას ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშნენ და წლის პირველ ოფიციალურ მატჩს ჩემპიონატის მეორე წრის პირველ ტურში, 23 მარტს, ქუთაისის "ტორპედოსთან" ჩაატარებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბათუმი

## ნერგაძეც და თედორაძეც

ზეგ, საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში "ბათუმი" ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრით აჭარელთა სახეცვლილი გუნდი სეზონს განაახლებს. როგორც შევიტყვეთ, მეკარე **გიორგი სომხიშვილის** დაბრუნებისა და "ოლიმპის" მცველ **ლერი ხოხონიშვილის** გადაბირების შემდეგ, ზღვისპირელთა გუნდი კიდევ გაძლიერდა. **ამირან გოგიტიძის** გუნდს მცველი **ბეგლარ თედორაძე** დაემატა. ამას გარდა, თბილისის "დინამოსა" და ბათუმელებს შორის, ნახევარმცველ **გიორგი ნერგაძის** თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებმა, შედეგიანად ჩაიარა და ფეხბურთელმა აჭარას მიაშურა. ინფორმაცია "ბათუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ამირან გოგიტიძემ** დაგვიდასტურა.

*"თბილისის "დინამოსთან" მიღწეული შეთანხმების მიხედვით გიორგი ნერგაძე ამ სეზონს ჩვენს გუნდში ჩაამთავრებს. ნერგაძე კარგი ფეხბურთელია და მჯერა, ჩვენს გუნდსაც დიდ სარგებელს მოუტანს. გარდა ბეგლარ თედორაძეც დაგვემატა.*

*ვფიქრობ, ეს უკვე საკმარისია. სეზონის მეორე ნახევარში ამ კონტინგენტით ვიასპარეზებთ".*

**დავით ცაბაძე**

ჩიხურა

## ოთხეული დინამოდან

ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილმა საჩხერელებმა ახალი ფეხბურთელების დამატება სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრეღა შეძლეს. **სტურუა, დვალი, ქუცურუა** და **ჩარგეიშვილი** "ჩიხურას" ღირსებას სეზონის ბოლომდე დაიცავენ. საჩხერულ კლუბში ისინი იჯარით ითამაშებენ.

კლუბის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი **ხვიჩა ქასრაშვილი** შემადგენლობის გასაძლიერებლად კვლავ მუშაობენ. დღეისათვის კიდევ ორი-სამი ახალწვეულის ვინაობა უნდა გაირკვეს.

ქასრაშვილი პრიორიტეტულად დაცვისა და ნახევარდაცვის გაძლიერებას მიიჩნევს. ამ რგოლებში არსებულ პრობლემებს თავი გუშინ, საქართველოს სამოყვარულო ნაკრებთან ჩატარებულ საკონტროლო მატჩში (2:2) უჩენია. "ჩიხურა" შეხვედრებისთვის თბილისში ემზადება.

*"ბოლო დღეებში განვითარებულმა ამბებმა ცოტა დაგვაიმედა. კარგი ფეხბურთელები დავიმატეთ და თუ კიდევ უფრო გავძლიერდით, წესით, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაგვიჭირდეს. ბუნებრივია, ძალიან ცუდია, რომ ამდენი ხანი სრულ გაურკვევლობაში ვიყავით და სამზადისი ასე გვიან დავიწყეთ, მაგრამ სხვა გზა არ დაგვრჩა. ერთი ეგაა, რომ "ჩიხურა 2"-ის მოთამაშეები კარგა ხანია, რაც ვარჯიშობენ, ახალწვეულები კი თავთავიანთ გუნდებში მოემზადნენ",* - ამბობს ქასრაშვილი.



ჯაბა დვალი

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დნეპრმა დაადასტურა: ზესტაფონში მივდივართ

გუშინ დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩვენთვის საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა. საიტის ჟურნალისტი "დნეპრის" გენერალურ დირექტორ **ანდრეი სტოცენკოს** დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპის შესახებ დაეკითხა. სწორედ აქ დაადასტურა უკრაინული კლუბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ის ინფორმაცია, რომელიც ორიოდე დღის წინ "ლელოში" გამოვაქვეყნეთ.

*"16 თებერვალს, ანთალიაში დასკვნით შეკრებას დავიწყებთ. 12 დღის განმავლობაში სამ საკონტროლო მატჩს გავმართავთ. ამის შემდეგ მცირე ხნით ვიზიტი საქართველოში დავგეგმეთ. იქ კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას უმაღლესი ლიგის "ზესტაფონთან" გავმართავთ. ამის მერე კი დნეპროპეტროვსკში დავბრუნდებით",*- განაცხადა სტოცენკომ.

როგორც ჩვენი წყაროებიდან შევიტყვეთ, უკრაინელები საქართველოში ჩარტერულ რეისით ჩამოვლენ. "დნეპრი" სხვა საკონტროლო მატჩს საქართველოში არ გეგმავს.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი გვერდიდან

*"შვეიცარიაში რამდენიმე კლუბი კი დაინტერესდა, მაგრამ სერიოზული წინადადება არც ერთი არ აღმოჩნდა. მეორეს მხრივ, ორი წლის წინანდელი ტრავმა დღემდე საბოლოოდ ვერ მოვირჩინე და ფეხი ისევ მტკიოდა. კარიერის გაგრძელებით ჯანმრთელობას რისკის ქვეშ ვაყენებდი და არ იყო გამორიცხული, სამუდამოდ ინვალიდად დავრჩენილიყავი. ფეხბურთიდან წასვლა ამან გადამაწყვეტინა",* - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში ყაველაშვილმა.

ყაველაშვილის 16-წლიანი კარიერა დასრულდა. ახლა მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მოთამაშის კარიერა კი დაამთავრა, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლას არაფრის დიდებით არ აპირებს. ის დარჩება, მაგრამ რა როლში, ამაზე ზუსტი პასუხი ჯერ თვითონაც არ აქვს.

*"ჯერ არ გადამიწყვეტია, რას გავაკეთებ. ბოლო დროს ბევრი საფეხბურთო სკოლა გაიხსნა, მაგრამ ვერ ვიტყვი, იმავეს გავაკეთებ-მეთქი. გავა დრო და არც ამის გაკეთებაა გამორიცხული. ფიფაში საკმაოდ კარგი კავშირები მაქვს. მათ, ჯერ კიდევ შარშან, საქართველოში მოთამაშეთა პროფკავშირების ჩამოყალიბება შემომთავაზეს. ესეც კარგად დაფიქრებას საჭიროებს. ბევრი იდეა მაქვს და რომელ გზას ავირჩევ, ჯერ არ ვიცი".*

სანამ სამომავლო არჩევანს გააკეთებს, მანამდე ყაველაშვილი სამწვრთნელო პროფესიას ეუფლება.

*"შვეიცარიაში მწვრთნელთა ორი სკოლაა. ერთ-ერთი მათგანი ლუგანოშია, სადაც სწავლა დავიწყე. ორკვირიანი სემინარები გავიარე და "ც" კატეგორიის სერთიფიკატი უკვე მივიღე. მეორე ეტაპზე, ანუ ორი წლის შემდეგ, "ბ" კატეგორიის ლიცენზიის მიღებას ვაპირებ. სწავლის გაგრძელება მინდა, თუმცა ჯერ მაინც მიჭირს იმის თქმა, რომ აუცილებლად მწვრთნელი გავხდები".*

მას არ დაუმალავს, რომ ორი წლის წინ ჩინოვნიკურ სამსახურს სთავაზობდნენ.

*"თბილისის "დინამოს" მაშინდელი მმართველი დირექტორი დათო პეტრიაშვილი დამიკავშირდა და გუნდში მუშაობა შემომთავაზა. საინტერესო წინადადება იყო, მაგრამ ეს უფრო დალაპარაკების მცდელობა იყო და არა მოლაპარაკება. მერე თვითონ პეტრიაშვილსაც წყალი შეუყენეს და ჩემს დანიშვნაზეც საუბარი შეწყდა. ჯერჯერობით შვეიცარიაში ვარ და როდემდე დავრჩები, ესეც არ ვიცი. ის კი ნაღდად შემიძლია გითხრათ, რომ ფეხბურთიდან არ წავალ".*

ვეტერანი

# ყაველაშვილმა კარიერა დასრულა


მიხეილ ყაველაშვილი

მაშ ასე: საქართველოს ნაკრების პირველი თაობის თითქმის ყველა მოთამაშემ კარიერა დაასრულა. მხოლოდ **შოთა არველაძე** აგრძელებს გამოსვლას. **ცხადაძემ, შელიამ,** ყაველაშვილმა, **ნემსაძემ, ჯამარაულმა, ზოიძემ, დევაძემ, ტოგონიძემ, არჩილ არველაძემ, რეზო არველაძემ** ფეხბურთელობას თავი დაანებეს. ახლახან ეს სია ნაადრევად შეავსო **გოგა გახოკიძემ**.

მათ თუ რამეს მიაღწიეს, ეს მხოლოდ კლუბებში. საქართველოს ნაკრებში, ყველასაგან მიტოვებულ გუნდში კი ღირებული ტიტული ვერ მოიპოვეს. თუმცა რაც შეეძლოთ, გულით აკეთეს და, სხვათა შორის, უფულოდ. მათთვის ეს ტრადიცია იყო. ნაკრებში მოგებისთვის პრემიები მერე დაანესეს. ასეთ დროს, წესითა და რიგით, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, მოთამაშეებს გამოსამშვიდობებელ შეხვედრებს უწყობენ და ამით მადლიერებას გამოხატავენ.

ვფიქრობთ, ამ ბიჭებსაც ეკუთვნით გამოსამშვიდობებელი მატჩი. დღეს თუ სხვადასხვა ქვეყანაში ქართველებს კიდევ იწვევენ, მათი დამსახურებაცაა.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge


www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მოსაზრება

# ჯერ ნუ იტყვით: STOP-მიოლერ!



**ჯერ, აუცილებელი შენიშვნა: ამ წერილის პირველადი ვარიანტი ჟურნალ "ოლიმპიელის" დეკემბრის გამოცემაში დაიბეჭდა. დღევანდელმა ვარიანტმა კი, დროის ფაქტორიდან გამომდინარე, გარკვეული კორექტირება განიცადა, თუმცა არსი უცვლელი დარჩა...**

**ახლა კი საქმეზე. ცოტა შორიდან დავიწყებ. იტალიასთან მატჩის მეორე დღეს, სახლიდან გამოსულს, ნაცნობები შემომხვდნენ. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. ცხადია, მთავარ თემად "სკუადრა აძურასთან" წინა დღით ჩატარებული მატჩი იქცა. ერთმა მითხრა - რომ წერთ ამ გაზეთებში, რა კარგია ეს ტოპმიოლერიო, ესაო და ისაო, მაინტერესებს, რა მოგწონთ მაგ მწვრთნელის? ფარერებს ხომ დარსაძეც მოუგებდაო.**

**- მოუგებდა რო? - შევაგებე კონტრკითხვა.**

**- აბა, რას იზამდა?! ფარერებს ყველა უგებს და რა გახადეთ ეგ ტოპმიოლერი, რა ქნა ამისთანა? - არ ცხრებოდა ოპონენტი, რომელსაც გვერდით მდგომები ღიმილით უკრავდნენ კვერს...**

**რომ იტყვიან, კედელთან მიმაყენეს. ნახევრად ხუმრობით ვუთხარი - დარსაძის ნაკრები ლამის ყველა მატჩში ექვს-ექვს გოლს უშვებდა, კლაუსის გუნდმა კი იქით გაიტანა ექვსი ბურთი-მეთქი.**

**- აბა, გაიხსენეთ, დარსაძემ თბილისში ყაზახეთს ვერ მოუგო და რა გასაკვირი იქნებოდა, ფარერებისთვისაც რომ ვერაფერი ექნა? - უკვე შეტევაზე გადავედი...**

**კიდევ ვიკამათეთ, მე მგონი, რაღაცაში დავაჯერე, თუმცა ზოგიერთ საკითხში დავეთანხმე კიდეც, მაგრამ აქ აღარ გავაგრძელებ, მკითხველი მიხვდებოდა, რაშიც არის საქმე...**

საქართველოში უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანას ყოველთვის ჰყავდა და დღესაც ჰყავს მოწინააღმდეგეები. არგუმენტი დაახლოებით ამგვარია: რა გვჭირს ქართველებს საიმისო, რომ ვილაც გადამთიელი არ ჩამოვიყვანოთ და იმან არ გვასწავლოს ჭკუა, ბოლოს და ბოლოს, ამხელა ტრადიციების საფეხბურთო ქვეყანა ვართო. დიახაც, ქართული საფეხბურთო ტრადიციები ჩემთვისაც ფრიად პატივსაცემი ფენომენია, მაგრამ საკითხავია - რა სარგებლის მომტანია ისტორიის ნაჭუჭში ჩაკეტვა? რაღა შორს მივდივართ: ამ ცოტა ხნის წინ, ფეხბურთის სამშობლოში მთავარ მწვრთნელად შვედი **სვენ გორან ერიქსონი** მუშაობდა. ნუ შევეჯიბრებით ინგლისელებს საკუთარი ფეხბურთისადმი სიყვარულში, მით უმეტეს ის ხალხი, ვინც წლების მანძილზე აჩანაგებდა ქართულ ფეხბურთს, პირდაპირ თუ ირიბად, მეტად თუ ნაკლებად...

კიდევ ერთი არგუმენტი კი პრაგმატულია და ეს, შეიძლება, იყოს კიდეც დასაფიქრებელი (მხოლოდ დასაფიქრებელი, და არა უპირობოდ გასაზიარებელი). ისმის ხოლმე კითხვა - ღირს კი ამხელა ფულის გადახდა იმ პროექტში, რომელიც წარმატების გარანტიას არ იძლევა. ანუ მარტივად, ობივატელი გულშემატკივრის პოზიციიდან რომ ვთქვათ: რაში ვაძლევთ დიდ ხელფასს **კლაუს ტოპმიოლერს**? ან სადაა გამსვლელი ჩვენი ნაკრები?

აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ გაბერილ ხელფასზე და არა რაღაც ილუზორულ გარანტიებზე. სად გინახავთ მწვრთნელი, რომელიც ოდესმე, რამეში, ასპროცენტიან გარანტიას იძლეოდეს. ისევ იმ შვედის მაგალითს მივუბრუნდები. რა თქმა უნდა, ტოპმიოლერის ხელფასი იმასთან შედარებით სასაცილოა: ერიქსონი ყოველწლიურად 5 მილიონ გირვანქას იღებდა. გამოდის, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ბატონ სვენ-გორანს ექვს წელიწადში 30 (!) მილიონი გირვანქა მიუთვალა (კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის გამო, ხელფასს ახლაც უხდის). და რა მოიგო ამით? არც არაფერი, პირიქით - ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებმა მხოლოდ მეოთხედფინალს მიაღწია, ამავე ეტაპიდან გავარდა 2004 წლის ევროპის პირველობიდანაც. ასეა, რისკია ეს ყველაფერი და ამაზე ხანდახან უნდა წახვიდე კიდეც. რა, ერიქსონმა მისცა გარანტია ინგლისური ფეხბურთის მამებს, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა? რა თქმა უნდა, არა.

შემდეგი არგუმენტი, რომელიც ტოპმიოლერის დაქირავების საწინააღმდეგოდ მოჰყავთ: არ სჯობდა, სახელმწიფოს მიერ მწვრთნელისთვის გამოყოფილი ფული ბავშვთა ფეხბურთისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩაგვედო? ვერაფერს იტყვი, უაღრესად კეთილშობილური იდეაა. მაგრამ ჯერ ერთი, ამისთვის ფიფასა და უეფას პროგრამებიც არსებობს, და მეორეც: გავითვალისწინოთ ერთი რამ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ისევე, როგორც გულშემატკივარს) მყისიერი შედეგი სჭირდება, რადგან სწორედ ქვეყნის მთავარი გუნდია მისი მუშაობის პირველსაზომი. ვიდრე ბავშვთა ფეხბურთში დაბანდებული ეს ფული (ანუ, ტოპმიოლერისა და მისი შტაბის ორის წლის ანაზღაურება) შედეგს მოიტანს, ქართული ფეხბურთის სახლი კიდევ ბევრ პრეზიდენტს გამოიცვლის. ბავშვთა ფეხბურთი და ნაკრები პირამიდის სხვადასხვა წვერია მხოლოდ სქემატურად, თორემ განვითარების პროცესი პარალელური უნდა იყოს და ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები მამუკა ჩიხლაძეს, ჩვენი გაზეთის რედაქტორს. მხოლოდ ნაკრების წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს ბუმი ბავშვთა ფეხბურთში. ესეც აქსიომა მგონია.

სანაკრებო ფეხბურთი სპეციფიკურია, ამიტომ, მისი შველის რეცეპტი სწრაფ ინექციებშია. კლუბის მწვრთნელს კონტინგენტთან მუშაობა დღენიადაგ უწევს, შესაბამისად, მას შედეგს გაცილებით სწრაფად სთხოვენ. არა, შედეგს მალე სთხოვენ ნაკრებშიც, რადგან იქ გამზადებული და ნავარჯიშები ფეხბურთელები უნდა ათამაშო, მაგრამ მხედველობაში მივიღოთ ორი ნიუანსი: ეროვნული გუნდის დამრიგებელი, თითოეული მატჩის წინ, ფეხბურთელებთან მხოლოდ ორ-სამ დღეს ატარებს. და მეორეც: გავიხსენოთ, რა მდგომარეობაში იყო ტოპმიოლერი საქართველოში მუშაობის დაწყების დღიდან. ჯერ არ ყოფილა თამაში, სადაც მას ყველა სასურველი მოთამაშის ერთად გამოყენება შეეძლო. აქედან გამომდინარე, ნაკრებს, ესოდენ მძიმე პირობებსა და მცირე დროში, სერიოზული პროგრესის მიღწევა არ შეეძლო. თუმცა საქართველოს ეროვნული გუნდის თამაშში გარკვეული წინსვლა უკვე შეინიშნება, თუნდაც სათამაშო დისციპლინისა და ორგანიზაციის მხრივ (ურუგვაისა და თურქეთის მაგალითი). ამას აღიარებენ სპეციალისტებიც, მაგრამ ეს ჯერ არ არის ის დონე, რასაც გვჭირდება. და რაკი ასეა, მაშინ ტოპმიოლერს უნდა მიეცეს სრული კარტ-ბლანში, რათა მინიმუმ ამ კონტრაქტის პირობებში უფრო მეტი შეძლოს.

ბუნებრივია, ის, რომ წამყვანი მოთამაშეების შესაცვლელად კლაუსს საკმარისი რესურსი არ გააჩნია, მისი ბრალი არ გახლავთ. საქართველოს ჩემპიონატის დონეა ძალიან დაბალი, აქ მოთამაშე ფეხბურთელთა უმრავლესობის მომზადების ხარისხი და კლასი, რბილად რომ ვთქვათ, გაცილებით მეტის სურვილს ტოვებს. ამიტომ, ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ, პირველ რიგში, ჩემპიონატის გაძლიერებას უნდა შეუწყონ ხელი. აქ სწრაფი ქირურგიული ჩარევაცაა საჭირო...

ვეთანხმები იმ არგუმენტს, რომ ტოპმიოლერმა გაცილებით მეტი დრო უნდა დაყოს საქართველოში, შესაბამისად კონტრაქტის იმ პირობებისა, რომელსაც თავად მოაწერა ხელი. მან პირობაც დადო, რომ 2007 წლიდან ამ მინუსს გამოასწორებს და ვნახოთ, იმედია, ასეც იქნება. ამ დონის ჩემპიონატშიც შეიძლება ერთი-ორი მოთამაშის ამორჩევა. კიდევ ვიმეორებთ, ეს არ არის საჭირო სტანდარტი, მაგრამ ამ ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახება, სანაკრებო კლიმატთან შეგუება და მათთვის ტოპმიოლერისეული დატვირთვების მიცემა აუცილებელია.

ამავე დროს, ძალიან ცოტაა იმ მატჩების რაოდენობა, რომელსაც ტოპმიოლერი საქართველოში ყოფნისას დაესწრო. იყო შემთხვევები, როცა ის არ უნახავთ ლიდერთა შეხვედრებზეც კი, რაც ნამდვილად არ არის ნორმალური მოვლენა და გერმანელის ოპონენტებს ამ პუნქტში ორივე ხელით ვეთანხმები. ამას გარდა, ტოპის კონტრაქტში ჩადებულია ქართველი მწვრთნელებისთვის პერიოდული სემინარების ჩატარების მუხლიც, თუმცა მსგავსი შეხვედრა მხოლოდ ნოემბერში ჩატარდა. კარგია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა პრესაში გაჟღერებული იდეა, მეორე ნაკრების შექმნის აუცილებლობაზე, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ეს საქმე ჯერჯერობით ადგილიდან ვერ იძვრის..

ახლა კი ჩამოვთვლი იმ მთავარ პუნქტებს, რაც, ჩემი აზრით, უდავო უპირატესობას აძლევს საქართველოში უცხოელი მწვრთნელის მუშაობის იდეას. ისე, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ტოპი **ალენ ჟირესის** გაშვებისთანავე ჩამოეყვანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 6 თვეს არ დავკარგავდით...

ტოპმიოლერმა საქმით დაამტკიცა, რომ მაღალი რანგის მწვრთნელია. მისი პლუსებია ტაქტიკასტრატეგიისა და საერთოდ, სპორტსმენის ფსიქოლოგიის კარგი ცოდნა. საფეხბურთო სამყარომ აღიარა მისი სასელექციო ნიჭიც. დიახ, ტოპმიოლერს არ ჰყავს გასაგიჟებელი საკადრო რესურსი, მაგრამ "აინტრახტში", "ბოხუმსა" და "ლევერკუზენში" მუშაობით დაამტკიცა, რომ საშუალო დონის მოთამაშეებითაც ძალუძს მებრძოლი და წარმატებული გუნდების დაყენება. ნასწავლი და გამოცდილი უცხოელი კი სწორედ იმიტომ იყო საჭირო, რომ საქართველოში შესაფერისი სამწვრთნელო პოტენციალი არ არსებობს. ეს უნდა ვაღიაროთ. სხვისი არ ვიცი და, პირადად ჩემთვის ეს ფრიად სამწუხარო ფაქტია...

იდეაში, უცხოელი მარტო იმიტომ სჯობს მის რომელიმე ქართველ კოლეგას, რომ ელემენტარულად, ობიექტური და ნეიტრალურია. რას ვგულისხმობ? იმას, რომ ნაკრების გარშემო ყოველთვის ტრიალებდა ხალხი, რომელიც იქ "საკუთარ" ფეხბურთელებს ლობირებდა. გავიხსენოთ, რაც ჟირესმა თქვა - მომიტანეს სია იმ მოთამაშეებისა, რომლებიც ნაკრებში უნდა გამომეძახაო. არ ვიცი, შესაძლოა, ეს გალიზიანებული კაცის სიტყვებიც იყოს და გარკვეულწილად გადაჭარბებულიც, მაგრამ მსგავს ფაქტს, გამომდინარე ჩვენი ფეხბურთის რეალობიდან, ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ.

ამ თემაზე ტოპმიოლერთან მიმართებაშიც გავრცელდა ხმები: თითქოსდა, 19-წლამდელთა ნაკრებში მისი ძმის, **ჰაინც ტოპმიოლერის** დასაქმება ერთგვარი გარიგების ნაწილი იყო იმის სანაცვლოდ, რომ კლაუსი ნაკრებში "ზოგიერთისთვის" სასურველ ფეხბურთელებს მიიწვევდა. მართლაც და, ჰაინცის პერსონა სერიოზულ ეჭვს ბადებს, ამას გარდა, ეჭვის მატარებელია ისიც, რომ ეროვნული გუნდის თავკაცმა ზოგიერთი მოთამაშის (მათ შორის, ნაკრების ყოფილი წევრისაც) არსებობის შესახებ ქართველი ჟურნალისტებისგან შეიტყო. სხვათა შორის, არის ამ მითიურ გარიგებაში რაღაც ლოგიკის მარცვალი... თუმცა, ვინ იცის, დამტკიცებაა საჭირო. ახლა იმაზეც ხდება პედალირება, რომ ტოპმიოლერი ზოგ ქართველ ფეხბურთელს გერმანულ ტრანსფერებში ეხმარება. ერთი შეხედვით, შეიძლება არ იყოს ეს ლამაზი, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ კლაუსისთვის ეს ფულის საჭრელი მანქანაა. და მეორეც: რუსეთში მოწონიალე და ჩერვიჩენკოების ხელებში შემყურე ჩვენს ფეხბურთელებს თუნდაც მეორე ბუნდესლიგაში თამაშის საშუალება რომ ეძლევათ, ვგონებთ ცუდი არ უნდა იყოს. აგერ, **გიორგი ლომაია**, ქვეყნის დასალიერში "ლუჩის" სკამს რომ ხეხავდა, "კარლ ცაისში" ორივე მატჩი ჩაატარა და ბოლოს გმირადაც შერაცხეს. **მიხეილ აშვეთიამ** კი გოლიც გაიტანა...

ხაზი გავუსვათ იმასაც, თუ რამდენი ამხანაგური მატჩი გამართა საქართველოს ნაკრებმა და კიდევ რამდენი უნდა გამართოს მომავალს წელს, და ეს მაშინ, როცა ადრე აზერბაიჯანს, სომხეთს, მოლდოვასა და მსგავს გუნდებს ვეთამაშებოდით. ცხადია, ამ საქმეში ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ გაცილებით მეტი ფხა გამოიჩინა, ვიდრე მისმა წინამორბედმა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ დღეს ძალიან ეფექტურად მუშაობს ბრენდი - "კლაუს ტოპმიოლერი". გავიხსენოთ: გასულ ზაფხულს, პარაგვაისთან მატჩამდე ცოტა ხნით ადრე, ტოპმიოლერი ამ ქვეყანაში მიიწვიეს და პრესკონფერენციაც მოუწყვეს, რითიც მეტოქის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

მეტი ამხანაგური მატჩი კი მეტი შანსია საიმისოდ, რომ გუნდი მალე დადგეს ფეხზე. თანაც, ეს შესარჩევი ჯგუფი პირდაპირ მისწრებაა პროგრესისთვის. სწორედ ასეთ გუნდებთან პაექრობაში უნდა დალვინდეს საქართველოს ნაკრები, რათა უკვე მომდევნო (მსოფლიო ჩემპიონატის) საკვალიფიკაციო ციკლში რეალურად ვიბრძოლოთ ჯგუფიდან გასასვლელად, და არა ილუზორულად.

აი, ამიტომაც გვჭირდება ტოპმიოლერი, მიუხედავად იმ მინუსებისა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. შესაძლოა, ჯერ ადრეც იყოს მწვრთნელთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ნიადაგის მოსინჯვა, მაგრამ მე პირადად, მჯერა, რომ ეს დროც დადგება. მაშ მოდით, ჯერ ნუ იტყვით: STOP-მიოლერ!

**პაატა გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge




ოთარ გუნთაძე

მსაჯები

# ნონსენსი

## მსაჯებს ოფიციალურად გუნთაძე ხელმძღვანელობს

**ოთარ გუნთაძე** ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო ასოციაციის ხელმძღვანელობიდან შარშან გადააყენეს. თუმცა თავად მიიჩნევს, რომ ეს გათავისუფლება უკანონო იყო.

- მე დღემდე სამსაჯო-საინსპექტორო ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ვითვლები, თუკი თავად ასოციაციის წესდებით ვიხელმძღვანელებთ.

**- ეს როგორ? შარშან ხომ გაგათავისუფლეს?**

- გეტყვით, რაც მოხდა: ასოციაციის პრეზიდენტი ანატოლი მილჩენკო სამუშაოდ "ვიტ ჯორჯიაში" გადავიდა. ამის შემდეგ კონფერენცია მოვიწვიეთ და ბატონი ანატოლი ოფიციალურად გავათავისუფლეთ. მოვალეობის დროებით შემსრულებლად კი მე დამნიშნეს, რადგან ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი.

პარალელურად, სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილების თავმჯდომარს მოადგილედ ვმუშაობდი.

**- ამ ორ სტრუქტურას შორის რა განსხვავებაა?**

- ორივე, მსაჯთა ასოციაციაც და განყოფილებაც ფეხბურთის ფედერაციასთან არსებობს, მაგრამ განყოფილება ასოციაციის შემადგენელი ნაწილია ანუ ასოციაციაა ზემდგომი. თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ წამმართველად განყოფილება დაადგინა. იურიდიულად კი დღემდე ასოციაცია რჩება მმართველ ორგანოდ. 2006 წლის დეკემბერში ასოციაციის საარჩევნო-საანგარიშო კონფერენცია იყო დანიშნული, მაგრამ მისი ფედერაციის ყრილობამდე ერთი თვით ადრე გამართვა გადაწყდა. აი, ამ კონფერენციაზე უნდა აგვერჩია პრეზიდენტი. ოფიციალურად კი მე თანამდებობიდან არავის გავუთავისუფლებივარ.

**- თავადაც გესმით, ალბათ, რომ ეს იურიდიული ნონსენსი შეიძლება გამოსწორდეს, მაგრამ ამირან კაჭახიძეს ვერ და არც გაათავისუფლებენ.**

- რა თქმა უნდა, მე იურიდიული მხარის მოწესრიგებაზე ვამახვილებ თქვენს ყურადღებას.

**- მესმის, მაგრამ ესეც მოწესრიგდება და მერე?**

- მსაჯთა და საინსპექტორო საქმიანობას უნდა წარმართავდეს არა განყოფილება, არამედ ასოციაცია. ეს წერია ასოციაციის წესდებაში და იგი ფედერაციის ალმასკომმა დაამტკიცა.

კომენტარისთვის მსაჯთა და საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელს, **ამირან კაჭახიძეს** დავუკავშირდით.

- დიახ, ეს სიახლე არ გახლავთ. ოთარი ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობას მილჩენკოს წასვლის შემდეგ ასრულებს. ერთ თვეში ასოციაციის ყრილობა გაიმართება და ახალ პრეზიდენტს ავირჩევთ. ჩვენ გუნთაძისთვის ხელი არც გვიკრავს. საერთოდ, არავის ვაგდებთ. ეგაა, რომ ასოციაცია ქმედითუნარიანი არ იყო და არჩევნების შემდეგ, მას შესაბამისი როლი უნდა მოვუძებნოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ალადაშვილით ისრაელში დაინტერესდნენ

**კახა ალადაშვილმა** კეისარიაში კიევის "დინამოს" ყველა საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. მართალია, ძირითადში ერთხელაც არ უთამაშია, მაგრამ სტაბილური შემცვლელის სტატუსი კი მიიღო.

კახა ალადაშვილმა თავი განსაკუთრებით ისრაელის ჩემპიონატის აუტსაიდერ "ჰაკოახთან" მატჩში გამოიჩინა. ის მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და "დინამოს" ვებგვერდის ინფორმაციით, ძალიან კარგადაც ითამაშა: *"ისეთი პირი უჩანდა თამაშს, რომ პირველი ტაიმის 3:0 მოგების შემდეგ კიეველები დამშვიდდებოდნენ. თუმცა მეორე ნახევარში მოედანზე ალადაშვილი, როტანი და მილევსკი გამოჩნდნენ და მეტოქეს ნამდვილი კოშმარი მოუწყვეს"*.

კიეველებმა შეკრება დაასრულეს და ახლა იწყება ყველაზე მთავარი. ალადაშვილს კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობა საბოლოო პასუხს ეტყვის, დატოვებს თუ სხვაგან გაანათხოვრებს.

არაა გამორიცხული, კახა ისრაელშიც დარჩეს. ჩატარებული საკონტროლო მატჩების შემდეგ, მისით ამ ქვეყნის ორი წამყვანი კლუბი დაინტერესდა. ესენი საკონტროლო მატჩებში კიეველთა მეტოქეები ხაიფას "ჰაპოელი" და თელ-ავივის "მაკაბი" არიან.

**მერაბ მამულაშვილი**

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მზადება |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე, ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი (ჩიხურა), გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი), ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო) | თბილისი |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (დინამო), | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი), ბიძინაშვილი (კახეთი) | თბილისი, თურქეთი |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი, სილაგავა, სევასტოპულო | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანთალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | იმედაძე (შახტიორი, ყარაღანდა), თურმანიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი | თბილისი, თურქეთი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ბობოხიძე (ზარია), ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა (?), გრიგალაშვილი, მახარაძე (?) ნავალოვსკი, ნერგაძე, გიგაური | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე | ბაკურიანი, ანთალია |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, | ქუთაისი, თბილისი |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ჭიჭვეიშვილი | მამალაძე, სილაგაძე, დარასელია, ბაბუნაშვილი, ექონია, კორღალიძე, სანიკიძე | დსთ-ის თასი, თბილისი |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა, მალიჩავა, სამხარაძე | ურეკი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა) | ბორჯომი |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ა. ნოზაძე | თბილისი, გურჯაანი |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | — | — |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი, ლობჟანიძე, ნაჭყებია | ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | ბათუმი |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია | გორი, თბილისი |
| კახეთი | ბიძინაშვილი, იმერლიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი), | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი, | თელავი |

ლეგიონერები

# სირაძე გამოჯანმრთელდა

გასულ უქმეებზე მეორე ბუნდესლიგაში ჩატარებულ ტურში "აუეს" ქართველ ნახევარმცველ **დავით სირაძეს** არ უთამაშია. ჩვენებურის გარეშე სტუმრად მოთამაშე "აუე" "ფიურტთან" დამარცხდა 1:2. სირაძის უთამაშებლობის მიზეზი ტრავმა იყო. თუმცა როგორც გაირკვა საშიში არაფერი ყოფილა. გერმანული წყაროების მიერ გუშინ გავრცელებულ ცნობათა თანახმად დავით სირაძე უკვე მომჯობინდა და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შეუდგა. შესაბამისად, სირაძეს უკვე შეუძლია თამაში.

სასიხარულოა "კარლ ცაისის" ქართველი ლეგიონერების ამბავიც. იენური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა "ესენთან" მოგებული (2:0) მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ინტერნეტგამოკითხვა მოაწყო. გამოკითხვაში 700-მდე რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 53.82 პროცენტმა (359 ხმა) ხმა **გიორგი ლომაიას** მისცა. **მიხეილ აშვეთია** პოპულარულმა "კიკერმა" მოიხსენია და "დრიმ თიმში" შეიყვანა. "ესენთან" მის მიერ გატანილი გოლი კი 9 ქულითაა შეფასებული.

დაბოლოს, "მიუნხენ 1860"-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საკლუბო ჟურნალ "ლოუენ ნიუსის" ახალ ნომერში წამყვანი თემა **მათე ღვინიანიძის** პორტრეტია. გულშემატკივარს მასში საქართველოს ნაკრების პიროვნებაზე ბევრი საინტერესოს გაგება შეუძლია.

**დავით ცაბაძე**

# დემეტრაძემ მეტალურგს მოაგებინა

მიუხედავად იმისა, რომ **გიორგი დემეტრაძე** უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგასთან დავითაა დაკავებული, ძირითად საქმეზე სრულადაა კონცენტრირებული და "მეტალურგში" კვლავინდებურად, ერთ-ერთი გამორჩეულია.

დონეცკური კლუბი უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის ჰოლანდიაში ემზადება. "მეტალურგმა" სპარინგმატჩი ვაალვიკში, ჰოლანდიური ერედივიზიონის ბინადარ ადგილობრივ გუნდთან გამართა.

შეხვედრა უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, საბოლოოდ კი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. თავდაპირველად "ვაალვიკი" დაწინაურდა, მაგრამ "მეტალურგმა" ანგარიში მალევე გაათანაბრა და პირველი ტაიმი 1:1 მორჩა.

ჰოლანდიელები 70-ე წუთზე კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ, მატჩის დარჩენილ ნაწილში კი **კო ადრიაანსეს** შეგირდებმა პატარა სასწაული მოახდინეს და მე-80 და 83-ე წუთებზე გატანილი გოლებით გაიმარჯვეს. არადა, 1:2-ზე "მეტალურგს" ალბანელი **ბეჩირი** გაუძევეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გადამწყვეტი დარტყმა დემეტრაძემ შეასრულა, მან "ვაალვიკის" კარი ეფექტური ვარდნით დალაშქრა. უკრაინული პრესის ცნობით, გიორგიმ მთელი შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა, ბევრი იშრომა და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. იმედია, ქართველი ფორვარდი დანარჩენ საკონტროლო მატჩებშიც ასევე ნაყოფიერად გაირჯება და მეორე წრეში დონეცკელთა ძირითადში უფრო ხშირად მოხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ჰიტცფელდმა მათეუსი ახსენა

## ლოთარი რეკორდმაისტერის მწვრთნელად, ნუთუ ეს რეალურია?

სამშაბათს "ბაიერნი" ავსტრიაში, ზალცბურგში იმყოფებოდა, სადაც ბლიც-ტურნირში მიიღო მონაწილეობა და გერმანიაში გამარჯვებული დაბრუნდა. ტურნირზე, რომელიც ზალცბურგის სტადიონზე გაიმართა, ბავარიული გიგანტის გარდა, იაპონიის ჩემპიონმა "ურავა რედ დაიმონდსმა" და ადგილობრივმა "რედ ბულმა" მიიღეს მონაწილეობა. მატჩები 45-წუთიანი იყო. ოტმარ ჰიტცფელდის გუნდმა იაპონურ გრანდს, რომელსაც ამჟამად გერმანელი ჰოლგერ ოზიეკი წვრთნის, 3:0 მოუგო, მერე კი "რედ ბულიც" დაამარცხა (პენალტების სერიაში 3:2).
აღსანიშნავია, რომ მიუნხენელები ავსტრიაში 8 წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჩავიდნენ - ჰიტცფელდმა კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი და მაკაი გერმანიაში დატოვა. "ურავა რედ დაიმონდსთან" ორი გოლი როკე სანტა კრუსმა გაიტანა (მე-10 და 33-ე წუთებზე), მესამე გოლი კი კლაუდიო პისარომ შეაგდო (41).
მასპინძლებთან, რომელთა რიგებშიც ექს-ბაიერნელი ალექსანდერ ციკლერიც ასპარეზობდა, პენალტების სერიაში ოლივერ კანის შემცვლელმა მიხაელ რენზინგმა ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია. გადამწყვეტი პენალტი პისარომ გაიტანა. საინტერესოა ის, რომ ვეტერანმა ბავარიელმა მეჰმეთ შოლმა საერთო ჯამში 75 წუთი ითამაშა და ჰიტცფელდს დაუმტკიცა, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, აახენის "ალემანიასთან" მისი ნდობა შეიძლება.
მოგეხსენებათ, ზალცბურგის "რედ ბულს" ჯოვანი ტრაპატონი წვრთნის, მისი მარჯვენა ხელი კი ლოთარ მათეუსია. როგორც იცით, ჰიტცფელდი მიუნხენურ გიგანტში დარჩენას მხოლოდ ზაფხულამდე აპირებს და ჯერ არაა გარკვეული, თუ ვინ უთავკაცებს გერმანიის რეკორდსმენს მომდევნო სეზონში. ჯერჯერობით ყველაზე რეალური კანდიდატი ბერნდ შუსტერი გახლავთ, რომელზეც თვით ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ძალიან მომწონს და თანაც "ბაიერნსაც" შეეფერებაო. გუშინ "კიკერი" წერდა, რომ შუსტერის მიუნხენში გადაბარგების შანსი დღევანდელი გადასახედიდან ნულის ტოლია.
ზემოთ ხსენებული ტურნირის დასრულების შემდეგ ჰიტცფელდმა ჟურნალისტებს ძალიან საინტერესო რამ უთხრა - "გენერალმა" "ბაიერნთან" მიმართებაში მათეუსი ახსენა. *"მჯერა, რომ ლოთარს მწვრთნელის რანგში დიდი მომავალი აქვს. ის გენიალური ფეხბურთელი იყო და ერთ-ერთი უნიჭიერესი მწვრთნელიცაა. დარწმუნებული ვარ, რომ მათეუსი "ბაიერნის" თავკაცი გახდება..."* - განაცხადა ჰიტცფელდმა. მართალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოტმარი ლოთარს ახლავე უწევს რეკომენდაციას (ამას არც გააკეთებდა), მაგრამ ფაქტია, რომ "გენერალმა" ამ განცხადებით "ბაიერნის" შეფებს მოკრძალებული რჩევა მისცა - თუ შუსტერზე ფიქრობთ, მათეუსი რატომ გავიწყდებათო.
"ბილდი" სასწრაფოდ შეეხმიანა გერმანიის ნაკრების რეკორდსმენს. აი, რა უთხრა ლოთარმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს:

**- ჰერ მათეუს, თქვენი თავი "ბაიერნის" მწვრთნელად თუ წარმოგიდგენიათ და როგორ ფიქრობთ, ხართ თუ არა მზად ამისთვის?**

- რა თქმა უნდა, წარმომიდგენია, რადგან საკმაოდ მაღალკვალიფიციური მწვრთნელი ვარ. რაც ბუნდესლიგასა და "ბაიერნში" ხდება, ყველაფერი ზეპირად ვიცი. ვინც კარგად მიცნობს, ისიც ეცოდინება, რომ ჩემი მიზანი ბუნდესლიგაში მუშაობაა. მიუხედავად იმისა, რომ ზალცბურგში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაქვს პატივი, ჯოვანი ტრაპატონისთან ერთად ვიმუშაო და მისგან ბევრი რამ ვისწავლო, გერმანიაში სიამოვნებით დავბრუნდებოდი.

**- ზალცბურგიდან მიუნხენამდე არც ისე დიდი მანძილია. როგორ მოიქცევით, მიუნხენიდან რომ დაგიკავშირდნენ და ბავარიული გიგანტის გაწვრთნა რომ შემოგთავაზონ?**

- ჩემი აზრით, "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ახალ მწვრთნელზე ჯერ არ უნდა იფიქრონ. დღესდღეობით ამ გუნდისთვის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რალაცეებიც არსებობს - "ბაიერნმა" სასწრაფოდ უნდა დაიბრუნოს სტაბილურობა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან უნდა დაიფრინოს მადრიდის "რეალი". ამის მერე ყველაფერი თავისთავად მოხდება. იქნებ, ჰიტცფელდმა გადაიფიქროს და პოსტზე დარჩეს. თუკი ჩემზე სერიოზულად იფიქრებენ, მოხარული ვიქნები. ერთი სიტყვით, ვნახოთ.

**- თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვითხარით, რა რეაქცია გექნებათ, თუკი რეკორდმაისტერის მწვრთნელის თანამდებობას შემოგთავაზებენ?**



ჰიტცფელდი და მათეუსი

- სულსწრაფი არ ვარ. ყველა საქმეს სერიოზულად ვეკიდები. თუკი მართლაც დამიკავშირდებიან, დავსხდებით, ვისაუბრებთ და კონსენსუსის მიღწევას შევეცდებით.

**- ნუთუ ყველაფერი ასე იოლად და უმტკივნეულოდ ჩაივლის? ან საერთოდ, რამდენად რეალურია ის, რომ "ბაიერნის" ბოსებმა თქვენთან თანამშრომლობა ისურვონ?**

- არარეალური რატომ უნდა იყოს?

**- 2000 წელს, როცა თქვენი გამოსათხოვარი მატჩი იგეგმებოდა, ული ჰიონესთან ჩხუბი მოგივიდათ. ული თქვენზე ძალიან გაბრაზებული იყო და თქვა, ლოთარი "ბაიერნში" ბალახის მომვლელის პოსტსაც კი ვერასდროს მიიღებსო...**

- ის ჩხუბი დიდი ხნის დავიწყებულია, წყენა წარსულს ჩაბარდა. ული და მე დიდი ხანია შევრიგდით და დღესდღეობით შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს.

**- სამშაბათს გამართულ ბლიც-ტურნირში "ბაიერნმა" "ზალცბურგი" მხოლოდ პენალტების სერიაში დაამარცხა. როგორ აფასებთ რეკორდმაისტერის დღევანდელ მდგომარეობას და რას იტყოდით შვაინშტაიგერისა და პოდოლსკის კრიზისის შესახებ?**

- როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიყავი, მეც მქონდა ასეთი კრიზისული ფაზები. ჩემი აზრით, შვაინიმ და პოლდიმ ახლა მხოლოდ ფეხბურთზე უნდა მოახდინონ კონცენტრაცია. სარეკლამო კლიპებზე ცოტა ხნით უარი უნდა თქვან, ნებისმიერ ბანკეტზე მიწვევას არ უნდა დათანხმდნენ და რაც მთავარია, სალამოს მინიმუმ ერთი საათით ადრე უნდა მივიდნენ სახლში და მინიმუმ ერთი საათით ადრე უნდა დაიძინონ. ასეთ დროს მათ აგენტებსაც მოეთხოვებათ პასუხი.

**- "რედ ბულთან" მეჰმეთ შოლმა შესანიშნავად ითამაშა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 36 წლისაა, შესანიშნავად გამოიყურებოდა. თქვენ რომ "ბაიერნის" მწვრთნელი იყოთ, შოლს უფრო ხშირად მიენდობოდით?**

- შესაძლოა, გუნდმა იყიდოს კარგი ფეხბურთელი, მაგრამ ლიდერსა და შეფს ვერ შეიძენს. ჩემი აზრით, მეჰმეთს ჯერ კიდევ შეუძლია შესაძლებლობების გამოვლენა და ნამდვილი ათიანის როლის შესრულება. და რაც მთავარია, არა მხოლოდ ბოლო წუთებში, არამედ მინიმუმ 70 წუთის განმავლობაში.

**გოტფრიდ ლენცი**

ბარსელონა

# ეტოოს ან რონალდინიოს გაყიდიან?

## გულშემატკივრები დიარიო მარკას უსინდისობაში ადანაშაულებენ

"დიარიო მარკას" გუშინდელ ნომერში სენსაციური ინფორმაცია გამოქვეყნდა. ჩვენი მადრიდელი კოლეგების მტკიცებით, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა **ეტოოს** ან **რონალდინიოს** გასაყიდად ემზადება. თურმე **ხოან ლაპორტასა** და **ჩიკი ბეგირისტაინს** **კრისტიანო რონალდოს** შეძენა განუზრახავთ. მათ იციან, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავის შესაძენად დიდი ფულის გადახდა მოუწევთ.

დაგვეთანხმებით, მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება უდიდესი სენსაცია იქნება. სიმართლე გითხრათ, ჩვენც გაოცებული დავრჩით და სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, სხვადასხვა ვებგვერდებს გადავავლეთ თვალი. გავარკვიეთ, რომ მსგავსი რომ "დიარიო მარკას" გარდა, სხვა არც ერთ გაზეთს არ დაუწერია. სამაგიეროდ იმავე "მარკას" ჩეთში გულშემატკივართა ძალიან საინტერესო მოსაზრებები ამოვიკითხეთ. ისინი გაზეთის ხელმძღვანელობას "მარკას" წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებებში ადანაშაულებენ. ინჩასები დარწმუნებულები არიან, რომ "რეალისადმი" უდიდესი სიმპათიებით გამსჭვალული გაზეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კატალონიურ გრადში დისონანსი შეიტანოს, რომ ფეხბურთელები ფსიქოლოგიურ წნეხში აღმოჩნდნენ და ქულები დაკარგონ.

## მანიშემ ვარჯიშზე დებოში მოაწყო

გუშინ "ატლეტიკოს" ბაზაზე დიდი უსიამოვნება მოხდა. **ხავიერ აგირე** იძულებული გახდა, ვარჯიში შეეწყვიტა. ამის მიზეზი **მანიშეს** უმსგავსო საქციელი გახდა. "როხიბლანკოს" პორტუგალიელი ნახევარმცველი **ანტონიო ლოპესს** ეჩხუბა. სპარინგ მატჩისას ლოპესმა ვარდნა უხეშად შეასრულა, თუმცა ბუნებრივია, მას თანაგუნდელისთვის ტკივილის განზრახ მიყენების სურვილი არ ამოძრავებდა. შემთხვევითობის მიუხედავად, მანიშე მეტისმეტად გამწარდა და ანტონიოს ისე ჰკრა ხელი, რომ ის მინდორზე უკანალით დაენარცხა. ამასთან, პორტუგალიელმა კოლეგას ბოზიშვილიც უწოდა. აგირემ დაპირისპირებული შეგირდები გააშველა და მოედნის დატოვება მოსთხოვა.

ჩვენი მადრიდელი კოლეგები დამნაშავედ მანიშეს მიიჩნევენ. როგორც ჩანს, პორტუგალიელი ნამდვილი ხულიგანია. ყოველ შემთხვევაში, დისციპლინა მისთვის სრულიად მიუღებელი ცნებაა. შეგახსენებთ, საშობაო არდადეგებისას ლისაბონის პოლიციამ ის გალეშილ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო დააკავა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი "ატლეტიკოს" ვარჯიშზე ორმოცი წუთით დააგვიანა და ხავიერ აგირე უკიდურესად გააბრაზა.

## მაკლარენი: გახსოვდეთ ესპანეთი

**სტივ მაკლარენმა** ინგლისის ნაკრების ყველა ფეხბურთელს ესპანეთთან ამხანაგური მატჩის (0:1) ვიდეოჩანაწერი გაუგზავნა. ეროვნული ნაკრების მწვრთნელი საჭიროდ თვლის, მისმა შეგირდებმა საფუძვლიანად გააანალიზონ ის, რაც ერთი კვირის წინათ "სტემფორდ ბრიჯზე" მოხდა. ვიდეოფირის გარდა, მოთამაშეებს დაეგზავნათ პერსონალური შეფასებები, თუმცა მაკლარენი დარწმუნებულია, რომ ამ შეფასებების გარეშეც ყველამ კარგად იცის, შეასრულა თუ არა მწვრთნელის მითითებები. ესპანეთთან უსახურმა თამაშმა ინგლისში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. გაჩნდა ინფორმაცია მაკლარენის შესაძლო დათხოვნის თაობაზეც კი.



სესკ ფაბრეგასი

რეალი. ტრანსფერები

# ფაბრეგასი 27 მილიონად?

## მილანს ემერსონი უნდა, მაგრამ არა კაკას ხარჯზე, სისინიო და რობერტო კარლოსი დაბრუნდნენ

"რეალი" "არსენალის" ნახევარმცველ **სესკ ფაბრეგასით** დაინტერესდა. შარშანდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინ **პედია მიატოვიჩი** ესპანელის აგენტს შეხვდა და მადრიდში ტრანსფერზე დაიყოლია. მართალია, გარიგება არ შედგა, მაგრამ ფაბრეგასი სამეფო კლუბის ინტერესთა არეალში რჩება. "რეალი" შემადგენლობის გაახალგაზრდავებას აგრძელებს. არგენტინელი თინეიჯერების, **გონსალო იგუაინისა** და **ფერნანდო გახოს** შემდეგ, მადრიდელთა მორიგი სამიზნე ფაბრეგასი იქნება. "რეალი" მზადაა, ლონდონურ გრანდს 27 მილიონი გირვანქა შესთავაზოს. სესკმა "არსენალთან" ახალი კონტრაქტი გასულ ზაფხულს გააფორმა. ის კლუბს 2015 წლამდე ეკუთვნის. პრემიერლიგაში ამაზე ხანგრძლივი ხელშეკრულება არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს.

**მაჰამადუ დიარა** "რეალიდან" აბარგებას არ გამორიცხავს. მადრიდელებმა მალელი ნახევარმცველი გასულ ზაფხულს "ლიონიდან" შეიძინეს. მათ ეს სიამოვნება 18.5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. დიარამ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა. მაჰამადუს მთავარ მწვრთნელ **ფაბიო კაპელოსთანაც** პრობლემები შეექმნა. ფეხბურთელი ამბობს, რომ ნებისმიერ საინტერესო წინადადების განსახილველად მზადაა: *"ვამაყობ, რომ "რეალში" თამაშის საშუალება მომეცა. ძალ-ღონეს არ ვიშურებ, მაგრამ ვამჩნევ, რომ სასურველი დონისგან ბევი მიკლია. გაცილებით მეტი შემიძლია. თუ "რეალი" ჩემს გაყიდვას გადაწყვეტს, კლუბის სურვილს უსიტყვოდ დავემორჩილები."*

მადრიდელებს მეორე საყრდენ ნახევარმცველთანაც პრობლემები აქვთ. ემერსონი "რეალში" დიდი ამბით ჩაიყვანეს. მაგრამ ის საკუთარი თავის აჩრდილს დაემსგავსა. ბოლო დროს ინტენსიურად განიხილება ემერსონის "მილანში" გაშვების საკითხი. სამეფო კლუბს **კაკას** ხელში ჩაგდება სურს და მზადაა, სოლიდური თანხის გარდა, "იუვენტუსის" ყოფილი ვარსკვლავიც დათმოს. მიმომხილველთა მტკიცებით, "მილანს" ბრაზილიელის ხელში ჩაგდება უნდა, მაგრამ არა კაკას ხარჯზე.

კაპელოს ბედნიერი დღე დაუდგა. მრავალთვიანი ტრავმის შემდეგ **სისინიო** გამოჯანმრთელდა და ბრაზილიიდან მადრიდში დაბრუნდა. სამეფო კლუბის მცველმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გუშინ პირველად ივარჯიშა. შეგახსენებთ, სამხრეთამერიკელს მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და მკურნალობას შვიდი თვე მოანდომა. კაპელო შეგირდს კარგად შეხვდა. იტალიელმა მას თანადგომა აღუთქვა და პირობა მისცა, როგორც კი სასურველ კონდიციებს აღიდგენ, უმალ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მოგცემო. სისინიომ მწვრთნელს გულითადი მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ, მან პირობა დადო, რომ თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დაიხარჯება და "რეალს" პრობლემების დაძლევაში დაეხმარება.

ტრავმისგან განიკურნა **რობერტო კარლოსიც**. ვეტერანი ბრაზილიელი საყვარელ გუნდს ერთთვიანი იძულებითი შევბულების შემდეგ დაუბრუნდა. გასაგები მიზეზების გამო, ბრაზილიელები ჯერჯერობით მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშით კმაყოფილდებიან.

და კიდევ ერთი ინფორმაცია მადრიდელთა ბანაკიდან. "ესპანიოლის" ახალგაზრდა მცველმა **სერხიო სანჩესმა** კაპელოს ყურადღება მიიპყრო. სანჩესი ცენტრალური მცველია და დღესდღეობით "რეალის" სარეზერვო გუნდში თამაშობს. "ესპანიოლი" მას 3.5 მილიონ გირვანქად აფასებს. სამეფო კლუბი გარიგებაზე თანახმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები

# ვერდერი მოლოდინს ამართლებს

**ბორდო-ოსასუნა 0:0**

**ბორდო**: რამე, სიდი, ფობერი, ჟემალი (46. მარანჟი), ჟურიეტი, პლანუსი, ალონსო (82. ობერტანი), მავუბა, შმიცერი (65. პერეა), შამახი, ფრანსია.

**ოსასუნა**: რიკარდო, კორალესი, კრუჩაგა, ხავიერ ფლანო, ხოსეჩო, ხუანფრანი, ნექუნამი, პუნიალი, მილოშევიჩი (90. რაულ გარსია), მუნიოსი (66. დავიდ ლოპესი), ვებო (76. სოლდადო).

**გაფრთხილება**: 2-3

**მაყურებელი**: 16 029

**ცსკა-მაქაბი 0:0**

**ცსკა**: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ალდონინი (46. შემბერასი), დუდუ, ჟო, კრაშიჩი, რაჰიმიჩი, რამონი (56. კარვალიო), ჟირკოვი.

**მაქაბი**: დავიდოვიჩი, ჰარაზი, კეინანი, მაგრალიშვილი, ანდერსონი, ბოკოლი, დირსეუ, მასუდი (90. მეშუმარი), სოანი, კოლაუტი (69. არბაიტმანი), კატანი (86. რაფაელოვი).

**გაფრთხილება**: 3-5

**მაყურებელი**: 18 102

**შახტარი-ნანსი 1:1**

**შახტარი**: შუსტი, ჩიგრინსკი, კუჩერი, შევჩუკი (65. გაი), ფერნანდინიო, ჟადსონი, მათუსალემი, სრნა, ტიმოშჩუკი, ბიელიკი (73. ვორობეი), მარიცა.

**ნანსი**: გრეგორინი, ანდრე ლუიში, დიაკატი, პუგრენიე, ბელენგერი, ბიანკალანი (46. სოჟე), შრეტიენი, დუშემინი (87. გავანონი), კურბელო, ფორჩუნი, ჰაჯი.

**გოლები**: 0:1 ფორჩუნი (81), 1:1 სრნა (84)

**გაფრთხილება**: 3-1

**გაძევება**: ტიმოშჩუკი (90. შახტარი)

**მაყურებელი**: 45 000

**ლევერკუზენი-ბლექბერნი 3:2**

**ლევერკუზენი**: ბუტი, კალსენ-ბრაკერი, ჰაგი, ბაბიჩი, ბარბარესი, კასტრო, რამელოვი, როფლესი, შნაიდერი, კისლინგი (85. ფრაიერი), ვორონინი.

**ბლექბერნი**: ფრიდელი, ანშო, მოკოენა (90. ტოდი), ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, დანი (65. პეტერი), ემერტონი, თუგაი, მაკკარტი, რობერტსი (69. ნონდა).

**გოლები**: 1:0 კალსენ-ბრაკერი (18), 1:1 ბენტლი (39), 2:1 რამელოვი (43), 3:1 შნაიდერი (56), 3:2 ნონდა (86)

**გაფრთხილება**: 1-1

**მაყურებელი**: 22 500

**ფენერბაჰჩე-ალკმაარი 3:3**

**ფენერბაჰჩე**: ვოლქანი, დენიზი, ედუ, უმითი, ალექსი, აპია, უგური (66. ოლჯანი), თუმერი, მეჰმეთ იოზგათი, დე სოუზა, თუნჯაი.

**ალკმაარი**: ვატერმანი, დე კლერი, იალიენსი, ლუირინკი, სტეინსონი, დე ზეეუვი, მარტენსი (89. ვორმერი), მოლჰუკი (32. იენერი), ბუხარი, დემბელე (90. ლენსი), კუვერმანსი.

**გოლები**: 0:1 დე ზეეუვი (15), 1:1 თუმერი (28), 1:2 ბუხარი (62), 1:3 იენერი (63), 2:3 თუნჯაი (66), 3:3 თუმერი (75)

**გაფრთხილება**: 3-1

**მაყურებელი**: 42 000

**ჰაპოელი-რეინჯერსი 2:1**

**ჰაპოელი**: ელიმელეხი, ანტები, ბონდარი, დონანი, აბუქსისი (83. ჩენი), ბადირი, დაგო, ტოამა, ველინგტონი (67. დე ბრუნო), ბარდა, ოგბონა (87. ვერმოტი).

**რეინჯერსი**: მაკგრეგორი, ჰატონი, სვენსონი, უეირი, ბერკი (84. ადამი), ფერგიუსონი, ემდანი, მიურეი, რაე, ბოიდი, ნოვო (79. ზიონკო).

**გოლები**: 1:0 ტოამა (43), 1:1 ნოვო (53), 2:1 დაგო (76)

**გაფრთხილება**: 3-1

**მაყურებელი**: 13 000

**ვერდერი-აიაქსი 3:0**

**ვერდერი**: ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ვომე (74. შულცი), ფრინგსი (79. პასანენი), ვრანიესი, იენსენი, დიეგო, კლოზე, ჰუნტი (74. უგო ალმეიდა).

**აიაქსი**: სტეკელენბურგი, როხერი, მადურო, სტამი, გაბრი, ჰეიტინგა, სნეიდერი, ლინდენბერგი, დე მული (26. ანიტა), ბაბელი (72. სანტიაგო), დონალდი (72. პერესი).

**გოლები**: 1:0 მერტეზაკერი (48), 2:0 ნალდო (54), 3:0 ფრინგსი (71)

**გაფრთხილება**: 1-4

**გაძევება**: ლინდენბერგი (23. აიაქსი)

**მაყურებელი**: 37 500

**აეკ-პსჟ 0:2**

**აეკ**: სორენტინო, ჩირილო, მორასი, ციორციოპულოსი, ლაკისი (53. კონე), პლიაციკოსი (63. გეორგეასი), ტოშერი, ჟულიო სეზარი, კაპეტანოსი, კირიაკიდისი (46. კაფესი), მანდუკა.

**პსჟ**: ლანდრო, მენდი, ტრაორე, შანტომი, სისე, ჰელებიუკი, მულუნბუ, როდრიგესი, სახო (85. დრამი), დიანე (68. ლუინდულა), კალუ.

**გოლები**: 0:1 ტრაორე (45), 0:2 მენდი (86)

**გაფრთხილება**: 0-2

**მაყურებელი**: 26 120

**ლივორნო-ესპანიოლი 1:2**

**ლივორნო**: ამელია, სეზარი (60. პაულინიო), გალანტე, გრანდონი, კუფური, პასკუალე, ფილიპინი, ფიორე (77. პფერტცელი), მორონე (72. კოპოლა), პასონი, ლუკარელი.

**ესპანიოლი**: ირაისოსი, ჩიკა, ხარკე, ლაკრუსი, ველასკო, კორო (88. მოისესი), კოსტა, იტო, მოა (60. რიერა), პანდიანი (76. ლუის გარსია), რუფეტე.

**გოლები**: 0:1 პანდიანი (28-პენ), 0:2 მოა (59), 1:2 გალანტე (82)

**გაფრთხილება**: 1-3

**მაყურებელი**: 0 (დისკვალიფიკაცია)

**ბენფიკა-დინამო 1:0**

**ბენფიკა**: კუიმი, კლებერი, ლეო, ლუიზაო, ნელსონი, კარაგუნისი, კაცურანისი, პეტი (46. მიკოლი), რუი კოშტა (90. კოიმბრა), სიმაო საბროსა, ნუნუ გომეში (75. დერლეი).

**დინამო**: ლობონტი, ბალაჩე, ბლეი, მოტი, პულაჩი (65. ბალტოი/82. სერბანი), რადუ, კრისტეა, მარგარიტესკუ, მუნტეანუ (79. როპოტანი), დანჩულესკუ, ნიკულესკუ.

**გოლი**: 1:0 მიკოლი (90)

**გაფრთხილება**: 2-2

**მაყურებელი**: 35 000

ოთხშაბათის ნომერში გაცნობეთ, რომ ტოტალიზატორ "ბეთ ენდ ვინის" კოეფიციენტებით უეფას თასის უმთავრესი ფავორიტი "ვერდერია". ბრემენულმა კლუბმა მოლოდინი გაამართლა და პირველი რაუნდის შემდეგ ისეთი უპირატესობა შეიქმნა, რომლის გაბათილებაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. **ტიმ ბოროვსკის** გარეშე დარჩენილმა "მუსიკოსებმა" ამსტერდამის "აიაქსი" 3:0 დაამარცხეს და ალბათ ძალიან ცოტას თუ სჯერა, რომ ერთ კვირაში ამ ფორას ქარს გაატანენ. ამრიგად, გერმანიის ჩემპიონატში განცდილი ორი მარცხის (ზედიზედ) შემდეგ, რამაც ბრემენული კლუბი ბუნდესლიგაში უკან დახია, **თომას შააფის** გუნდმა გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია შეძლო.

დიდი ანგარიშით გამარჯვებაში "ვერდერს" ის ფაქტიც დაეხმარა, რომ ამსტერდამულ გუნდს 24-ე წუთზე მცველი **ლინდენბერგი** გაუძევეს - ამ მოკლე დროში "აიაქსის" უკანახაზელმა ორი გაფრთხილების მიღება მოასწრო. მიუხედავად ამისა, "ვერდერმა" პირველ ტაიმში მაინც ვერ შეძლო გოლის გატანა. სამაგიეროდ, მეორე ნახევრის დაწყებიდან ზუსტად სამ წუთში შააფის გუნდი **პერ მერტეზაკერმა** დააწინაურა. ეს ასე მოხდა: **ტორსტენ ფრინგსის** მიერ ჩაწოდებულ კუთხურს "აიაქსის" მეკარე **სტეკელენბურგი** გამოეხმაურა, რომელმაც ბურთი პირდაპირ "მუსიკოსთა" აყლაყუდა მცველს დაუგდო. მერტეზაკერმა ამსტერდამელს მადლობა გადაუხადა და 12 მეტრიდან დაამწუხრა. გავიდა 6 წუთი და "ვერდერმა" მეორეც გაიტანა, აღსანიშნავია, რომ ეს გოლიც მცველმა შეაგდო (**ნალდო**). 1.97 მეტრი სიმაღლის ბრაზილიელმა თავით იხეირა და მის გოლს მატჩის შემდეგ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ ვერც გამეორებაზე გამოჩნდა ნათლად, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი ნალდოს დარტყმის შემდეგ. თუმცა მთავარი ის არის, რომ მსაჯმა გოლი ჩათვალა.

ბრემენელებმა შეტევები განაგრძეს და 71-ე წუთზე მესამედ დალაშქრეს სტეკელენბურგის კარი - **მიროსლავ კლოზეს** ჩინებული პასით ფრინგსმა ისარგებლა და დაახლოებით 11 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. "ვერდერს" მეოთხე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მე-80 წუთზე **დიეგომ** "აიაქსის" კარის ხარიხა მოარყია. ამ მომენტიდან რამდენიმე ორი წუთის შემდეგ უკვე **უგო ალმეიდას** დარტყმული მოხვდა ძელს. და ბარემ აქვე გეტყვით, რომ დასაწყისში, კერძოდ მე-4 წუთზე ნალდომაც შეაზანზარა სტეკელენბურგის კარის ძელი. ამრიგად, შესაძლებელი გახლდათ, რომ ანგარიში 6:0-იც ყოფილიყო, მაგრამ ბრემენულ კლუბს 3:0-იც ეყოფა. თამაშის შემდეგ გაირკვა, რომ მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე ბრემენის პოლიციამ 65 მთვრალი ამსტერდამელი დააკავა - ისინი ბრემენის ქუჩებში დაეხეტებოდნენ და არეულობის დაწყება სცადეს.

მოიგო მეორე გერმანულმა გუნდმაც - "ლევერკუზენმა" **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნს" უმასპინძლა და ზუსტად იმდენივე გოლი გაუტანა, რამდენიც "ვერდერმა" "აიაქსს", ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ სამაგიეროდ 2 გოლი გაუშვა. 3:2 - ეს ის ანგარიშია, რომელიც "ფარმაცევტებს" მშვიდად ყოფნის უფლებას არ მისცემს, არადა, "ლევერკუზენი" 3:1-ს იგებდა და რომ არა **შაბანი ნონდას** მიერ 86-ე წუთზე გატანილი გოლი, ეგებ ამ წყვილის ბედიც თითქმის გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა. გენიალური გოლი გაიტანა **ბერნდ შნაიდერმა**, ისეთი გოლი, რომლის ზედმიწევნით ზუსტად აღწერა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ერთს ვიტყვით: დიდი შანსია, რომ ეს წლის საუკეთესო გოლი გახდეს. შნაიდერის გარდა "ლევერკუზენიდან" **იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერმა** და კაპიტანმა **კარსტენ რამელოვმა** იხეირეს.




სპარტაკი-სელტა

ალბათ სენსაცია უნდა ეწოდოს მოსკოვის ცსკა-სა და ჰაიფას "მაქაბის" შედეგს - რუსებმა ისრაელის ერთ-ერთ გრანდს ვლადიკავკაზში უმასპინძლეს და უგოლო ფრეს დასჯერდნენ. საფინალო სასტვენის შემდეგ ვლადიკავკაზის პუბლიკამ ცსკა-ს სტვენა აუტეხა. შეგახსენებთ, რომ არმიელებმა უეფას თასზე ჩემპიონთა ლიგიდან გადაინაცვლეს. უგოლო ფრე დაფიქსირდა "ბორდოსა" და "ოსასუნას" დაპირისპირებაშიც, არადა **ჟოან მიკუს** გარეშე მოასპარეზე ფრანგები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატის მე-9 ადგილოსანს ვერაფერი მოუხერხეს.

ფრედ დასრულდა დონეცკის "შახტარისა" და საფრანგეთის კიდევ ერთი წარმომადგენლის, "ნანსის" დაპირისპირებაც, რომელმაც უეფას თასიდან ნელს **ლევან კობიაშვილის** "შალკე" დაიფრინა. თუმცა ზემოთ ხსენებული ორი ყაიმისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაში გოლები გავიდა: 81-ე წუთზე ფრანგები **ფორჩუნმა** დააწინაურა, მაგრამ ზუსტად სამ წუთში "შახტარის" ხორვატმა ლეგიონერმა **სრნამ** წონასწორობა აღადგინა. აღსანიშნავია, რომ 90-ე წუთზე დონეცკურ კლუბს **ტიმოშჩუკი** გაუძევეს, რომელიც განმეორებით მატჩში ველარ იასპარეზებს.

ნამდვილი სპექტაკლი დაიდგა ისტანბულში, სადაც ერთმანეთს **შოთა არველაძის** გარეშე დარჩენილი "ალკმაარი" და "ფენერბაჰჩე" ხვდებოდნენ. მატჩი ძალიან საინტერესო და რაც მთავარია, უხვგოლიანი გამოდგა - 3:3. მე-15 წუთზე **ლუის ვან გაალის** შეგირდები **დე ზეეუვმა** დააწინაურა, მაგრამ 15 წუთში **თუმერ მეთინმა** წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში "ალკმაარმა" თურქულ გრანდს 2 წუთში ორი გოლი გაუტანა (**ბუხარი 62, იენერი 63**) და მასპინძლები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, თუმცა "ფენერმა" ბოლომდე იბრძოლა და მაინც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება - 66-ე წუთზე სხვაობა **თუნჯაი სანლიმ** შეამცირა, მოგვიანებით კი თუმერმა დუბლი გაიფორმა და "ფენერბაჰჩეს" მერვედფინალში გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

წარმატებით იასპარეზა ისრაელის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, თელ ავივის "ჰაპოელმა" - ებრაელებმა მათთან ბრძოლაში ფავორიტად მონათლული "რეინჯერსი" 2:1 დაამარცხეს. როგორც ირკვევა, პსჟ-ს ბოსები სწორად მოიქცნენ, როცა გუნდის მთავარ მწვრთნელად ცოტა ხნის წინ, **პოლ ლე გენი** დანიშნეს. საფრანგეთის პირველობაზე "მონაკოს" განადგურების შემდეგ პსჟ-მ ათენში აეკ-ი 2:0 დაამარცხა და ცხადია, რომ მერვედფინალში გასვლა არ გაუჭირდება. პარიზელთაგან გოლები **ტრაორემ** და **მენდიმ** გაიტანეს.

უეფას სპეციალურმა კომისიამ "ლივორნოს" მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ამრიგად, იტალიურ კლუბს "ესპანიოლთან" თამაში ცარიელი ტრიბუნების ფონზე მოუხდა. ესპანელები **პანდიანისა** (პენალტით) და **მოას** გოლებით იგებდნენ, მაგრამ **ფაბიო გალანტეს** გვიანმა გოლმა **დანიელე არიგონის** შეგირდებს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაუტოვა. ოთხშაბათის ბოლო შეხვედრაში "ბენფიკამ" მინიმალური სხვაობით, 1:0 დაამარცხა ბუქარესტის "დინამო". პორტუგალიელებს რუმინელთა კარში გოლის გატანა ძალიან გაუჭირდათ, რადგან შესანიშნავად თამაშობდა "დინამოს" მეკარე **ლობონტი**. ნავსი ლისაბონელთა იტალიელმა ლეგიონერმა **ფაბრიციო მიკოლიმ** მატჩის უკანასკნელ წუთზე გატეხა. ფაქტია, რომ "ბენფიკას" რუმინეთის დედაქალაქში იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის.




ვერდერი-აიაქსი

### წუხელ

**სპარტაკი-სელტა 1:1**

**სპარტაკი**: ხომიჩი, ჟედერი, ჟირანეკი, შტრანცლი, ბისტროვი (46. ბაჟენოვი), კალინიჩენკო, კოვაჩი, მოცარტი, ტიტოვი, ტორბინსკი (46. ბოიარინცევი), პავლიუჩენკო.

**სელტა**: ესტებანი, ანხელი, ტამაში, ლეკუი, პლასენტე, კანობიო, დე რიდერი (69. ბაიანო), ირინეი, გუსტავო ლოპესი, ნუნიესი (72. ჯონათანი), პაბლო გარსია (79. უბინა ბორხა).

**გოლები**: 0:1 ნუნიესი (41), 1:1 კალინიჩენკო (64)

**გაფრთხილება**: 2-3

**მაყურებელი**: 30 000

**სტაიუა-სევილია 0:2**

**სტაიუა**: ჩერნეა, სტანჩუ (81. კროიტორუ), გოიანი, გიონეა, მარინი, რადოი, ბოსტინა, ოვიდიუ (58. პარაშივი), ნიკოლიტა, ბადეა (62. კრისტოცეა), ტერეაუ.

**სევილია**: პალოპი, დანიელი, ესკუდე, აიტორ ოსიო, ჰინკელი, ადრიანო (33. დავიდი), პოულსენი, პუერტა, მარესკა, ალფარო (68. კანუტი), კერჟაკოვი (78. ჩევანტონი).

**გოლები**: 0:1 პოულსენი (41), 0:2 კანუტი (77 პ.)

**გაფრთხილება**: 3-2

**მაყურებელი**: 30 000

**ბრაგა-პარმა 1:0**

**ბრაგა**: პაულო სანტოში, პაულო ჟორჟე, ლუის ფილიპე, მიგელი, ნემი (46. როდრიგესი), ვანდინიო, ფრეშო (38. გამა), რიკარდო ჩავესი, ზე კარლოსი, სესინია, ჟოაო პინტუ (76. ვენდერი),

**პარმა**: ბუჩი, კონტინი, პერნა, პაკი, ბოკეტი, კოლი, დესენა, გასბარონი, პისანუ (64. პაპონი), სიგარინი (78. ბოლანო), კუტუზოვი (60. მუსლიმოვიჩი).

**გოლები**: 1:0 ზე კარლოსი (81)

**გაფრთხილება**: 2-1

**მაყურებელი**: 6 127

**ლანსი-პანათინაიკოსი 3:1**

**ლანსი**: იტანჯე, ჟილე, ბარული, ჰილტონი, ტისიე, კარიერე (79. მონტერუბიო), დემონტი, სეიდუ კეიტა, კუსინი, ჟემაა, დინდანე.

**პანათინაიკოსი**: გალინოვიჩი, ვინტრა, გუმასი, მორისი, ციოლისი, ნილსონი, ლეონტიუ (58. ბოვიო), რომერო (81. ნინისი), ივანშიცი, პაპადოპულოსი (62. მანციოსი), სალპინგიდისი.

**გოლები**: 1:0 ჟემაა (49), 1:1 სალპინგიდისი (65), 2:1 ჟემაა (70), 3:1 დინდანე (90 პ.)

**გაფრთხილება**: 3-2

**მაყურებელი**: 29 449

**ვარეგემი-ნიუკასლი 1:3**

**ვარეგემი**: მერლიე, დე ბრული (81. ვან სტეენბრუგე), დაენე, დინდელუ, ლელეუ, რეინა, მეერტი (86. ბუისე), სერგეანტი, ვანდენდრისხე (65. ვანდემარლიე), ვერსხუერი, მატისი.

**ნიუკასლი**: ჰარპერი, სოლანო, ტეილორი, ბრამბლი, ბაბაიარო, მილნერი, ბატი, დაიერი, დაფი, მარტინსი (85. ლუკე), სიბიერსკი.

**გოლები**: 0:1 დინდელუ (47 ს. კ.), 0:2 მარტინსი (59), 1:2 დაენე (69), 1:3 სიბიერსკი (76)

**გაფრთხილება**: 3-3

**მაყურებელი**: 11 000

ინტერვიუ როი მაკაისთან

# ფავორიტი ბაიერნია

## ჰოლანდიელი თავდამსხმელის აზრით, განმეორებითი მატჩის ალიანს არენაზე გამართვა მის გუნდს უდიდეს უპირატესობას ანიჭებს

**"რეალისა" და "ბაიერნის" დაპირისპირებამდე ბევრი დრო არ დარჩა. ესპანური და გერმანული გრანდები საჩემპიონთალიგო დუელს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. უკან დახევას არავინ აპირებს. თამაშის მოახლოებასთან ერთად მადრიდში აჟიოტაჟი იზრდება, ამიტომ "დიარიო მარკამ" მიუნხენში საკუთარი კორესპონდენტი მიავლინა. ხოსე ფელიქს დიასს როი მაკაისგან ინტერვიუს აღება დაევალა. ჩვენი კოლეგა ჰოლანდიელ თავდამსხმელს წინასწარ შეუთანხმდა და თვითმფრინავის ბილეთი აიღო. მაკაის არ დავიწყებია, რომ სამი წლის წინ სამეფო კლუბმა მისი "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგიდან გამოაგდო. მაკაი რევანშის წყურვილითაა შეპყრობილი. მისი აზრით, "ბაიერნი" მცირე უპირატესობას ფლობს, რადგან განმეორებით შეხვედრას "ალიანს არენაზე" გამართავს.**

**- "რეალის" სახელის გაგონებისას როგორი განწყობა გეუფლებათ?**

- მახსენდება, რომ მადრიდელებმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ჩამოგვაცილეს. ეს ძალიან მტკივნეული იყო თითოეული ჩვენგანისთვის. დიდ ხანს არ ვილიმებოდით. ხალისი დაგვაკარგვინეს. მართლაც, დასანანი მარცხი ვიწვნიეთ.

**- ახლა რევანშის აღებაზე ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა. 2004 წლის დუელში თამაშის ხარისხით სამეფო კლუბს აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ მათ ჩვენზე მეტად გაუმართლათ. განსაკუთრებით კარგად მიუნხენურ შეხვედრაში გამოვიყურებოდით. გულშემატკივრებს ნამდვილი სპექტაკლი შევთავაზეთ. მადრიდშიც დამაჯერებლად ვიასპარეზეთ, მაგრამ ეშმაკის მანქანებით, "რეალმა" გვაჯობა. მე ვიტყოდი, რომ თქვენმა თანამემამულეებმა სრულიად დაუმსახურებლად მოიგეს. ცხადია, ძალიან გვინდა, რომ შური ვიძიოთ და ამჯერად ჩვენ გავიდეთ მომდევნო ეტაპზე. მჯერა, ჩვენ ამას შევძლებთ.

**- გეთანხმებით, მიუნხენში მართლაც უკეთ ითამაშეთ, მაგრამ მადრიდულ დაპირისპირებაზე იმავეს ვერ იტყვით. არ მეთანხმებით?**

- მე გითხარით, რომ მადრიდშიც დამაჯერებლად ვიასპარეზეთ-მეთქი. მთლიანობაში კი აბსოლუტურად თანაბარი მატჩი იყო. "რეალმა" მაშინ ზინედინ ზიდანის გენიალობის წყალობით მოიგო. მან მარტომ მოიგო შეხვედრა. სახიფათო მომენტებს, ფაქტობრივად, სხვების დაუხმარებლად ქმნიდა. უტევდა და ბოლოს გოლიც გაგვიტანა. მოკლედ, რომ არა ზიზუ, თქვენებურები ვერაფერს გახდებოდნენ (იცინის). სამწუხაროდ, ჩვენ საგოლე მომენტების რეალიზება ვერ მოვახერხეთ. მიუხედავად ყველაფრისა, გულწრფელად მჯერა, რომ "ბაიერნი" ორ მატჩის ჯამში სანახაობრივი თვალსაზრისით ბევრად უკეთ გამოიყურებოდა. ძალიან უსამართლოთ დავისაჯეთ, ასე რომ, ახლა რევანშის დრო დადგა...

**- "რეალის" ბოლო თამაშები ხომ არ გინახავთ? რაიმე ხომ არ გაშინებთ?**

- სიმართლე გითხრათ, აბსოლუტურად არაფრის მეშინია. ამასთან, ჯერ ბუნდესლიგური დაპირისპირება უნდა ჩავატაროთ. მჯერა, სამეფო კლუბთან შეხვედრას კარგად მომზადებულები შევხვდებით.

**- "ბაიერნს" სერიოზული პრობლემები აქვს. ცოტა ხნის წინ მწვრთნელი შეგეცვალათ...**

- ჩვენ ნელ-ნელა ვძლევთ პრობლემებს. ეს თქვენი სადარდებელი არ არის...

**- არც ვდარდობ... სხვათა შორის, სამეფო კლუბსაც უჭირს.**

- დიახ. რაღაც-რაღაცებს ყური მოვკარი. გავიგე, რომ კაპელოს ბიჭებს მწვავე პრობლემები შეექმნათ.

**- ვერ დავიჯერებ, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში "რეალის" არცერთი თამაში არ გინახავთ...**

- არ გატყუებთ, მართლაც არ მქონია ამის საშუალება. როცა შენი საქმით ხარ დაკავებული ბოლომდე იხარჯები. მხოლოდ საკუთარ კლუბზე ფიქრობ და დრო აღარაფრისთვის გრჩება. შესაძლოა არ დამიჯეროთ, მაგრამ ერთხელაც ვერ მოვიცალე იმისთვის, რომ დავმჯდარიყავი და "რეალის" რომელიმე თამაშისთვის შემევლო თვალი. ჩემი ინფორმაცია სხვების მიერ მოწოდებული ცნობებით შემოიფარგლება. კლუბის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ მადრიდელებმა რამდენიმე პრინციპული მატჩი დათმეს, რის გამოც ფაბიო კაპელოს სამსახურის დაკარგვის საფრთხეც კი დაემუქრა.

**- რადგან ინფორმაციის ნაკლებობას განიცდით, პირდაპირ გეტყვით, რომ დღევანდელი "რეალი" სამი წლის წინანდელ "რეალზე" ბევრად უფრო სუსტია.**

- სხვათა შორის ისიც ვიცი, რომ მიმდინარე სეზონის დაწყების წინ ესპანურმა გრანდმა არაერთი ახალი ფეხბურთელი დაიმატა. გარდა ამისა, ახალწვეულები იანვარშიც ჩაიყვანეს. ასეთ დროს პრობლემები გარდაუვალია. ახლადშეძენილ მოთამაშეებს ადაპტაციისთვის დრო სჭირდებათ. წარმომიდგენია, რომ კაპელომ გუნდის მშენებლობა პრაქტიკულად თავიდან დაიწყო. ეს კი ურთულესი პროცესია. მთავარი პრობლემა ალბათ სწორედ ახალ ფეხბურთელებში უნდა ვეძიოთ. ვგონებ, მათ გუნდში ინტეგრირება ვერ შეძლეს. ამავდროულად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძირითადი ბირთვი მაინც ხელუხლებელი დარჩა. ჩვენს წინააღმდეგ ის ექვსი-შვიდი პროფესიონალი იბრძოლებს, რომლებმაც სამი წლის წინანდელ ორთაბრძოლაშიც მიიღეს მონაწილეობა. ასე რომ, თქვენს პათოსს ვერ გავიზიარებ. სულელი უნდა ვიყო, რომ ვიფიქრო, "რეალი" დასუსტდა და იოლად დავამარცხებთო.

**- რონალდო "სანტიაგო ბერნაბეუდან" დიდი სკანდალით გაუშვეს. ბექჰემი კი ძირითადი გუნდიდან თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო მოკვეთილი. როგორ ფიქრობთ, ეს თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს?**

- რონალდო და ბექჰემი უდიდესი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მათთან დაკავშირებული პრობელმები "რეალის" საქმეა. "ბაიერნი" აქ არაფერ შუაშია. ამიტომ არანაირი სურვილი არ მაქვს ამ საქმეზე ფიქრით თავი შევიწუხო.

**- ცოტა ხნის წინ ჩემს კითხვას თავი აარიდეთ. "ბაიერნის" პრობლემებზე გკითხეთ, მაგრამ გაუგებარი პასუხი გამეცით. რატომ გამოიყურება თქვენი გუნდი ამდენად არადამაჯერებლად?**

- დუბაიში ნაყოფიერად ვივარჯიშეთ. იმედი გვქონდა, რომ სეზონს მოგებული მატჩების განვაახლებდით. სამისოდ ყველა პირობა გაგვაჩნდა, მაგრამ რატომღაც საქმეები ცუდად წაგვივიდა. შედეგად ხელმძღვანელობამ უალესად მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო. ფელიქს მაგათს დაკარგული ქულები არ აპატიეს და სამსახურიდან გაათავისუფლეს. რას ვიზამთ, ფეხბურთი ასეთია. მისი კანონები ხშირად მეტისმეტად დაუნდობელია. ერთ დღეს ტაშს გიკრავენ, მაგრამ მცირე დროის გასვლის შემდეგ შეიძლება კარისკენ მიგითითონ.

**- "რეალისა" და "ბაიერნის" წყვილში ფავორიტად თქვენს გუნდს მიიჩნევთ?**

- რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ უკეთეს შანსებს ვფლობთ. ფავორიტი "ბაიერნია"...

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ განმეორებით შეხვედრას სახლში ვატარებთ. ეს ფუნდამენტური საკითხია.

**- ესპანეთთან კვლავაც განსაკუთრებული გრძნობები გაკავშირებთ?**

- დიახ. თქვენს ქვეყანაში შესანიშნავად ვცხოვრობდი. პრიმერა დივიზიონი კი დამეხმარა ისეთ დიდ კლუბში მოვხვედრილიყავი, როგორიც "ბაიერნია".

**- გულწრთელად მითხარით, სამი წლის წინანდელი შეხვედრისგან განსხვავებით "რეალი" ახლა თვალში გეპატარავებათ?**

- როგორ გეკადრებათ. უკვე გითხარით, იდიოტია ის, ვინც ფიქრობს, რომ სამეფო კლუბს ადვილად მოუგებს. კლუბში არსებული მრავალი პრობლემის მიუხედავად, ყველა დამეთანხმება, "რეალი" შეიძლება ნებისმიერ დროს აფეთქდეს და თუნდაც ყველაზე რთული მატჩის ბედი მისთვის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

**- სამუელ ეტოოსა და რონალდინიოს დაპირისპირების შესახებ თუ გაიგეთ?**

- კი, კი. "ბაიერნში" ყველა გაოგნებული იყო. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამხელა ვარსკვლავები ბავშვებივით იკინკლავებდნენ.

**- სხვათა შორის, ხშირად ამბობენ, არ არსებობს დიდი გუნდი, რომელშიც შიდა დაპირისპირებები არ არსებობდესო. მათი აზრით, ზოგი ამ ყოველივეს კარგად ფუთავს და არავის ანახებს, ზოგი კი ემოციებს საზოგადოების წინაშე გამოხატავს. საინტერესოა, ამ მხრივ "ბაიერნში" როგორი სიტუაციაა?**

- რა გაინტერესებთ, მე და შვაინშტაიგერი ერთმანეთს თუ ვეჩხუბებით?

**- თუნდაც...**

- რა სისულელეა. ზოგჯერ გავცხარდებით, ზოგჯერ დავიყვირებთ, მაგრამ ისე არასოდეს ვჩხუბობთ, როგორც ეტოო და რონალდინიო (იცინის). ესეც ნახევრად ხუმრობითაა ნათქვამი. მათიც კარგად მესმის. ისინიც ადამიანები არიან და ზოგჯერ ემოციების მოთოკვას ვერ ახერხებენ. ნუ ვიქნებით მეტისმეტად მკაცრნი. ხვალ შეიძლება თქვენ გაცხარდეთ და საკუთარ თანამშრომელს ცხვირ-პირი დაუნგრიოთ, ჩემს დიქტოფონს ხელი რატომ მოკიდეო (იცინის).

**- დიდი მადლობა, მაკაი. მადრიდში შევხვდებით...**

- შევხვდებით და ჩვენი გამარჯვებით დაგამწუხრებთ (იცინის). დიდი მადლობა თქვენ, რომ პატივი დამდეთ და ჩემთან სასაუბროდ მიუნხენში ჩამოხვედით.

**ილია ნიკოლაიშვილი**



როი მაკაი

ვალენსია

# კანისარესის ახალი კონტრაქტი

## ედუმ კიკე ფლორესს ბოდიში მოუხადა



სანტიაგო კანისარესი

"ვალენსია" **სანტიაგო კანისარესს** ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ეს ინფორმაცია კლუბის პრეზიდენტმა **ხუან სოლერმა** გაახმაურა. 39 წლის გოლკიპერს ხელშეკრულებას 2009 წლამდე გაუგრძელებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სანტიაგო კარიერას "მესტალიაზე" დაასრულებს. შემდეგ კი ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დაინიშნება. მიმომხილველები სოლერის გადაწყვეტილებას მეკარის ტრიუმფს უწოდებენ. კანისარესს დაძაბული ურთიერთობა აქვს სპორტულ დირექტორ **ამადეო კარბონისთან**, რომელიც შტუტგარტელ **ტიმო ჰილდებრანდთან** აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას.

"ვალენსიის" ნახევარმცველმა **ედუმ** რამდენიმე დღის წინ კლუბში სერიოზული სკანდალი მოაწყო. ბრაზილიელმა ლეგიონერმა **კიკე სანჩეს ფლორესი** ვარჯიშების არასწორად წარმართვაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მთავარი მწვრთნელის არაკვალიფიციურობის გამო ის ხშირად იღებს ტრავმებს. ოკეანისგაღმელმა ეს საყვედურიც არ იკმარა და საკუთარ დამრიგებელს პირად საუბარში უშვერი სიტყვებით უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა. თვითმხილველები ამბობენ, რომ ედუმ სენიორ კიკეს არაკაცი უწოდა. ბუნებრივია, თავმოყვარე სანჩეს ფლორესი ამას ვერ მოითმენდა და ხელმძღვანელობის წინაშე შეგირდის დასჯის საკითხი დააყენა. შეშინებულმა ედუმ უმალ უკან დაიხია და ბოდიში მოიხადა: *"ვაღიარებ, რომ გავცხარდი და ცუდად მოვიქეცი. მწვრთნელსა და მის თანაშემწეებს შეურაცხყოფა მივაყენე. ბოდიში მაქვს მოსახდელი. იმედია, მაპატიებენ. არანაირი უფლება არ მქონდა, სენიორ კიკეს ასეთი ტონით დაველაპარაკებოდი. უბრალოდ, ბოლო დროს ძალიან გავხდი და დავსუსტდი. ამიტომ, ტრავმებს ხშირად ვიღებ. გაცხარებულზე ჩავთვალე, რომ დამნაშავე მწვრთნელი იყო. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას სიმართლესთან არანაირი კავშირი არ აქვს. მოკლედ, დიდი ბოდიში ყველას, ვისაც დისკომფორტი შევუქმენი."* "ვალენსიის" დამრიგებელმა ბოდიში მიიღო და იმედი გამოთქვა, რომ მსგავს ობსტრუქციას აღარავინ მოაწყობს.

იუვენტუსი

# დეშამს დრო კიდევ აქვს

## დელ პიერო კიდევ რვა წელი ითამაშებს

"იუვენტუსის" ბოსმა **ლაპო ელკანმა დიდიე დეშამის** მომავალზე გააკეთა განცხადება. კითხვაზე, გაუფორმებენ თუ არა მწვრთნელს ახალ კონტრაქტს, ელკანმა მიუგო: *"სეზონის დასრულებამდე კიდევ ბევრი მატჩი უნდა ჩავატაროთ. მასაც და ფეხბურთელებსაც საკმარისი დრო ექნებათ იმისათვის, რომ საკუთარ კვალიფიკაციაში დაგვარწმუნონ."* იტალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს "ქალბატონის" ხელმძღვანელობა დეშამის მუშაობით უკმაყოფილო იყოს. "იუვე" სერია B-ს ერთ-ერთი ლიდერია და უმაღლეს დივიზიონში აღზევების უმთავრეს პრეტენდენტად ითვლება. მაგრამ მისი თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებს. იმასაც ამბობენ, რომ დეშამს წამყვან ფეხბურთელებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს და რომ ის, ვარსკვლავების ნდობით არ სარგებლობს. ორი დღის წინ **დავიდ ტრეზეგემ** მწვრთნელთან დაპირისპირების ფაქტი კატეგორიულად უარყო. ტრეზეგეს **ალექს დელ პიერომაც** აუბა მხარი და დიდიეს საჯაროდ მხარდაჭერა გამოუცხადა. სპეკულაციების თანახმად, თუ დეშამს კარისკენ მიუთითებენ, მის ადგილს **მარჩელო ლიპი** დაიკავებს.



დიდიე დეშამი

დელ პიერომ კიდევ ერთი საგულისხმო განცხადება გააკეთა: *"მსურს, შეტყობინება გავუგზავნო მათ, ვინც დიდი ფეხბურთიდან ჩამომწერა. პენსიაში გასვლას ჯერ არ ვაპირებ. უფრო მეტიც, განზრახული მაქვს კიდევ 8 წელი ვითამაშო. მე და ჯიჯი ბუფონი მოუთმენლად ველით ახალი გუნდის გაკეთებას, რომელთან ერთად უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ."*

### ლიბერტადორესი 2007. ჯგუფური ტურნირი

**II ჯგუფი**

**იტალიანო (ჩილე)-სან პაულუ (ბრაზილია) 0:0**

**იტალიანო:** პერიჩი, რიელოფი, ხუან გონსალესი, კარასკო, სერესედა, გარიდო, სკოტი, მიგელ რომერო, ვილანუევა, დი სანტო (76. ლეონარდო მედინა), მოია (76. ორელანა).

**სან პაულუ:** როჟერიუ სენი, ალექს სილვა, ანდრე დიასი, მირანდა, ნეისერ რეასკო, ხოსუე, ფრედსონი, ლენილსონი (57. უგო), ჟადილსონი, ლეანდრო, ალოიზიო.

**V ჯგუფი**

**რეალ პოტოსი (ბოლივია)-ფლამენგო (ბრაზილია) 2:2**

**რეალ პოტოსი:** ბურტოვოი, ვაკა, ე. როდრიგესი, ამადორი, ნელსონ გარსია (89. კოლკე), რიბეირო, მარკო პასი, კალუსტრო (75. ბრანდანი), პენია, მონტეირო, აგილერა (59. ლედერ პასი).

**ფლამენგო:** ბრუნო, ლეო მოურა, ტიაგო (52. ჟუნინიო), მოისესი, რონალდო ანჯელინი, ჟუანი (46. რონი), პაულინიო, კლაიტონი, რენატო, რენატო აუგუსტო, ობინა.

**გოლები:** 1:0 მონტეირო (12), 2:0 აგილერა (43), 2:1 რონი (49), 2:2 ობინა (66)

**VII ჯგუფი**

**ბოლივარი (ბოლივია)-ბოკა (არგენტინა) 0:0**

**ბოლივარი:** საიასი, ფლორესი, ვაკა, ტორდოია, იგნასიო გარსია, ლეონელ რეიესი, ვილიანტი, ლეიტაო, ბალდივიესო, საუსედო (70. მესა), სილერო.

**ბოკა:** კარანტა, მაიდანა, მარკოს როდრიგესი, იბარა, ბატალია, დანიელ დიასი, პალასიო (62. მარიონი), ორტემანი, პალერმო, ნერი კარდოსო (85. გილერმო ბაროს შელოტო), ბანეგა (69. ლედესმა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალესანდრო ნესტასთან

# ოთხი წელი მილანში, მერე ამერიკაში

## ნესტა თავს მსოფლიო ჩემპიონად არ გრძნობს



ალესანდრო ნესტა

4 დეკემბერს მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ალესანდრო ნესტა მაიამიშია და რეაბილიტაციის კურსს გადის. „მილანის" მცველი ამბობს, რომ ფლორიდაში გატარებული ორი თვე არ იყო ზღვაზე დასვენება: „შეიძლება, მილანში რომელიმე ტიფოზი იძახდეს: „ნახე, ეს ნესტა თურმე პლაჟებზე კოტრიალობს და მზით ირუჯება". სინამდვილეში, მალე საკუთარი თვალით ნახავენ, რომ სულ არ გავშავებულვარ და, რომ სრულიად გამოვჯანმრთელდი". ფლორიდაში 80-დღიანი ნებაყოფლობითი გადასახლების შემდეგ, ნესტა მილანში 26 თებერვალს წარსდგება: „თამაშის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე კვირა დამჭირდება, იმიტომ, რომ ბურთისთვის ჯერ ფეხიც არ დამიკარებია". მანამდე მაიამისთან ახლოს, კენდელის ფიზიოთერაპიულ კლინიკაში დადის („იქ ჩემთან ერთად მკურნალობენ ჩოგბურთელები და ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეები. მხარის ტრავმებს რაც შეეხება, ამ საქმეში კენდელის კლინიკის თანამშრომლები მართლაც რომ ფენომენები არიან"), მერე კი იქვე მდებარე საფეხბურთო მოედანზე ყოველდღე კილომეტრებს დარბის („ერთი კვირაა, რაც „მილან ლაბიდან" (მილანის ფიზმომზადების „ლაბორატორია") ბილ ტილსონი ჩამოვიდა და მისი დაკვირვების ქვეშ ტრენაჟორებზე ვარჯიშიც დავიწყე"). მაიამიში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ქალაქში, იქ სახლიც შეიძინა – „საუთ ბიჩზე", პაოლო მალდინის მეზობლად. ლამაზი სახლია, მაგრამ არა ბრწყინვალე და გადაპრანჭული, იმიტომ, რომ ნესტა ვერ იტანს ბომონდურ ცხოვრებასა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნას. ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყვის. არასოდეს ეუბნება უარს მათ, ვინც ავტოგრაფს ან ფოტოს გადაღებას სთხოვს, მათ შორის არც რესტორან „როზინელაში" ლინკოლნ როუდზე, სადაც მისი და „გაძეტა დელო სპორტის" ამერიკელი კორესპონდენტის შეხვედრა შედგა. საერთოდ, უარს მათ ეუბნება, ვისაც მისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა უნდა. მაგრამ გამონაკლისებსაც უშვებს: „ხასიათი მაქვს ასეთი. ამასთან, იტალიაში რაიმე ჭკვიანურს თუ იტყვი, შენს სიტყვებს არასწორად გაიგებენ. ამიტომ ჯობია, ისე მოიქცე, როგორც მე ვიქცევი: ჩუმად იყო და შეძლებისდაგვარად ნაკლები ილაპარაკო". მაგრამ მაიამიში სხვა კლიმატია და არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ ტემპერატურა 25 გრადუსია. იქ უფრო მოსვენებული ხარ, სრულ თავისუფლებას გრძნობ: „ორი დღის უკან შემთხვევით ენცო ფრანჩესკოლის შევხვდი და ვერ ვიცანი – რამხელა სირცხვილია! ქუჩაში ვნახე ფიზიკელა, კაბრინი, ამ ზონაში უამრავი ცნობილი ადამიანი შეიძლება ნახო. თავი ტელევიზორში გეგონება". თუმცა ტელევიზია ნესტას მიზანი არ არის, კარიერის დასრულების შემდეგ სხვა ცხოვრებას აპირებს: „მინდა, ისეთ საქმეს მოვკიდო ხელი, რაც ფეხბურთისგან შორს იქნება. მინდა, სხვა სამყაროში მოვსინჯო ჩემი შესაძლებლობები. მაგალითად, ისეთი საქმე ვაკეთო, რომ იტალიასა და ამერიკას შორის ხშირად მიწევდეს მოგზაურობა. ფეხბურთელობა რომ არ ამერჩია, ალბათ მამაჩემის გზას გავყვებოდი და დღეს მასავით რკინიგზელი ვიქნებოდი. მე პროფესიონალი ვარ, მიყვარს ჩემი საქმე და ვცილობ, ყოველთვის მაქსიმუმი გავიღო. ხანდახან ვახერხებ, ხანდახან ვერა. მაგრამ ეიფორიას არ ვეძლევი, როცა მეუბნებიან, რომ ძლიერი ვარ. არც ვითრგუნები, როცა რაღაც არ გამომდის და დაბალ შეფასებას მაძლევენ. რაღაც შუალედურია საჭირო, ალბათ ზომიერების გრძნობა, რაც იტალიაში დიდი დეფიციტია".

**- მაიამიდან როგორ მოჩანს ის, რაც „კატანია"-„პალერმოს" თამაშის შემდეგ ხდება?**

- დიდი არეულობაა: ერთი მთავრდება („კალჩოპოლის" სკანდალს გულისხმობს) და მეორე იწყება. იმედი მაქვს, რომ წესები უფრო გამკაცრდება. მაგრამ იმ პირობით, რომ მხოლოდ ნამდვილ დამნაშავეებს დასჯიან და მათი გულისთვის ტიფოზების ჯანსაღ ნაწილს არ დააზარალებენ. გულშემატკივრის გარეშე, ფეხბურთელები თავს ცუდად ვგრძნობთ.

**- ამერიკაში მსგავსი ტიპის ინციდენტები არ ხდება: სპორტი აქ სხვა ფილოსოფიას ემყარება.**

- ხანდახან კალათბურთზე დავდივარ, ვუყურებ შაკსა და უეიდს. თავი კინოში გეგონება. ჩვენთან შედარებით, აქ ნაკლები ვნებებია, მაგრამ მეტი სიმშვიდეა. ადამიანი სტადიონზე მიდის, თამაშს უყურებს, ჭამს, ლაპარაკობს, ერთობა: წააგებ თუ მოიგებ, მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება, წაგება არ გსიამოვნებდეს, მაგრამ მალე ყველას ავიწყდება. ჩვენთან, თუ წააგე, ამაზე მთელი კვირა ფიქრობ. აქ ყველაფერი უფრო მშვიდია, ზოგჯერ ზედმეტად მშვიდიც. ამ მხრივაც რაღაც შუალედურის პოვნა გვჭირდება.

**- ბავშვობაში როგორი ტიფოზი იყავით?**

- სტადიონზე ყოველ კვირას დავდიოდი, მაგრამ შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია.

**- როგორია თქვენი კვირა დღე მაიამიში?**

- 8 საათზე ვიღვიძებ, ვსაუზმობ. 9 საათზე ტელევიზორში თამაშს ვუყურებ: ჯერ სერია A, მერე პრიმერა დივიზიონი. ამის შემდეგ გარეთ გავდივარ, აქ, ლინკოლნ როუდზე ვსადილობ, სუპერმარკეტში შევდივარ. 14.30-ზე სერია A-ს კიდევ ერთ თამაშს ვუყურებ პირდაპირ ეთერში. საღამოს თითქმის ყოველთვის სახლში ვარ ჩემს საცოლესთან, გაბრიელასთან და შვილთან, სოფიასთან ერთად. რაც სოფია შეგვეძინა, ჩემი ცხოვრებაც შეიცვალა – უკეთესობისკენ, ცხადია.

**- მოგწონთ წლევანდელი ჩემპიონატი?**

- ეს ძალიან უცნაური სეზონია. თუმცა, ჩვეულებრივიც რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, „ინტერი" მაინც მოიგებდა (ეტყობა, „ინტერს" უკვე ჩემპიონად თვლის). მანჩინის გუნდი ყველაზე უკეთ თამაშობს. „მილანს" რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ძალიან დაგვაზარალეს და არა მარტო ქულების დაკლებით. წინასასეზონო მომზადებისთვის მხოლოდ ოთხი დღე მოგვეცა.

**- თქვენი მუნდიალის გამო, რამეზე გული ხომ არ გწყდებათ?**

- მუნდიალს დიდი იმედებით ვუყურებდი. ორი შეხვედრის შემდეგ ტრავმა მივიღე. მართალია, გავიმარჯვეთ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ თავს ნამდვილ მსოფლიო ჩემპიონად არ ვთვლი. არ შემიძლია, თავი ჩემპიონად ვიგრძნო, იმიტომ, რომ სულ ძირითადში თამაშს ვარ მიჩვეული. გერმანიაში კი, ბოლო ორ, ყველაზე ლამაზ შეხვედრაში, მე მოედანზე არ ვიყავი.

**- სეზონის ბოლოს შეიძლება, „ლაციოში" დაბრუნდეთ? წარმოიდგინეთ, „ვიკიპედიაც" (ინტერნეტ-ენციკლოპედია) კი თითქმის გადაწყვეტილად თვლის რომში თქვენს დაბრუნებას...**

- ამასწინათ იტალიაში ვილაცამ ისიც კი დაწერა, მაიამიდან უკან აღარ დაბრუნდებაო. კონტრაქტის ვადა 2008 წელს გამდის, მაგრამ ტრავმის გამო, ხელშეკრულების ახლა გაგრძელება არასწორად მიმაჩნია. რომში დაბრუნება უაზრობა იქნებოდა: „ლაციო" ჩემი ცხოვრების ლამაზი პერიოდი იყო. ისევ ახალგაზრდა ვარ, მინდა, მაღალ დონზე ვითამაშო, კერძოდ, ჩემპიონთა ლიგაში. უცხოეთში წასვლას რაც შეეხება, ეს იდეა არ მიზიდავს. „მილანთან" ოთხი წლით თუ გავაგრძელებ, მერე წავალ.

**- იქნებ დევიდ ბექჰემს მიბაძოთ და ამერიკაში ჩამოხვიდეთ კარიერის დასასრულებლად...**

- ახლა არა, თუმცა მაიამი და საერთოდ ამერიკა, ძალიან მომწონს. პირველ რიგში ვფიქრობ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და იმ აღზრდაზე, რომლის მიღებაც ჩემს შვილებს ამ ქვეყანაში შეუძლიათ. ფეხბურთის თამაშიც აქ ჯობია, ვიდრე იაპონიაში ან არაბეთში.

**- რონალდოს თაობაზე რას ფიქრობთ?**

- საკვირაო შეხვედრას ვუყურე და მისი თამაში საკმაოდ მომეწონა. ახლა გარემოს უნდა შეეწყოს: როცა „მილანში" გადადიხარ, ბევრი უნდა იმუშაო, ჩვენს გუნდში ადაპტაცია იოლი არაა.

**- პირადად იცნობთ ბრაზილიელს?**

- მხოლოდ როგორც მოწინააღმდეგეს. მახსოვს, რომ ერთხელ ძალიან ცუდი საღამო გამატარებინა: „ინტერი"-„ლაციო", უეფას თასის ფინალი პარიზში, „ინტერმა" 3:0 მოგვიგო. მე ასეთი ძლიერი ფეხბურთელის წინააღმდეგ ცხოვრებაში არ მითამაშია.

**- თქვენი კერპი ვინ იყო?**

- ხოსე შამოტი. როცა „ლაციოს" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, ამ ფეხბურთელს სულ თვალებში ვუყურებდი, მის ყველა მოძრაობას ვსწავლობდი. მკაცრი ტიპიც იყო. ამას წინათ ვნახე: რელიგიურ ფანატიკოსად იქცა.

**- გატუზომ თქვა, რომ რონალდინიოს „მილანში" გადასვლაზე ოცნებობს.**

- ეს ყველა ჩვენგანის ოცნებაა. რონალდინიო უძლიერესია, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, კაკა არაფრით ჩამოუვარდება.

**გოგა ახალაძე**

## ჯუელი და რედნაპი პასუხს აგებენ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ვიგანის" თავკაცი **პოლ ჯუელი** დამნაშავედ სცნო. მიზეზი "არსენალი"-"ვიგანის" გახმაურებული მატჩისას (2:1) მომხდარი ინციდენტია. სტუმართა მწვრთნელი მთავარ მსაჯ **ფილ დაუდს** დაუპირისპირდა. დაუდმა "არსენალის" სასარგებლოდ ორი პრინციპული შეცდომა დაუშვა. მისმა გადაწყვეტილებებმა შედეგზე იქონია გავლენა. ჯუელის კომენტარები სამართლიანი იყო, მაგრამ ასოციაცია არბიტრების პროფესიონალიზმისა და მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენებას არავის პატიობს. ვიგანელთა დამრიგებელს განაჩენს უახლოეს დღეებში გამოუტანენ. პრემიერლიგის ბოლო ტურს კიდევ ერთი მწვრთნელი შეეწირა. "მანჩესტერ სიტისთან" მატჩის (2:0) შემდეგ "პორტსმუთის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** არბიტრი **მაიკ დინი** უწმაწური სიტყვებით შეამკო. ასოციაცია მასაც უმკაცრესად დასჯის.



პოლ ჯუელი

მილანი

# კიჭა: შაბათს ძირითადში

## ბერლუსკონი ფენომენის მონდომებით აღტაცებულია და კომპლიმენტებით ავსებს

რონალდოს დებიუტი „ინტერში" ასეთი იყო: „სან სიროზე" „ნერაძურიმ" 2:1 გაიმარჯვა, მაგრამ ბრაზილიელს არ გაუტანია. გოლი მომდევნო კვირას ბოლონიაში გაიტანა, სადაც „ინტერმა" 4:2 მოიგო. რონალდო-მილანისტას დებიუტიც მსგავსი იყო: 2:1 გამარჯვება „სან სიროზე", მაგრამ გოლის გარეშე. ამ ანალოგიის გამო, „ფენომენისგან" ახლა გოლს შაბათს სიენაში ელიან. ელის ყველა, პირველ რიგში **სილვიო ბერლუსკონი**. სამშაბათს, დოლჩე და გაბანას სახლის მიერ მომზადებული 120-გვერდიანი ფოტოალბომის Milan family-ის პრეზენტაციაზე, ნომერ პირველმა მილანისტამ რონალდო ქების სიტყვებით აავსო: *„რონალდო ძალიან დიდია, კვირას „ლივორნოსთან" ეს უკვე წარმოაჩინა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მოლოდინს გაამართლებს და კვლავაც დაამტკიცებს, რომ სუპერვარსკვლავია. ძალიან მონდომებულია, ბევრს შრომობს და ცხადია, ეს ფაქტი ყველას უზომოდ გვახარებს. რონალდომ პირადად მითხრა, რომ „მილანში" თამაშის მისი ოცნება იყო, საბედნიეროდ, ეს ოცნება რეალობად იქცა. ამასთან, რონალდო ახალგაზრდაა, ჯერ მხოლოდ 30 წლისაა, ჩვენთან კი არის ხალხი, ვინც დაამტკიცა, რომ „მილანის" საკადრისი ფეხბურთელი 38-40 წლის ასაკშიც შეიძლება იყო."*

რონალდოს შემდეგ ბერლუსკონიმ კაკას შესახებ ილაპარაკა: *„რიკი „მილანში" დარჩება, იმიტომ, რომ ბრწყინვალედ გამოხატავს ჩვენს ღირებულებებს: ფასდაუდებელია ის წვლილი, რომელიც ჩვენი გუნდის თამაშში შეაქვს და ამასთან, ჩვენი კლუბის იმიჯსაც საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს."* ორშაბათს კაკამ იტალიის მოქალაქეობა მიიღო. ამასთან დაკავშირებით ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** განმარტა: *„ფედერაციას კითხვით მივმართეთ, შეგვიძლია თუ არა, ახლავე გამოთავისუფლებულად ჩავთვალოთ ერთი ადგილი არაევროკავშირელისთვის. ჩვენი ადვოკატი კანტამესა დარწმუნებულია, რომ ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც ფედერაციის პასუხს ველით."* მანამდე კი პირველ პასუხებს რონალდო იძლევა. თავის ორ მილანურ კვირას „ფენომენი" ასე აფასებს: *„დიდი ენთუზიაზმით ვარ სავსე, „მილანის" მაისურით თამაში ჩემთვის გამოწვევაა, რომელიც ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს. იტალიაზე თავდავიწყებით ვარ შეყვარებული, აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ვხედავ, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. „ლივორნოსთან" ერთი-ორი ეპიზოდი მქონდა, როცა გატანა ვცადე, მაგრამ სამწუხაროდ, ცოტა დამაკლდა. იმედი მაქვს, რომ „სიენასთან" იღბალი ჩემს მხარეს იქნება."* მილანში ნელ-ნელა ისევ იწყება ახალი რონალდომანია, იმდენად, რომ დღეიდან „მილანის" ოფიციალური საიტი დღეიდან აუქციონს აცხადებს „ფენომენის" იმ მაისურზე, რომლითაც „ლივორნოსთან" სადებიუტო შეხვედრაში ითამაშა.

„როსონერის" სამომავლო გეგმებზე **კარლო ანჩელოტიმ** ტიფოზებთან კლუბის ოფიციალური საიტის მიერ მოწყობილ ვიდეოჩეთში ისაუბრა. ტიფოზებს ძალიან აინტერესებდათ, ითამაშებს თუ არა რონალდო სიენაში პირველივე წუთიდან. მწვრთნელის პასუხი ასეთი იყო: *„შესაძლებელია, რომ სიენაში ძირითად შემადგენლობაში დავაყენო. რონალდო ძალიან კარგად ვარჯიშობს, აშკარა პროგრესი აქვს და საოცრად მონდომებულია. ტექნიკისა და ტალანტის მხრივ, მისნაირ ფეხბურთელს გარშემო ვერ ვხედავ".* ანჩელოტიმ სხვა თემებზეც ისაუბრა: *„ყოველთვის ორი თავდამსხმელითა და ერთი გამთამაშებლით ვითამაშებთ. რონალდინიო? ეს შეკითხვა ბერლუსკონის უნდა დაუსვათ. პრეზიდენტთან მე ღია და მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ტელეფონით ხშირად ვესაუბრები. ხანდახან საფეხბურთო საკითხებს ერთად განვიხილავთ, ზოგჯერ ვკამათობთ კიდეც. მიმაჩნია, რომ მწვრთნელისა და*



რონალდო

*პრეზიდენტის ურთიერთობა სწორედ ასეთი უნდა იყოს. გატუზო? 10-ბალიანი სისტემით რომ შევაფასო, მისი მნიშვნელობა 10-ა. ის გუნდის სული და გულია, მე თამაშის სტილითა და მონდომებით მგავს. მომავალი? ჩემი „მილანში" დარჩენა დიდწილად არის დამოკიდებული შედეგებზე. პირადად ჩემი პოზიცია თუ გაინტერესებთ, სიამოვნებით დავრჩებოდი „მილანში" კიდევ მრავალი წლის განმავლობაში."* შაბათს ანჩელოტი მე-300 შეხვედრას ჩაატარებს „მილანის" მწვრთნელის რანგში. „როსონერიში" მისი მონაგარი ასეთია: 174 გამარჯვება, 70 ფრე და 55 წაგება.

ლევერკუზენი

# ბარბარესი ბაიერში რჩება

**სერგეი ბარბარესი** მომავალ სეზონსაც "ლევერკუზენში" გაატარებს. გუშინ კლუბმა გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ვეტერანი ბოსნიელი ფორვარდის "ბაი არენაზე" დარჩენა გადაწყვეტილი ამბავია. 35 წლის ბარბარესს "ფარმაცევტებთან" კონტრაქტი არ უმთავრდებოდა, მაგრამ მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც ფეხბურთელს ზაფხულში გუნდის უსასყიდლოდ დატოვება შეეძლო. "ბაიერის" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** ამბობს, რომ ბარბარესმა ლევერკუზენულ კლუბში დარჩენა გადაწყვიტა.

სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ "ბაიერი" ბრაზილიელმა მცველმა **ჟუანმა** დატოვოს. "ლევერკუზენის" მენეჯერი **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი** ადასტურებს, რომ ჟუანს "რომა" ეპატიჟება. *"დიახ, ჩვენ რომიდან შეტყობინება მივიღეთ, "ჯალოროსი" მზადაა, ჟუანი გადაიბიროს, მაგრამ იტალიელებს ჯერ არც ჩვენგან მიუღიათ თანხმობა და არც ფეხბურთელისგან,"* - ამბობს ჰოლცჰოიზერი. ჟუანს "ლევერკუზენთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს. "ფარმაცევტების" ბოსი იქვე დანანებით აღნიშნავს, რომ დღემდე **ანდრეი ვორონინის** დათანხმება ვერ მოახერხა. როგორც იცით, უკრაინელი ახალ თავგადასავლებს ეძებს და გერმანიიდან აბარგება აქვს გადაწყვეტილი. მას "სელტიკი" ეპატიჟება. ჰოლცჰოიზერი ჯერ არ ნებდება და აცხადებს, ვორონინს აპრილში კიდევ ერთხელ დაველაპარაკებიო.

"ლევერკუზენის" ამბებს კიდევ ერთი ბრაზილიელი მცველის, **როკე ჟუნიორის** შესახებ ინფორმაციით დავასრულებთ. მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელს უმძიმესი ტრავმის გამო ფაქტობრივად ერთი წელი გაუცდა. როკე ჟუნიორი ზამთარში გამოჯანმრთელდა და ცოტა ხნის წინ სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა, მაგრამ "ლევერკუზენის" სამედიცინო შტაბის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტრავმამ ისევ შეახსენა თავი და მოედანზე გასვლას ჯერ ვერ შეძლებს.

## არსენალი: ჩაიზე დედოფალთან

"ინტერი" "არსენალის" მარჯვენა მცველით **ემანუელ ებუეთი** დაინტერესდა. მილანური გრანდი ფეხბურთელს იმ დროიდან აკვირდება, როცა ის "მეთოფეების" პარტნიორ კლუბ "ბევერენში" ასპარეზობდა. 23 წლის ებუე ლონდონური გრანდის შეუცვლელი მოთამაშეა. "არსენალი" მის გაყიდვას არ აპირებს, "ინტერს" კი 6 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია "მეთოფეების" ბანაკიდან. **არსენ ვენგერის** გუნდი დიდი ბრიტანეთის დედოფალ **ელისაბედ მეორესთან** ჩაიზეა მიწვეული. მისი აღმატებულება "არსენალს" დიდი ხნის წინ უნდა სწვეოდა. გადაწყვეტილი იყო, რომ ლონდონელთა ახალ სტადიონს დედოფალი გახსნიდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მას საპატიო მისიაზე უარის თქმა მოუხდა. "ემირატსის" პრეზენტაციას მხოლოდ მისი მეუღლე, პრინცი **ფილიპი** დაესწრო.

## სელტა ვასკესს არ დაითხოვს

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში "სელტამ" "ესპანიოლთან" 0:2 წააგო. ვიგოელმა გულშემატკივრებმა თავიანთი გუნდის თავკაცს, **ფერნანდო ვასკესს** სტვენა აუტეხეს. მათ დამრიგებლის გათავისუფლება მოითხოვეს. დირექტორებმა კი, პირიქით, სენიორ ვასკესს სრული ნდობა გამოუცხადეს და თქვეს, რომ გუნდი სეზონს ამ მწვრთნელთან ერთად ჩაამთავრებს, შემდეგ შედეგებს შეაჯამებენ და გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით გამოიტანენ. 22 ტურის შემდეგ გალისიელებს 22 ქულა აქვთ და ბოლოდან მესამე ადგილზე იმყოფებიან. ამდენივე ქულა აქვს ერთი ადგილით ზემოთ მყოფ "ბილბაოს". ამ კლუბებს გასავარდნი ზონისაგან სამი ქულა ჰყოფთ.



სკოტ კარსონი

ლივერპული

# ბენიტესი ითხოვს კონტრაქტებს

## არსენალმა ლემანი, შეიძლება, კარსონით შეცვალოს

**რაფა ბენიტესი** "ლივერპულის" ორ წამყვან ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტების გაფორმებას ითხოვს. მწვრთნელი შიშობს, რომ ფიფას ახალი სატრანსფერო კანონმდებლობა **ჩაბი ალონსოსა და ლუის გარსიას** კლუბის დატოვების საშუალებას მისცემს. ესპანელ ლეგიონერებს მერსისაიდელებთან კონტრაქტებში ორი წელი აქვთ დარჩენილი. სატრანსფერო კანონმდებლობის მე-17 პუქტზე არაერთხელ ვისაუბრეთ. ამიტომ მისი შინაარსის მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ. "ლივერპულის" ახალი ხელმძღვანელობა ალონსოსა და გარსიას გაშვებას არ აპირებს. მათ გაუმჯობესებულ პირობებს, სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს შესთავაზებენ. რაც შეეხება "ლივერპულის" კიდევ ორ ლიდერს, **სტივ ჯერარდსა და ჯეიმი კარაგერს**, მათი ხელშეკრულებების დაცული პერიოდი გაისად ზაფხულში იწურება, თუმცა მათ პირობებსაც სეზონის დასრულებისთანავე გადახედავენ.

ახალ ხელშეკრულებას არ გაუფორმებენ **ჰარი კიუელს.** 28 წლის ავსტრალიელს შარშანდელი მაისის შემდეგ არ უთამაშია. "ვესტ ჰემთან" ასოციაციის თასის ფინალურ მატჩში მან უმძიმესი ტრავმა მიიღო. კიუელს რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა. ტრავმის შემდეგ 9 თვე მიიწურა. მან კი მხოლოდ ახლა განაახლა ვარჯიში. "ლივერპული" ფეხბურთელს მორალურ მხარდაჭერას უცხადებს, მაგრამ სამომავლოდ მისი იმედი აღარ აქვს. რამდენიმე დღის წინ ჰარის შეძენა "ტოტენჰემმა" მოისურვა. BBC-ს ცნობით, "მამლებმა" "ლივერპულს" 3.2 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. აქვე გეტყვით, რომ ლონდონელებმა კიდევ ერთი ავსტრალიელი ამოიღეს მიზანში. მიდლსბროელი **მარკ ვიდუკაც**, შეიძლება, "უაით ჰართ ლეინზე" გადავიდეს.

დავუბრუნდეთ "ლივერპულს", რომლის მეკარე **სკოტ კარსონს** "არსენალი" ეპატიჟება. "მეთოფეებს" **იენს ლემანთან** კონტრაქტი უმთავრდებათ. მხარეები ახალი ხელშეკრულების პირობებზე ვერ თანხმდებიან. ლემანი ორწლიან თანამშრომლობას ითხოვს, "არსენალი" კი, იმის გამო, რომ გერმანელი 38 წლისაა, თანამშრომლობის გაგრძელებას მხოლოდ ერთი წლით სთავაზობს. საქმე იქეთ მიდის, რომ ლემანი "არსენალს" გამოეთხოვება. მის შემცვლელად კი, როგორც ვთქვით, კარსონია შეგულებული. სკოტი 21 წლისაა და ამჟამად იჯარით "ჩარლტონში" თამაშობს. "ლივერპულს" ფეხბურთელის შესაძლო გაყიდვაზე არაფერი უთქვამს.

ჰერტა

# ბერლინელებს ბაშთურქი აღარ სჭირდებათ

"ჰერტას" გენერალურ მენეჯერ **დიტერ ჰიონესს ილდირაი ბაშთურქის** გამო მოსვენება აქვს დაკარგული. საქმე იმაშია, რომ ბერლინური კლუბის თურქ ნახევარმცველს ქრონიკული ტრავმა აწუხებს და ძალიან იოლად შავდება ხოლმე. ბაშთურქს "ჰერტასთან" კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება. ჰიონესმა მას არაერთხელ შესთავაზა ახალი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ფეხბურთელისგან თანხმობა დღემდე ვერ მიიღო. შესაბამისად, ბოსს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა.

*"ბაშთურქისთვის კონტრაქტის გაგრძელებას პრიორიტეტს აღარ ვანიჭებთ. არ ვარ დარწმუნებული, რომ ილდირაის ტრავმები აღარ შეაწუხებს. აღარ მაქვს იმის იმედი, რომ ის "ჰერტას" წარმატებებს მოუტანს,"* - განუცხადა ჰიონესმა "შპორტ-ბილდს". ამ სეზონში ბაშთურქმა ბერლინური კლუბის მაისურა მხოლოდ 10-ჯერ მოირგო, არცერთი გოლი არ აქვს გატანილი და მხოლოდ ორი საგოლე პასი გააკეთა (ორივე "ჰანოვერთან" 4:0-ით მოგებულ მატჩში), რაც მისნაირი ამბიციური ფეხბურთელისთვის ძალიან ცუდი მაჩვენებელია. თვითონ ფეხბურთელს იმედი აქვს, რომ თუ "ჰერტაში" არ დატოვებენ, რომელიმე ევროპულ ტოპკლუბში ამოყოფს თავს, რაც მისი ტრავმებისა და გაფუჭებული სახელის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა...

ინტერვიუ კარლო მაცონესთან

# დიახ, მოჯის ვიცავ!

## ეს იყო ბაჯოს სპექტაკლი და არა ლიპის, კაპელოსი თუ ტრაპატონისა...



**იტალიური ფეხბურთის პატრიარქი უკვე პენსიონერია. კარლო მაცონე, თავისი საფირმო ირონიულობით, სასტიკი მზერით, მაგრამ სავსე სიკეთით, კაცი, რომელიც არასოდეს ჯდებოდა კალჩოსა და იტალიური საზოგადოების ჩარჩოებში. დღეს ის უმუშევარია. და რა არის ამჟამინდელი კალჩო მის გარეშე? უფრო ღარიბი, ვიდრე იყო. ახლა, ხანდახან რადიოში თუ დაუძახებენ, ხან გაზეთში რაღაცას დაწერს... მაგრამ ის ყოველთვის ამბობდა, რომ ეს მისი საქმე არ არის, მისი ასპარეზი ცოცხალი ფეხბურთია. სწყხს, რომ სამსახურს აღარ სთავაზობენ. ალბათ, ასაკის გამო, თუმცა ის ისევ მხნედ გამოიყურება. შარშან ხომ ლეგენდარული ნერეო როკოს რეკორდიც (მწვრთნელის რანგში ჩატარებული მატჩების რაოდენობით) დაამხო. საინტერესოა, რას ფიქრობს ის იტალიური ფეხბურთის დღევანდელობაზე, და საერთოდ, ამ ურთულესი სფეროს აქტუალურ საკითხებზე... მაცონეს ინტერვიუ სთხოვა "კვოტიდიანოს" ჟურნალისტმა მარიო დ'ასკოლიმ...**

**- მაცონე, იძულებულები ვართ, ტრაგიკული თემით დავიწყოთ. ძალადობა იტალიურ ფეხბურთში... როგორ ფიქრობთ, საკმარისია ის ზომები, რასაც მთავრობა ატარებს?**

- იმედი მაქვს, საკმარისი იქნება. მაგრამ თავად გადაწყვეტილებების მიღება ხდება ცოტა მძიმედ. არადა, ამ ხულიგნებს მალე უნდა მოვუღოთ ბოლო. სამწუხაროა, რომ ამისთვის ადამიანების სიკვდილი გახდა საჭირო...

**- "ულტრასების" ფენომენზე უნდა გკითხოთ. რას ფიქრობთ ამ ხალხზე? ვისი ბრალია მათი უსაზღვრო თარეში?**

- ჩემი აზრით, კლუბების პრეზიდენტებსაც მიუძღვით ამაში სერიოზული ბრალი. ისინი უკეთებენ ორგანიზებას მათ ქმედებებს, მგზავრობას ქალაქიდან ქალაქში... თუმცა არ ვამბობ, რომ შეგნებულად უშვებენ მსხვერპლზე. ტიფოზების უმეტესობა ახალგაზრდა, ჩამოუყალიბებელი ხალხია. მათში დიდი აგრესიაა და არ შეიძლება, კლუბების მაღალჩინოსნები ამას არ ითვალისწინებდნენ.

**- დახურული სტადიონები... ეს პრობლემაა?**

- ძალიან არ მომეწონა ზოგიერთი ჩემი კოლეგის რეაქცია... პირდაპირ ვიტყოდი, შემძრა კიდეც. მაშინ, როცა ილუპება უდანაშაულო ახალგაზრდა პოლიციელი, და ჩვენ არ ვიცით, რით ვანუგეშოთ მისი ოჯახი და წესიერი საზოგადოება, ზოგი მწვრთნელი არსებული სიტუაციით სპეკულირებს და წინასწარ თავს იზღვევს, რომ ცარიელი ტრიბუნების წინ მისი გუნდი კარგად ვერ ითამაშებს. ეს უზნეობაა.

**- სჯობს, რობერტო ბაჯოზე ვისაუბროთ. მალე მას 40 წელი შეუსრულდება...**

- ოო, ბაჯო მსოფლიო მასშტაბის ფიგურა იყო. ის ყოველთვის იძლეოდა საფეხბურთო სპექტაკლის გარანტიას. წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, იმ წყეული მუხლების ტკივილს რომ არ გაეწამებინა?

**- ...და როგორც პიროვნება?**

- ასევე ბრწყინვალე! განათლებული, მოკრძალებული, ზრდილობიანი, საოცრად პუნქტუალური... არ დაგიმალავთ, მისმა ფენომენმა მაიძულა, რაღაც-რაღაცებისთვის გადამეხედა. სამწუხაროდ, რობისთან მხოლოდ სამი წელი ვითანამშრომლე. რა თქმა უნდა, როცა "ბრეშა" იგებდა, მისი უმაღლესი კლასის დამსახურება იყო.

**- მაგრამ ფაქტია, რომ ბაჯოს ვერ აეწყო ურთიერთობა ისეთ დიდ მწვრთნელებთან, როგორებიც არიან ლიპი, კაპელო, ტრაპატონი... რაში ხედავთ მიზეზს?**

- მიზეზი ამ მწვრთნელებს უნდა ჰკითხოთ.

**- ამას თქვენ გეკითხებით...**

- რა გითხრათ... ალბათ იმიტომ, რომ ბაჯოს მიმართ უფრო მეტი ყურადღება იყო. ტიფოზები შტურმით ილებდნენ ხოლმე სასტუმროს, სადაც ვჩერდებოდით. შესაძლოა, იმ მწვრთნელებს, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, ბაჯო სცენასართმევდა, სპექტაკლის ორგანიზატორი სწორედ ის იყო. მიმიხვდით?

**- ახლა ეს სცენა "ინტერს" ეკუთვნის...**

- ...და სრულიად დამსახურებულადაც. "ინტერი" დიდი გუნდია: ტექნიკით, ტაქტიკით, ფიზიკური მომზადებით... რობერტო მანჩინი უკვე მომწიფებული მწვრთნელია. მაგრამ ერთიც უნდა ვთქვათ, რომ "ინტერს" დღეს არ ჰყავს ღირსეული მეტოქეები და ამიტომაც ერთმანეთის მიყოლებით ამყარებს რეკორდებს. არ მაგონდება ასეთი მოსაწყენი და უინტერესო სერია A.

**- "ინტერი", რომელიც დამსახურებულად იგებს სკუდეტოს და "ინტერი", რომელსაც სჩუქნიან სკუდეტოს...**

- მორატის ადგილზე, სკუდეტოს არ ავიღებდი. ფეხბურთში მაინც ყველაფერი მოედანზე წყდება და არა კულისებში. დამიჯერეთ, ასეა. მოედანზე კი "იუვენტუსმა" ყველაფერი დაამტკიცა. მისი გამარჯვება ჩემში არანაირ ეჭვს არ იწვევდა.

**- მართლა?**

- იცით, მე მაინც ვერ გავიგე, რომელი თამაში იყიდა "იუვენტუსმა". მეჩვენება, რომ ყველაფერი ის, რასაც გასულ ზაფხულს და მის მერეც ვისმენდით, ტყუილი ლაყბობა იყო და მეტი არაფერი. სასჯელი, რომელიც "იუვეს" დააკისრეს, სხვა კლუბებთან შედარებით მეტისმეტად უსამართლოა.

**- რა ხდება, მოჯის იცავთ?**

- დიახაც, ვიცავ! მოჯისთან ერთად "რომაში" ვმუშაობდი და ის წლები ჩემს კარიერაში ყველაზე ლამაზად მაგონდება. ახლა, იქნებ ვინმემ მომაძახოს, რომ მაშინ ჩვენ ერთად ვმონაწილეობდით ბინძურ თამაშებში. არც გამიკვირდება. დარწმუნებული ვარ, ლუჩანონეს კანონი არ დაურღვევია. ის შესანიშნავი პიროვნებაა, ასე ვიტყოდი - სიმპათიური და კეთილი ტრაბახა. შეიძლება, ის სატელეფონო საუბრები მისთვის მართლა ჩვეულებრივი ტრაბახი იყო და არა მსაჯებზე ძალადობა. გაითვალისწინეთ, ამას გეუბნებათ ადამიანი, რომელიც მას ძალიან კარგად იცნობს, და ადამიანი, რომელიც ოდითგანვე სასტიკი "ანტი-იუვენტინო" იყო და არის...

**- "ინტერს" დავუბრუნდეთ. შეიძლება ვთქვათ, რომ იტალიაში "ინტერის" ციკლი დაიწყო?**

- შესაძლებელია. მაგრამ ბევრი რამ მეტოქეებზეც იქნება დამოკიდებული. ამ სეზონში მას მეტ-ნაკლებად "რომა" აწუხებს. "რომას" ფეხბურთი კი იტალიაში ყველაზე ლამაზია: სწრაფი, ტექნიკური... ასეთი ფეხბურთი ძნელი სათამაშოა, თან მეტი პრაგმატიზმიცაა საჭირო. ამიტომ, კომპლიმენტები სპალეტის!

**- მხოლოდ სპალეტის?**

- არა, პრანდელისაც, მაძარისაც... "ფიორენტინამ" დიდი ჩამორჩენით დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ ახლა თავისუფლად შეუძლია, ლიგაში მოხვდეს. მაძარი ხომ საერთოდ სასწაულებს სჩადის. ვინ იფიქრებდა, რომ ამხელა ჯარიმის შემდეგ "რეჯინა" ასე მალე დააღწევდა თავს გასავარდნ ზონას. ამ სეზონში მაძარი "ოქროს სკამს" იმსახურებს. გარანტირებულად!

**- რონალდო დაბრუნდა...**

- ის მაიძულებს, რომ მასზე შეყვარებული ვიყო. რაც არ უნდა ილაპარაკონ, რონალდო მაინც რონალდოა. "ლივორნოსთან" თამაში ტელევიზიით ვნახე და ორსამ ეპიზოდში გენიალური ილეთები ჩაატარა, ნამდვილი რონალდოს ილეთები...

**- მაცონე, საბოლოოდ დაშორდით ფეხბურთს?**

- არა, არა... ჩვეულებრივი პენსიონერი ვარ და მგონი, არც არაფერი მიშავს. მაგრამ თუ ვინმე დამიძახებს, საქმეს სიამოვნებით მოვკიდებ ხელს. თუმცა ჯერ არავის ვახსენდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი. საქართველოს ჩემპიონატი

# თერთმეტი ფინალი, ერთი-ორი სენსაცია, ერთი სკანდალი



თორნიკე იველაშვილი

**ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში დასრულდა მოკრივეთა ეროვნული ჩემპიონატი. გუშინ ფინალური დღე იყო, რომელმაც საკმაოდ ემოციურად ჩაიარა. სამწუხაროდ, გულშემატკივრებმა და მოკრივეებმა რაც წინა დღეებში თავი შეიკავეს, გუშინ ამოაფრქვიეს და ორიოდე ინციდენტიც მოხდა. ამაზე ოდნავ ქვემოთ. მივყვეთ ფინელებს წონითი კატეგორიების მიხედვით.**

**48 კგ.** ბოლო წლებში ამ წონის გამოკვეთილმა ფავორიტმა **ზვიად ხადურმა** გუშინ ტიტული უპრობლემოდ დაიცვა. ფინალურ ორთაბრძოლაში, ქულებით, მაგრამ საკმაოდ იოლად (31:9) მოუგო **ალექსანდრე ჩეჩელიანს** და საქართველოს 2007 წლის ჩემპიონი გახდა.

**51 კგ.** აქ კიდევ ერთხელ გაგვაოცა ახალგაზრდა **მერაბ თურქაძემ**. მან ფინალში შარშანდელი ჩემპიონის **გიორგი კილანავას** დამარცხებაც შეძლო. ბრძოლა თავიდან ბოლომდე თანაბრად წარიმართა და ფრედ დასრულდა (13:13). ასეთ შემთხვევაში, კრივში დამატებითი დრო არ ინიშნება და ყველაფერი მსაჯების სიტყვაზეა ხოლმე დამოკიდებული. არბიტრებმა ოდნავ მეტი აქტიურობის გამო, ჩემპიონად თურქაძე დაასახელეს.

**54 კგ.** **კახა ლაზარაშვილი** მთელი შეხვედრის განმავლობაში დიდი თავგამოდებით ·ეომა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ **ნიკოლოზ იზორიას**, თუმცა, ნიკას უფრო მაღალ კლასთან ვერაფერს გახდა და ქულებით დამარცხდა 14:18.

**57 კგ.** ფავორიტს არც ამ შეხვედრაში ჰქონია იოლი გასეირნება. **კობა ფხაკაძე** შარშანდელი ჩემპიონი და ეროვნული ნაკრების წევრი კია, მაგრამ არც **გიორგი კევლიშვილი** ითვლება ხელწამოსაკრავ მოკრივედ. იგი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა შორის მსოფლიო ჩემპიონია, საკმაოდ ჯანიანია და გვეგონა, კობას დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა. თავიდან ასეც იყო და ფხაკაძემ პირველი რაუნდი მხოლოდ 3:1 მოიგო, თუმცა, შემდეგ რაუნდებში პრობლემები ნაკლებად ჰქონდა და 17:8 იმარჯვა.

**60 კგ.** **ვასილ ყაზიშვილს** ფინალამდე მისასვლელად ორი შეხვედრა და ორი რაუნდი დასჭირდა, თუმცა, საქართველოს ნაკრების წევრს ფინალში ნამდვილად არ ჰქონია იოლი გასეირნება - ახალგაზრდა **ამირან ჯანჯღავას** სახით იგი საკმაოდ ძლიერ კონკურენტს გადაეყარა. მართალია, პირველი და მეორე რაუნდები ყაზიშვილმა ხუთქულიანი უპირატესობით მოიგო, მაგრამ ბოლოს შედარებით გაუჭირდა და, საბოლოოდ, 13:9 მოიგო.

**64 კგ.** ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა ამ წონაში იყო **ლევან ღვამიჩავასა და კონსტანტინე კუპატაძეს** შორის. ორივე მოკრივე საკმაოდ ძლიერია და ნამდვილად ცოდვაა, რომ ერთ წონაში გამოდიან. შეხვედრა კუპატაძის მიჯრით მიყრილი დარტყმებით დაიწყო, რომელიც 3:0 დაწინაურდა. თუმცა, შემდეგ ღვამიჩავაც ამოქმედდა და ტაბლოზე ელვის სისწრაფით იცვლებოდა ქულები. პირველი რაუნდი კუპატაძემ 9:8 მოიგო, მეორე რაუნდის შემდეგ 11:11 იყო, ხოლო ბოლო სამწუთიანი მონაკვეთის წინ, ღვამიჩავა იგებდა მინიმალური სხვაობით. ბოლო რაუნდის დასაწყისში კი, არასწორი დარტყმისთვის კუპატაძემ გაფრთხილება მიიღო, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, სწორედ ამ გაფრთხილებით მიღებული მინუს ორი ქულით წააგო შეხვედრა (13:15).

მართალია, გაფრთხილებაში რეფერი ფორმალურად მართალი იყო, მაგრამ ასეთ დაძაბულ ბრძოლაში, ალბათ, მაინც ჯობდა თავი შეეკავებინა. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას, არბიტრებს ამაზე გაცილებით უარეს დარღვევებზე დაუხუჭიათ თვალი. სხვათა შორის, მსაჯობით კოტეს გულშემატკივრები საკმაოდ უკმაყოფილონი დარჩნენ.

თუმცა, კუპატაძემ წაგება ალბათ, უფრო საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. თავდაცვის მაგივრად, უფრო ხშირად რომ შეეტია, ალბათ მოიგებდა კიდეც, რადგან ძირითადად, სწორედ ასეთი ელვისებური შეტევისას იღებდა ხოლმე ქულებს. თუმცა, არც ღვამიჩავას შესანიშნავი გარჯის დაკნინება გვინდა.

ისე, ჩემპიონატის სპონსორმა "ნაციონალურმა ავიახაზებმა" კუპატაძე ანთალიაში 10-დღიანი დასასვენებელი საგზურით დაასაჩუქრა. მოგვიანებით კი იგივე საჩუქარი კახა ჟვანიასაც გაუკეთა.

**69 კგ.** **კახა ჟვანია** რომ ამ წონის გამოკვეთილი ლიდერია, ფინალმა კიდევ ერთხელ დაგვანახა. **გიორგი გონჯილაშვილმა** მხოლოდ პირველი რაუნდი გაუძლო, მეორეში კი, როდესაც 9:0 დაწინაურდა, გონჯილაშვილის სეკუნდანტმა პირსახოცის გადაგდება არჩია. მოკლედ, ამ დროისთვის, კახა თავის წონაში ათი თავით აღემატება ყველა მეტოქეს და ვიმედოვნებთ, საერთაშორისო შეჯიბრებებზეც გვასახელებს.

**75 კგ.** **რეზო ქარელიშვილი** ისე გახდა ჩემპიონი, რომ მხოლოდ ერთი შეხვედრის ჩატარება დასჭირდა. არც ნახევარფინალში და არც გუშინ, მეტოქეები არ გამოუცხადნენ.

**81 კგ.** ყველაზე სკანდალური **დავით წიკლაურისა** და **თორნიკე იველაშვილის** ფინალი აღმოჩნდა. იველაშვილი შარშანდელი ჩემპიონია, დათო კი შარშანდელ ჩემპიონატზე არ გამოსულა, რადგან ბოლო წლებში ამ წონის ფავორიტი იყო და დასვენება არჩია. ახლა გამოჩნდა, რომ ახლაგაზრდა იველაშვილის სახით მას საკმაოდ სახიფათო კონკურენტი ეზრდება. ერთადერთი, ვისაც მისთვის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილის ჩამორთმევა შეუძლია, სწორედ იველაშვილია. გუშინ თორნიკემ ალალად აჯობა წიკლაურს, რომელიც მთელი ოთხი რაუნდი საკმაოდ ერთფეროვნად იბრძოდა - სისტემატურად თავჩაღუნული, ჯიქურ მიიწევდა მეტოქეზე და ცდილობდა, მძლავრი დარტყმებით წონასწორობიდან გამოეყვანა. იველაშვილმა სასტარტო მღელვარების შემდეგ, სწრაფად აუღო ალღო წიკლაურის ტაქტიკას და მშვენივრად იცავდა თავს. ისე, ცოტა გაბედულად რომ ეკრივა, უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება, მაგრამ ჩემპიონობას მინიმალურად გამარჯვებაც (15:14) ეყო.

წიკლაური, მისი მწვრთნელები და გულშემატკივრები ისე განარისხა წაგებამ, რომ ბრძოლის დამთავრების შემდეგ, მოედანზე შევარდნენ და ატყდა დიდი გაწევ-გამოწევა. ოდნავ მოგვიანებით, აურზაურმა გასახდელში გადაინაცვლა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. წაგება, რა თქმა უნდა, დასანანია, მაგრამ სპორტსმენმა მარცხის ღირსეულად გადატანაც უნდა იცოდეს. მსაჯობით კი თუ ვინმე უკმაყოფილო უნდა დარჩენილიყო, ეს იველაშვილია, რადგან მთელ რიგ მომენტებში, წიკლაური აშკარად გასაფრთხილებელი იყო, მაგრამ რეფერიმ ყველა შემთხვევაში თავი შეიკავა...

**91 კგ.** ეჰ, **დავით შათირიშვილი**... შარშანდელი ფინალი ბექა ლობჟანიძესთან წააგო, ახლა კი, მართალია, ბექა მძიმე წონაში გადავიდა, მაგრამ ახლა **იაგო კილაძე** გამოჩნდა. შათირიშვილმა კილაძესთან 6:12 წააგო და ზედიზედ მეორედ მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**+91 კგ.** მძიმე წონაში **ბექა ლობჟანიძე** ისეთივე გამოკვეთილი ფავორიტია, როგორც 91 კილოგრამში იყო. მან ნახევარფინალში თამაზ ჯავოევის სენსაციურად დამმარცხებელ **დავით სტეფანიასაც** იოლად მოუგო. 3:14-ზე სტეფანიას სეკუნდანტმა ბრძოლის შეწყვეტა ითხოვა და ჩემპიონობა ლობჟანიძემ იზეიმა.

**კობა ხატისაშვილი**

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

**48 კგ**

1. ზვიად ხადური (თბილისი)
2. ალექს. ჩეჩელიანი (ახალქალაქი)
3. დავით თედიაშვილი (ვარიანი)
3. დავით გასპიანი (ფოთი)

**51 კგ**

1. მერაბ თურქაძე (ქუთაისი)
2. გიორგი კილანავა (ფოთი)
3. იროდი ონაშვილი (რუსთავი)
3. ვახტანგ წინამძღვრიშვილი (გორი)

**54 კგ**

1. ნიკოლოზ იზორია (ფოთი)
2. კახა ლაზარაშვილი (ვარიანი)
3. ვანო ყორჩიშვილი (გურჯაანი)
3. ხვიჩა პაპიაშვილი (თბილისი)

**57 კგ**

1. კობა ფხაკაძე (ქუთაისი)
2. გიორგი კევლიშვილი (გორი)
3. გიორგი ნაროზაული (გარდაბანი)
3. ნუგზარ გუმბარიძე (ქუთაისი)

**60 კგ**

1. ვასილ ყაზიშვილი (გორი)
2. ამირან ჯანჯღავა (რუსთავი)
3. მინდია ჭინჭარაული (გარდაბანი)
3. არტიომ კულახსზიანი (ახალქ.)

**64 კგ**

1. ლევან ღვამიჩავა (ფოთი)
2. კონსტანტინე კუპატაძე (თბილისი)
3. ამირან გოგიავა (ბათუმი)
3. სპარტაკ წოწონავა (თბილისი)

**69 კგ**

1. კახა ჟვანია (ფოთი)
2. გიორგი გონჯილაშვილი (გარდაბ.)
3. გაგა ელიაშვილი (ქუთაისი)
3. პეტრე ჯანგავაძე (ქუთაისი)

**75 კგ**

1. რევაზ ქარელიშვილი (ვარიანი)
2. გიორგი ნაკანი (მესტია)
3. ნიკა თამაზაშვილი (თბილისი)
3. ლევან გულედანი (თბილისი)

**81 კგ**

1. თორნიკე იველაშვილი (გარდაბანი)
2. დავით წიკლაური (თბილისი)
3. ირაკლი ღუნღუა (ფოთი)
3. ლევან კლდიაშვილი (თბილისი)

**91 კგ**

1. იაგო კილაძე (საჩხერე)
2. დავით შათირიშვილი (თელავი)
3. ემზარ ბერაია (ქუთაისი)
3. ვენედიკ კაზარიანი (ახალქალაქი)

**+ 91 კგ**

1. ბექა ლობჟანიძე (გორი)
2. დავით სტეფანია (ფოთი)
3. თამაზ ჯავოევი (თბილისი)
3. ალექს. ქავთარაძე (მარნეული)



აყალმაყალი იველაშვილ-წიკლაურის ფინალის შემდეგ



მოულოდნელი ჩემპიონი - მერაბ თურქაძე



კევლიშვილ-ფხაკაძის ფინალი



ქვემძიმედან მძიმეში - ბექა ლობჟანიძე



კოტე კუპატაძე, ლევან ღვამიჩავა



ფავორიტის გამარჯვება - ნიკოლოზ იზორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

მემკვიდრეობა



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ სალარაძე**

# დინამო, ქართული სპორტის ფლაგმანი

"**სპორტი** ძალიან მნიშვნელოვანია ბევრი ასპექტის გამო. პირველ ყოვლისა, სპორტი ეროვნული სიამაყეა, ეროვნული სულისკვეთება, პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი. ერი ვერ იქნება ბრძოლისუნარიანი და არ ექნება ღირსების გრძნობა, თუ ფიზიკური წარმატებები არ აქვს" - თქვა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" ყოველთვის იყო ქართული სპორტის ფლაგმანი, "დინამო", როგორც ქართული სპორტის წარსული, აწმყო და მომავალი. ეს ლიტონი სიტყვები არ არის. 80-წლიანი ისტორიის მანძილზე, "დინამო" მარტო სპორტული მიღწევებით როდი ამაყობდა. ის იყო ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობების აღმზრდელი და დღესაც, მისი უპირველესი მიზანია, ეს ტრადიცია არ მოიშალოს. სპორტულ დარბაზებსა და მოედნებს უნდა დავუბრუნოთ ახალგაზრდობა, ქუჩას უნდა მოვწყვიტოთ ათასობით ბავშვი და ამით ვებრძოლოთ ნარკომანიას. ამიტომაცაა წინა პლანზე წამოწეული, მასობრივი სპორტის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა საზოგადოებაში, სპორტული ტრადიციების აღდგენა-განმტკიცება. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო", მისი პრეზიდენტის, გოჩა ძასოხოვის ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად...

"მე საქართველოს შვილი ვარ" - ეს ბატონი გოჩას გულმხურვალე, ჭეშმარიტი სიტყვებია და მზად არის, გზად და ხიდად იქცეს ოსებსა და ქართველებს შორის, თავისი წვლილი შეიტანოს ისტორიული მეგობრობისა და თანაცხოვრების აღდგენის საქმეში.

მცირე ექსკურსი. სპორტსაზოგადოება "დინამოს" საფუძველი ჩაეყარა 1925 წელს და იქიდან მოყოლებული, უდიდესი როლი ითამაშა ქართული სპორტის განვითარებაში. ათეულობით მსოფლიოს, ოლიმპიური, ევროპის და უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული აღზარდა "დინამომ". მსურს, მათი ვინაობა მომავალ თაობებს გავაცნო. ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ვიტყვი, რომ 1992 წლამდე სპორტული კოლექტივი ინოდებოდა "საქართველოს "დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოდ", 1992 წელს კი დაფუძნდა, როგორც საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო". 2004 წლიდან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და მის ხელმძღვანელად პირველად მოგვევლინა სამოქალაქო და არა ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანი, როგორც ეს ადრე იყო. თავმჯდომარედ აირჩიეს ვეტერანი სპორტსმენი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი **გოჩა ძასოხოვი**. არჩევითია ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის აღმასრულებელი დირექტორისა და ახალშექმნილი სპორტის აღორძინების ფონდის თავმჯდომარის თანამდებობები. ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს "დინამოს" კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზებისა და სპორტული მოედნების აღდგენა-რეკონსტრუქცია. ახალი ბრწყინვალება შეიძინა ყველასთვის საყვარელმა "დინამოს" სტადიონმა. დაგეგმილია, აღდგეს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ცურვის, ჭიდაობის, ძალოსნობის, კალათბურთის, ტყვიით სროლისა და სხვა სახეობების დარბაზები. მომავალ წელს, ქალაქ ცხინვალში, ამოქმედდება "ნორჩი დინამოელის" სპორტული სკოლა და მოედანი.

1925 წელს შეიქმნა თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი. მის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაძლიერებაში დიდი წვლილი შეიტანეს **დავით** და **ვლადიმერ ცომაიებმა, ანდრო ჟორდანიამ, გრიგოლ ფაჩულიამ, ნიკოლოზ ხრომოვმა** და სხვებმა. გაიხსნა მძლეოსნობის სექციები, რომლის პიონერები გახლდნენ **ბორის დიაჩკოვი** (შესანიშნავი ტანმოვარჯიშეც იყო) **გიორგი შხვაცაბაია** - სიმაღლეზე ხტომის რეკორდსმენი, შემდგომში დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი. ყველას გვახსოვს **ოთარ ქორქია**, ქართული კალათბურთის ჯადოქარი, ლეგენდად გადაიქცა **ბორის პაიჭაძის** ("ფეხბურთის კარუზოდ" წოდებული) სახელი, **ნინო დუმბაძე** - მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში, **ალექსანდრე ჯორჯაძე, სერგო ჯაიანი** - ტანვარჯიშის დიდოსტატები, **შალვა ჩიხლაძე, ვალარშაკ მაჩკალიანი** - საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავეები. დაუვიწყარია **ვახტანგ კუხიანიძის** ამაგი "დინამოში" ჭიდაობის დანერგვასა და განვითარებაში. მის აღზრდილთა შორის არიან **ილია ბობოხიძე, შოთა დაუშვილი, ესტატე ქარქუსაშვილი, ოთარ კანდელაკი, ნიკო მუზაშვილი, სერგო გაბარაევი** და მრავალი სხვა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული სიყვარულით იყო გარემოსილი ფეხბურთი, რომლის ფლაგმანს "დინამო" წარმოადგენდა. აქვე, გავიხსენოთ დინამოელთა წარმატებები: სსრკ ჩემპიონი (1964, 1978); სსრკ თასის მფლობელი (1976, 1979); სსრკ ბრინჯაოს პრიზიორი (1936, 1947, 1950, 1959, 1962, 1967, 1969, 1971, 1972, 1976 გაზაფხული, 1976 შემოდგომა, 1981); სსრკ თასის ფინალისტი (1936, 1937, 1946, 1960, 1970, 1980); საქართველოს ჩემპიონი (1990, 1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999, 2003, 2005); საქართველოს თასის მფლობელი (1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 2003, 2004); დსთ-ს თასის მფლობელი (2004). და ამ ყველაფრის კულმინაცია - ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება 1981 წელს. დიდი მეგობრობა მაკავშირებდა **მიხეილ მესხთან, შოთა იამანიძესთან, სლავა მეტრეველთან,**



გოჩა ძასოხოვი

**გივი ჩოხელთან, მურთაზ ხურცილავასთან, კახი ასათიანთან, დავით ყიფიანთან, მანუჩარ** და **გოჩა მაჩაიძეებთან, ვლადიმერ ბარქაიასთან... ნოდარ ახალკაცი** განსაკუთრებული იყო, როგორც ჩემთვის, ასევე თითოეული ჩვენგანისთვის... სამწუხაროდ, ერთი საგაზეთო ფურცელი ვერ დაიტევს შესანიშნავ ფეხბურთელთა ჩამონათვალს...

ამ ძირძველ სპორტულ საზოგადოებას მართლაც აქვს საამაყო ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა რაოდენობით. აი, ისინიც: ოლიმპიური ჩემპიონები **არსენ მეკოკიშვილი** -თავისუფალი ჭიდაობა; **რაფაელ ჩიმიშკიანი** - ძალოსნობა; **მზია ჯუღელი, გალინა შარაბიძე** - ორივე ტანვარჯიშში; **რობერტ შავლაყაძე** - მძლეოსნობა (სიმაღლეზე ხტომა); **ნუგზარ ასათიანი** - ფარიკაობა; **ვიქტორ სანეევი** - მძლეოსნობა (სამხტომი); **ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია** - ორივე კალათბურთი; **ვახტანგ ბლაგიძე** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა; **დავით გობეჯიშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა; **ვლადიმერ აფციაური** - ფარიკაობა; **ვლადიმერ გოგოლაძე** - ტანვარჯიშში; **გელა კეტაშვილი** - ფეხბურთი; **დავით ხახალეიშვილი, ზურაბ ზვიადაური** - ორივე ძიუდო; მსოფლიო ჩემპიონები: **გალინა შარაბიძე** - ტანვარჯიშში; **ზურაბ საკანდელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი** - ორივე კალათბურთი; **არსენ მეკოკიშვილი, შოთა ლომიძე, დავით გობეჯიშვილი, ლუკა (ელდარ) კურტანიძე** - ყველა თავისუფალი ჭიდაობა; **მიხეილ სალაძე, თემურ აფხაზავა, ვახტანგ ბლაგიძე, მუხრან ვახტანგაძე, მანუჩარ კვირკველია, ვახტანგ გოგლიჩიძე, ჯემალ ბაკურიძე** (ორივე ახალგაზრდებში) -ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა; **იოსებ მაღალაშვილი, დავით ხახალეიშვილი, მალხაზ ბერუაშვილი, ჯონდო მუზაშვილი, არჩილ ჩოხელი, მამუკა კურდღელაშვილი** - ყველა ყველა სამბო; **ომარ ფხაკაძე** - ველოსპორტი; **მიხეილ გიორგაძე** - წყალბურთი; **შოთა ქველიაშვილი** - ტყვიით სროლა; **რაფაელ ჩიმიშკიანი** - ძალოსნობა; **ნუგზარ ასათიანი** - ფარიკაობა (გუნდურში); **მაია ჩიბურდანიძე** - ჭადრაკი (ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი); ევროპის ჩემპიონები: კალათბურთელები - **ნოდარ ჯორჯიკია, ოთარ ქორქია, მიხეილ ქორქია, გურამ მინაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი.** კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელები (1962): **გურამ მინაშვილი, რევაზ გოგელია, ვალერი ალთაბაევი, ლევან მოსეშვილი, ანზორ ლეჟავა, ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე პეტროვი**; თავისუფალი სტილით მოჭიდავეები - **შოთა ლომიძე, ლევან თედიაშვილი, რაშ ხუტამბა, დავით გობეჯიშვილი, ლუკა კურტანიძე, დავით პოლოსიანი**; ძიუდოისტები - **ანზორ კიკნაძე, ჯიბილო ნიჟარაძე, ნესტორ ხერგიანი, გიორგი რევაზიშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი, დავით ხახალეიშვილი**; ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები - **თემურ აფხაზავა, ვახტანგ ბლაგიძე, მიხეილ სალაძე**; სამბისტები - **არჩილ ჩოხელი, იოსებ ახალბედაშვილი, ივანე გამხიტაშვილი**; წყალბურთელი - **მიხეილ გიორგაძე**; სპორტული ტანმოვარჯიშე - **რუსუდან სიხარულიძე**; მძლეოსნობა - **ნინო დუმბაძე, ანატოლი მოშიაშვილი, ვიქტორ სანეევი**; ცურვა - **თინათინ ლეკვეიშვილი, ბორის ნიკიტინი**; წყალში ხტომა - **გიორგი ჩოგოვაძე**; ტყვიით სროლა - **შოთა ქველიაშვილი, მარლენ პაპავა**; ძალოსნობა - **რაფაელ ჩიმიშკიანი**; ჩოგბურთი - **ალექსანდრე მეტრეველი**; ფეხბურთი - **მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი**; ჭადრაკი - **მაია ჩიბურდანიძე, ქეთევან არახამია**. ეს მხოლოდ ჩემპიონთა ჩამონათვალია. პრიზიორთა რაოდენობა რუბრიკისთვის დათმობილ გვერდზე ნამდვილად ვერ დაეტეოდა.

არ მინდა, დავივიწყო დამსახურება და ამაგი "დინამოს" ღვაწლმოსილი ადამიანებისა, რომლებმაც თავიანთი მუხლჩაუხრელი შრომით საქართველოს აღუზარდეს სახელოვანი სპორტსმენთა თაობები: ძიუდოს პაპად წოდებული **ბიძინა მაზიაშვილი**, ძმები - **ქრისტიფორე** და **აკაკი ნინიაშვილები** (სამბო), **ჯემალ კოსტავა** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ომარ მერაბიშვილი** (ძიუდო), **ომარ უშვერიძე** (ფეხბურთი). ასევე დიდად ვაფასებთ ათეული წლების მანძილზე სპორტულ კლუბ "დინამოში" **დიმიტრი სამუშიას, გიორგი ფაჩულიას, ვახტანგ დიდიძის, ნოდარ გვახარიას, კახი ასათიანის, ჯიმი მიქელაძის, გია ჩეჩელაშვილის, ვლადიმერ ისელიძის, ვალერიან როგავას, რობიზონ თუშურაშვილის, ნიკა ივანიშვილის, ზაზა ხელაიას, ვახტანგ ბუხნიკაშვილის, ვახტანგ ცაგარეიშვილის, თენგიზ სისორდიას, ვლადიმერ არუთინოვისა** და თავისი საქმის სხვა პროფესიონალთა ღვაწლს. წინ ახალი გამარჯვებებია...



1981 წლის 13 მაისი. დინამოს კულმინაცია

ჭიდაობა

ხვალ დილომში, ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში იწყება საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელსაც ანტიკური ჭიდაობის ტურნირი გახსნის. შაბათს 50, 60, 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, კვირას - 55, 66, 84 და მძიმე წონების წარმომადგენლები. ასეთივე მიმდევრობით იჭიდავებენ „თავისუფლებიც", რომლებიც ესტაფეტას ორშაბათს გადაიბარებენ.

საქართველოს ჩემპიონატი. U-21

# ყველანი თქვენ-თქვენ წონაში!

საქართველოს ჩემპიონატი 26 ივნისიდან 1 ივლისამდე ბელგრადში გასამართი ევროპირველობისთვის სასტარტო შესარჩევი ეტაპია. ამიტომ ტურნირში ყველა უძლიერესი ფალავანი გამოდის, თუმცა სხვადასხვა მიზეზით, ანტიკოსებს რამდენიმე წამყვანი მოჭიდავე მაინც დააკლდებათ. ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ამ ტურნირისგან **ლაშა გოგიტაძე** (55) და **რევაზ ლაშხი** (60) გაათავისუფლა. მოგეხსენებათ, იანვარში ლაშხი საქართველოს ჩემპიონი უფროსებში გახდა, გოგიტაძემ კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამჟამად ორივე ბაკურიანშია შეკრებაზე ეროვნულ ნაკრებთან ერთად. მათ თავიანთ წონებში სერიოზული კონკურენტი არც ჰყავთ და ახალგაზრდულ ნაკრებში ადგილები აქედანვე დაიბევეს.

ჩემპიონატს ავადმყოფობის გამო **გურამ კვერღელიძე** (66), **დავით არობელიძე** (74) და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) გამოაკლდებიან. ოზურგეთელი კვერღელიძე ტრავმირებულია, მისივე თანაქალაქელ არობელიძეს, ვახტანგ ქორიძის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონს კი თურმე გულმა შეუქმნა პრობლემები. რაც შეეხება გეგეშიძეს, მან გერმანიაში გაკეთებული მენისკის ოპერაციის შემდეგ ახლახანს განაახლა ვარჯიშები და, საქართველოს კი არა, ეჭვობენ, ევროპირველობამდე მოასწროს ფორმაში შესვლა.

ბელგრადში წასვლამდე უმცროსი „ანტიკოსები" სამ ტურნირში გამოიცდებიან - 10-11 მარტს სოფიაში, პეტკო სირაკოვის მემორიალზე, 25-27 მაისს - იზმირის საერთაშორისო ტურნირში და 1-3 ივნისს - ერევანში, ლევონ ჯულფალაკიანის სახელობის ტურნირში. ადეიშვილიც ამის შემდეგ საბოლოოდ დაასახელებს ბელგრადში წასაყვან შემადგენლობას.

„თავისუფალთა" ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** შეღავათი არავის მისცა და ამ ტურნირში ყველა ის ახალგაზრდა იჭიდავებს, ვისაც საევროპო ნაკრებში მოხვედრა სურს. თანაც, სხირელის მკაცრი მოთხოვნით, ყველა თავის წონაში გამოვა.

საქართველოს ჩემპიონატის გარდა, სხირელი ბელგრადში წასაყვან შემადგენლობას კიდევ ორ ტურნირზე შეარჩევს - 17-18 მარტს რიგაში, ფრეინდელფელდის მემორიალზე, და 25-27 მაისს, იზმირში. ტურნირების პარალელურად, ორივე ნაკრები გზადაგზა რამდენიმე შეკრებასაც გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ქართველები NBA-ში

# ჰოქსის მოგება ზაზას დუბლით

სამშაბათს შემოგთავაზეთ **ზაზა ფაჩულიას** ინტერვიუ, რომელშიც ატლანტას ქართველი ლეგიონერი სეზონის საუკეთესო მატჩად 6 იანვარს "კლიპერსთან" დაპირისპირებას მიიჩნევდა. მაშინ "ჰოქსმაც" გაიმარჯვა და ფაჩულიამაც 22 ქულა დააგროვა **ელტონ ბრენდის** წინააღმდეგ. როგორც ჩანს, "კლიპერსთან" თამაში ჩვენიანს განსაკუთრებით კარგად გამოსდის - 14 თებერვალსაც გაიბრწყინა, 15 ქულა, 12 მოხსნა მოაგროვა და რაც მთავარია, "ატლანტას" სტუმრად გაამარჯვებინა - 96:93.

სიტყვა "გაამარჯვებინა" შეიძლება ამაყ გამონათქვამად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ამერიკულ გამოცემებშიც ეწერა: *"ზაზა ფაჩულიას ორმაგი დუბლი "ჰოქსის" გამარჯვების საწინდარი გახდა".*

ქვემოთ შეგიძლიათ მიმდინარე სეზონში ჩვენიანის მიერ შესრულებულ დუბლებს გადახედოთ. ახლა კი უშუალოდ "კლიპერს"-"ატლანტას" მატჩზე ვთქვათ.

მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ფაჩულია მოედანზე მეშვიდე წუთზე შეუშვა. ამ დროს ანგარიში საყაიმო იყო - 13:13. ასეთივე თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა პირველმა ტაიმმა, რომელიც მასპინძლებმა ორი ქულის სხვაობით მოიგეს.

მესამე პერიოდში მწვრთნელმა ზაზას შეყვანა 5 წუთს შეაყოვნა და როცა ფაჩულიამ რაიტი შეცვალა, ტაბლოზე 57:49 ეწერა ("კლიპერსის" სასარგებლოდ). მოედანზე გამოჩენისთანავე ქართველმა ცენტრმა შეტევაში "ატლანტას" თამაში გამოასწორა, თვითონ 7 ქულა ჩააგდო, ხოლო მასპინძლებს დიდი სხვაობით დაწინაურების უფლება არ მისცა.

მაიკ ვუდსონმა მეოთხე თორმეტწუთეულიც ზაზას გარეშე დაიწყო და ძალიანაც შეცდა - "კლიპერსმა" **ქრის კამანის** წყალობით 13-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (79:66). სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ "ატლანტას" თამაში შემოეტრიალებინა და ასეც მოხდა - ზაზამ მეოთხე მეოთხედის დასკვნით 8 წუთში 9 ბურთი მოხსნა ფარზე, რასაც 4 ქულა და თითო პასი-დაფარება მიამატა. ფარქვეშ სიტუაციის გამოსწორებამ ლიდერ **ჯო ჯონსონზეც** დადებითად იმოქმედა, რომელმაც 27-დან 6 ქულა დასკვნით 19 წამში მოაგროვა. საფინალო სირენის პარალელურად **კორინ მაგეტს** სამქულიანით მატჩის ოვერტაიმში გადაყვანის საშუალება ჰქონდა, მაგრამ ამ ტყორცნას ზაზამ დააფარა!

"ატლანტამ" 21-ე მატჩი მოიგო და ქომაგებს ფლეი ოფში მოხვედრის იმედი განუმტკიცა. ოლონდ ამისთვის აუცილებელია დარჩენილი თამაშების 60 პროცენტი მაინც მოიგოს.

ფაჩულია თანაგუნდელებთან ერთად NBA-ს მატჩებისგან ერთი კვირით დაისვენებს - 18-ში ხომ "ოლ სტარია". ბოლო ინფორმაციით ვარსკვლავთა მატჩში ატლანტელი ჯო ჯონსონიც გამოიძახეს. იგი ტრავმირებულ **ჯეისონ კიდს** შეცვლის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**კლიპერსი-ატლანტა 93:96**

19:24, 26:19, 30:19, 18:34

**კლიპერსი:** კასელი (27 წთ. 10 ქ), მობლი (47 წთ. 31 ქ), ტომასი (38 წთ. 10 ქ. 8 მ), როსი (20 წთ. 2 ქ), კამანი (37 წთ. 20 ქ. 13 მ), ლივინგსტონი (25 წთ. 11 ქ), მაგეტი (22 წთ. 5 ქ), სინგლტონი (13 წთ. 2 ქ), ა. უილიამსი (7 წთ. 2 ქ).

ატლანტა: აივი (7 წთ), ჯონსონი (43 წთ. 27 ქ), მ. უილიამსი (43 წთ. 10 ქ), სმიტი (31 წთ. 19 ქ. 11 მ. 4 დ), რაიტი (17 წთ. 4 ქ. 7 მ), ჩილდრესი (39 წთ. 13 ქ), **ზაზა ფაჩულია (26 წუთი, 15 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი, 2 დაფარება, 5 ფოლი)**, კლექსტონი (26 წთ. 7 ქ. 6 პ), სტაუდმაიერი (4 წთ. 1 ქ), შ. უილიამსი (1 წთ), ჯ. რიჩარდსონი (1 წთ), ლიუ (1 წთ).

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 05:33 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 05:23 | ფოლი: 1 |
| 03:38 | დაფარება: 1 (უილიამსს დაუფარა) |
| 03:35 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 01:19 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:48 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (21:19) |
| **II მეოთხედი** | |
| 11:15 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:14 | ფოლი: 2 |
| 07:25 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:47 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 05:40 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (38:34) |
| 05:25 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |
| **III მეოთხედი** | |
| 07:27 | ფაჩულიამ რაიტი შეცვალა |
| 07:16 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (51:57) |
| 06:57 | ფოლი: 3 |
| 06:29 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 06:29 | საჯარიმოები: 2/2 (8 ქ, 54:59) |
| 05:31 | საჯარიმოები: 2/1 (9 ქ, 55:62) |
| 04:47 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:45 | ორქულიან ტყორცნა: არაზუსტი |
| 04:45 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 03:37 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 02:08 | საჯარიმოები: 2/2 (11 ქ, 60:69) |
| 01:33 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:55 | ფაჩულია რაიტმა შეცვალა |
| **IV მეოთხედი** | |
| 07:49 | ფაჩულიამ სტაუდმაიერი შეცვალა |
| 07:47 | მოხსნა: 4 (შეტ: 3, დაც: 1) |
| 07:10 | ორქულიანი ტყორცნა: 13 ქ (76:81) |
| 07:10 | მოხსნა: 5 (შეტ: 4, დაც: 1) |
| 05:07 | მოხსნა: 6 (შეტ: 5, დაც: 1) |
| 04:24 | ორქულიანი ტყორცნა: 15 ქ (84:87) |
| 04:24 | მოხსნა: 7 (შეტ: 6, დაც: 1) |
| 04:04 | ფოლი: 4 |
| 04:03 | მოხსნა: 8 (შეტ: 6, დაც: 2) |
| 03:27 | მოხსნა: 9 (შეტ: 6, დაც: 3) |
| 03:07 | ფოლი: 5 |
| 03:05 | მოხსნა: 10 (შეტ: 6, დაც: 4) |
| 02:14 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 01:40 | მოხსნა: 11 (შეტ: 7, დაც: 4) |
| 01:40 | პასი: 1 (ჩილდრესი 2 ქ, 90:90) |
| 00:29 | მოხსნა: 12 (შეტ: 7, დაც: 4) |
| 00:04 | დაფარება: 1 (მაგეტს დაუფარა) |

**ზაზა ფაჩულია:** 49 მატჩი, 28 წუთი, 11.4 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.5 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.2 შეცდომა, 3.8 ფოლი; **ატლანტა:** 52 მატჩი, 21 მოგება, 31 წაგება, მე-4 ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში; **მომდევნო მატჩი:** ჩიკაგო-ატლანტა (20 თებერვალი)



ზაზა ფაჩულია ქრის კამანის წინააღმდეგ

**ამ სეზონის ორმაგი დუბლები**

1 ნოემბერი: ფილადელფია-ატლანტა 88:75 – 15 ქულა, 12 მოხსნა
18 ნოემბერი: ატლანტა-მაიამი 88:93 – 12 ქულა, 11 მოხსნა
29 ნოემბერი: ატლანტა-შარლოტი 99:90 – 12 ქულა, 13 მოხსნა
1 დეკემბერი: ატლანტა-კლივლენდი 95:106 – 20 ქულა, 11 მოხსნა
22 დეკემბერი: ატლანტა-ინდიანა 90:100 – 10 ქულა, 14 მოხსნა
9 თებერვალი: ფინიქსი-ატლანტა 111:120 – 10 ქულა, 11 მოხსნა
14 თებერვალი: კლიპერსი-ატლანტა 93:96 – 15 ქულა, 12 მოხსნა

ლეგიონერები

# ორიანები



გიორგი ცინცაძე

ამ ინფორმაციაში საუბარი **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** მატჩებზე გვექნება, ოლონდ არ გეგონოთ სათაურში ნახსენები "ორიანები" მათ ცუდი თამაშით დაიმსახურეს. საქმე ისაა, რომ ვიქტორისა და გიორგის მონაგარს რომ გადავხედეთ, ჯამში 14 ორიანი აღმოვაჩინეთ. ახლა უფრო კონკრეტულად. ვიქტორი "ესტუდიანტესს" ევროთასზე ლიტვური "შიაულიაის" ძლევაში დაეხმარა - 95:70. ამ შეხვედრაში სტუდენტთა მწვრთნელმა თორმეტივე კალათბურთელი გამოსცადა და 22-ზე მეტი წუთი არავინ უთამაშებია.

სანიკიძეს 10 წუთი ერგო და თავი არ შეურცხვენია: ერთი ორქულიანი ზუსტად სტყორცნა, 2 საჯარიმო ააცილა, 2 ქულას დასჯერდა, დაცვაში 2-ჯერ მოხსნა, 2 ჯარიმა მიიღო და ამდენივე შეცდომა დაუშვა, რასაც 1 ჩაჭრა მიამატა. ამ გამარჯვებით "ესტუდიანტესმა" ოფიციალურად გაინაღდა ფლეი ოფის საგზური. ბოლო ტურში ესპანელები ბელგიურ "ლიეჟს" დაუპირისპირდებიან.

საპირისპიროდ, მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა **ვახტანგ ნაცვლიშვილის** "დიჟონმა", რომელმაც ესპანეთში "ხირონასთან" წააგო - 83:117. ქართველ ფორვარდს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ევროთასი. **5 ტურის შემდეგ. I ჯგუფი:** 1. ესტუდიანტესი (ესპანეთი) - 4 მოგება, 2. აელ (კვიპროსი) - 4 / 3. ლიეჟი (ბელგია) - 1, 4. შიაულიაი (ლიტვა) - 1. **L ჯგუფი:** 1. ხირონა (ესპანეთი) - 5 მოგება, 2. ვირტუსი (იტალია) - 4 / 3. დიჟონი (საფრანგეთი) - 1, 4. კალევი (ესტონეთი) - 0

მოთმინებით ველოდით ბალტიის ლიგაზე ქართულ დაპირისპირებას. **გიორგი ცინცაძის "როკმა" სერგო ათუაშვილის** "ნეპტუნასი" მიიღო, მაგრამ ქართული დუელი არ შედგა - სერგო ლიტველებს ესტონეთში არ ჩაჰყოლია. თუმცა, რომც ეთამაშა, ვერც ის მოახერხებდა ფორმააკრებილი როკერების შეჩერებას, რომლებმაც ბალტიის ლიგაში ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგეს - 100:78.

ვირუსმოცილებული გიორგი ცინცაძე მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე გაამწესა და მხოლოდ 18 წუთი ათამაშა. თუმცა, ამ დროში ბუმ დაგვანახა, რომ ერთკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ ფორმიდან არ ამოვარდნილა: 2-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი ჩააგდო და 10 ქულას 2-2 პასი-ფოლი და თითო მოხსნა-შეცდომა მიამატა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 12-ს გაუტოლდა. მატჩის სნაიპერი ტარტუელი **მარტინ ვიიასკი** გახდა - 23 ქულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ბალტიის თასი**

II ჯგუფი, 7 ტურის შემდეგ. 1. როკი (ესტონეთი) - 7 მოგება, 2. ნევეჟისი (ლიტვა) - 4 / 3. კალევი (ესტონეთი) - 4, 4. ნეპტუნასი (ლიტვა) - 4, 5. ლეპაია (ლატვია) - 4, 6. ატლეტასი (ლიტვა) - 2, 7. საკალაი (ლიტვა) - 1, 8. პანევეჟისი (ლიტვა) - 1.

## ჩოგბურთი

# სენტ პოლს დაემშვიდობა

ამერიკაში სენტ პოლის საერთაშორისო ტურნირში წარუმატებლად იასპარეზა 19 წლის **სოფიო მელიქიშვილმა**. 50-ათასიანი საჩოგბურთო ტურნირის პირველ წრეში სოფიო ინდონეზიელ ვეტერან **რომანა ტეჯაკუსუმას** ხვდებოდა. მართალია, ინდონეზიელი რეიტინგში ქართველზე წინაა (ტაჯაკუსუმა 297-ე ჩოგანია, მელიქიშვილი - 338-ე.), მაგრამ წინა ორი ურთიერთშეხვედრაში მელიქიშვილმა აჯობა მეტოქეს. სამწუხაროდ, გუშინ ტაჯაკუსუმამ სამ სეტში იმარჯვა, მელიქიშვილმა პირველი სეტი ტაი ბრეიკში 7:3 მოიგო, შემდეგ კი ზედიზედ ორი სეტი დათმო და სენტ პოლის ტურნირს გამოეთიშა - 7:6, 0:6, 2:6.

**ნ. ნ.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ოლიმპიურ ჩემპონს და პრიზიორს თავისუფალ ჭიდაობაში, ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" აღმასრულებელ დირექტორს დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი უსამძიმრებს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და პრიზიორს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" სამძიმარს უცხადებს ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სახელოვან ვეტერან ფალავანს დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალებით გამოწვეულ ღრმა მწუხარებაში.**

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და პრიზიორს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**"ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს დავით გობეჯიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

## კალათბურთი

ყველა ვარსკვლავის მატჩი 2007

# კიდი ჯო ჯონსონმა შეცვალა



ჯო ჯონსონი

18 თებერვალს, ლას ვეგასში გასამართი "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების შემადგენლობები საბოლოოდ დაკომპლექტდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი ცვლილება მოხდა აღმოსავლეთი კონფერენციის ნაკრებში. ტრავმის გამო "ოლ სტარზე" თამაშს ვერ შეძლებს "ნიუ ჯერსი ნეტსის" მცველი **ჯეისონ კიდი**. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** მის შემცვლელად, "ატლანტა ჰოუქსის" მცველი **ჯო ჯონსონი** დაასახელა.

**ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელი, 2002 წლის შემდეგ პირველი ატლანტელი კალათბურთელი იქნება, ვინც "ყველა ვარსკვლავის მატჩში" ითამაშებს. უკანასკნელად, ამ გუნდიდან ეს პატივი **შარიფ აბდურ-რაჰიმს** ხვდა წილად.

*"დილით ჩვენი გენერალური მენეჯერის - ბილი ნაითის სატელეფონო ზარმა გამაღვიძა. სწორედ მან შემატყობინა, რომ "ოლ სტარზე" ვიყავი მიწვეული. ეს ჩემი პირველი აღიარებაა და ამიტომაც, უბედნიერესი ადამიანი ვარ"*, - განაცხადა ჯო ჯონსონმა.

"ატლანტას" ლიდერი წლევანდელ რეგულარულში მეათე ადგილზეა ბომბარდირთა სიაში - ის საშუალოდ მატჩში 25.1 ქულას აგროვებს. გარდა ამისა, მის აქტივში შეიძლება შევიტანოთ 4.3 შედეგიანი გადაცემა, 4.2 მოხსნა და 1.0 ჩაჭრა.

წელს, ჯონსონმა "ატლანტას" რეკორდიც დაამყარა - სეზონის სტარტზე, ზედიზედ ხუთ მატჩში ის მინიმუმ 25 ქულას აგროვებდა.

მაშ ასე, "ოლ სტარის" შემადგენლობების გამოცხადებიდან დღემდე, ორივე გუნდში ჯამში ხუთი ცვლილება მოხდა. დასავლეთის ახალწვეულები გახდნენ - **რეი ალენი** ("სიეტლი"), **კარმელო ენტონი** ("დენვერი"), **ჯოშ ჰოვარდი** ("დალასი") და **მეჰმეთ ოქური** ("იუტა").

საბოლოოდ, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების შემადგენლობები ასე გამოიყურება:

**აღმოსავლეთი**

| | ამპ | სიმ | დაბ |
|---|---|---|---|
| 0. გილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | მცვ | 191 | 06.01.82 |
| 1. ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი) | მცვ | 191 | 25.09.76 |
| 2. ჯო ჯონსონი (ატლანტა) | მცვ | 201 | 29.06.81 |
| 3. კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | ფორ | 201 | 13.03.80 |
| 3. დუეინ უეიდი (მაიამი) | მცვ | 193 | 17.01.82 |
| 4. კრის ბოში (ტორონტო) | ფორ | 209 | 24.03.84 |
| 7. ჯერმეინ ო'ნილი (ინდიანა) | ფორ/ცენ | 211 | 13.10.78 |
| 12. დუაიტ ჰოვარდი | ცენ/ფორ | 211 | 08.12.85 |
| 15. ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | მცვ/ფორ | 198 | 26.01.77 |
| 23. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | ფორ | 204 | 30.12.84 |
| 32. რიჩარდ ჰამილტონი (დეტროიტი) | მცვ/ფორ | 201 | 14.02.78 |
| 32. შაკილ ო'ნილი (მაიამი) | ცენ | 216 | 03.06.72 |

*მთავარი მწვრთნელი: ედი ჯორდანი (ვაშინგტონი)*

**დასავლეთი**

| | ამპ | სიმ | დაბ |
|---|---|---|---|
| 1. ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი) | ცენ | 209 | 16.11.82 |
| 1. ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | მცვ | 204 | 24.05.79 |
| 5. ჯოშ ჰოვარდი (დალასი) | ფორ | 201 | 28.04.80 |
| 9. მეჰმეთ ოქური (იუტა) | ცენ | 211 | 26.05.79 |
| 9. ტონი პარკერი (სან ანტონიო) | მცვ | 188 | 17.05.82 |
| 15. კარმელო ენტონი (დენვერი) | ფორ | 204 | 29.05.84 |
| 21. ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | ფორ | 213 | 25.04.76 |
| 21. კევინ გარნეტი (მინესოტა) | ფორ | 211 | 19.05.76 |
| 24. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | მცვ | 198 | 23.08.78 |
| 31. შონ მერიონი (ფინიქსი) | ფორ | 201 | 07.05.78 |
| 34. რეი ალენი (სიეტლი) | მცვ | 196 | 20.07.75 |
| 41. დირკ ნოვიცკი (დალასი) | ფორ | 213 | 19.06.78 |

*მთავარი მწვრთნელი: მაიკ დ'ენტონი (ფინიქსი)*

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა–მემფისი 114:104**

26:33, 25:23, 36:27, 27:21

**ინდიანა:** ჯ. ო'ნილი (23 ქ. 9 მ. 3 დ), ლ. გრეინჯერი (21 ქ. 5 მ), მ. დანიელსი (18 ქ).

**მემფისი:** გეი (31 ქ. 6 მ), გასოლი (19 ქ. 13 მ), უორიკი (15 ქ).

**ორლანდო–პორტლენდი 103:91**

21:20, 31:19, 29:23, 22:29

**ორლანდო:** თურქოგლუ (24 ქ. 4 პ), მილიჩიჩი (21 ქ. 8 მ. 4 პ), დუაიტ ჰოვარდი (20 ქ. 16 მ), აროიო (15 ქ. 7 პ).

**პორტლენდი:** რენდოლფი (28 ქ. 10 მ), ბ. როი (19 ქ. 6 მ), ჯარეტ ჯეკი (12 ქ. 5 პ).

**ტორონტო ნიუ ჯერსი 120:109**

32:23, 29:28, 32:35, 27:23

**ტორონტო:** კ. ბოში (25 ქ. 9 მ. 6 პ), პეტერსონი (18 ქ. 7 მ), ტ. ფორდი (17 ქ. 8 პ), კალდერონი (16 ქ. 6 პ), ე. პარკერი (16 ქ), ბარნიანი (15 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ნახბარი (26 ქ. 8 მ), ე. ჰათუსი (19 ქ), მ. უილიამსი (19 ქ), კარტერი (17 ქ. 6 მ. 10 პ).

**ფილადელფია–ვაშინგტონი 85:92**

23:22, 22:22, 17:21, 23:27

**ფილადელფია:** კორვერი (18 ქ), იგუოდალა (14 ქ. 8 მ. 13 პ), ა. მილერი (13 ქ. 9 პ), კერნი (13 ქ), ჯო სმითი (12 ქ. 9 მ), დალემბერი (11 ქ. 17 მ).

**ვაშინგტონი:** არენასი (22 ქ. 8 მ), კ. ბატლერი (16 ქ. 8 პ. 5 ჩ), სონგაილა (12 ქ), ბლეტჩი (11 ქ. 10 მ. 4 დ).

**შარლოტი–ჩიკაგო 100:85**

24:29, 25:16, 26:20, 25:20

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (32 ქ. 7 მ), ოკაფორი (15 ქ. 21 მ. 6 დ), კეროლი (17 ქ), ფელტონი (16 ქ. 9 პ).

**ჩიკაგო:** ბ. გორდონი (20 ქ), დენგი (19 ქ. 9 მ), ბრაუნი (12 ქ).

**ბოსტონი–მილუოკი 117:97**

19:32, 39:22, 31:20, 28:23

**ბოსტონი:** პირსი (32 ქ. 4 პ), გრინი (21 ქ), ელ ჯეფერსონი (17 ქ. 10 მ), რონდო (9 ქ. 11 მ).

**მილუოკი:** მ. უილიამსი (31 ქ. 4 პ), ბ. ბელი (24 ქ. 7 მ. 4 პ), სკინერი (13 ქ. 11 მ), ბოგუტი (9 ქ. 8 მ. 7 პ).

**დეტროიტი–სან ანტონიო 81:90**

19:25, 15:26, 20:19, 27:20

**დეტროიტი:** ჰემილტონი (20 ქ. 4 პ), ბილაპსი (19 ქ. 7 მ. 6 პ).

**სან ანტონიო:** დანკანი (23 ქ. 8 მ), ჯინობილი (20 ქ), ტ. პარკერი (16 ქ. 8 პ), ელსონი (12 ქ. 18 მ).

**მინესოტა–დენვერი 99:94**

23:28, 28:22, 22:26, 26:18

**მინესოტა:** ბლაუნტი (24 ქ. 8 მ), გარნეტი (19 ქ. 17 მ), მაკნეტსი (12 ქ).

**დენვერი:** ენტონი (28 ქ. 5 პ), ნენე (18 ქ. 4 ჩ), კემბი (12 ქ), ბლეიკი (4 ქ. 18 მ).

**ნ. ორლეანი–საკრამენტო 110:93**

26:22, 31:25, 28:21, 25:25

**ნიუ ორლეანი:** მეისონი (18 ქ), დ. უესტი (16 ქ. 9 მ), დ. ბრაუნი (15 ქ), ჩენდლერი (10 ქ. 15 მ).

**საკრამენტო:** არტესტი (18 ქ), კ. უილიამსონი (16 ქ), კ. მარტინი (15 ქ).

**იუტა–კლივლენდი 99:98**

19:29, 26:23, 23:20, 31:26

**იუტა:** დერონ უილიამსი (33 ქ. 6 მ. 12 პ), ოქური (22 ქ), კირილენკო (10 ქ. 3 დ).

**კლივლენდი:** ჰიუზი (33 ქ), ლ. ჯეიმსი (23 ქ. 10 მ. 3 მ), გუდენი (15 ქ. 10 მ), ვარეჟაო (9 ქ. 17 მ).

**სიეტლი–ფინიქსი 114:90**

30:21, 33:31, 29:25, 22:13

**სიეტლი:** რ. ალენი (31 ქ. 6 მ. 4 პ), კოლისონი (22 ქ. 15 მ), რ. ლუისი (20 ქ).

**ფინიქსი:** ბენქსი (21 ქ), ა. სტაუდმაიერი (18 ქ. 13 მ), ბარბოზა (16 ქ. 5 პ), მერიონი (10 ქ. 10 მ).

**გ. სტეიტი–ნ. იორკი 120:101**

30:19, 32:19, 30:40, 28:23

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (36 ქ. 8 მ), ელისი (23 ქ. 7 პ), ჰარინგტონი (17 ქ. 9 მ. 6 პ), აზუბუიკე (15 ქ. 7 მ).

**ნიუ იორკი:** რობინსონი (23 ქ), დ. ლი (13 ქ. 10 მ), კარი (13 ქ. 7 მ), ბელკმენი (13 ქ. 7 მ).

**კლიპერსი–ატლანტა 93:96**

19:24, 26:19, 30:19, 18:34

**კლიპერსი:** მობლი (31 ქ), კამანი (20 ქ. 13 მ. 6 დ), ლივინგსტონი (11 ქ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (27 ქ), ჯოშ სმიტი (19 ქ. 11 მ. 4 დ), ფაჩულია (15 ქ. 12 მ).

## ჩოგბურთი

ქველმოქმედება

# მარიამ ფული გაიღო

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩი გახდა. გუშინ, ნიუ იორკში, ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა.

ჩოგბურთელისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმებით, მარია შარაპოვამ 1986 წელს, ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებული ტერიტორიების რეაბილიტაციაზე უნდა იზრუნოს.

ამ მხრივ, მარიამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი და შესაბამის ფონდში 100 ათასი დოლარი გადარიცხა.

*"ეს ფული ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებული რაიონების რეაბილიტაციას მოხმარდება. იქ აშენდება სპორტული მოედნები, კომპიუტერიზებული სკოლები და თანამედროვე საავადმყოფოები"*, - აცხადებს შარაპოვა.

ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს მოუყვა, რომ მის ოჯახს უშუალო შეხება ჰქონდა იმ ტრაგედიასთან. 1986 წელს, მარიას ოჯახი ბელარუსის ქალაქ გომელში ცხოვრობდა და იძულებული გახდა ციმბირში გადასახლებულიყო, რათა მომავალ ჩოგბურთელზე ფეხმძიმე შარაპოვას დედის ჯანმრთელობა გადაერჩინა. როგორც მარია ამბობს, მისი ნათესავები დღესაც ცხოვრობენ რადიაციით დაბინძურებულ რაიონებში.

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

### მისკინას არ უმართლებს

მარტის შუა რიცხვებამდე გადაიდო რუსი **ანასტასია მისკინას** დიდ ჩოგბურთში დაბრუნება. "როლან გაროსის" ყოფილმა ჩემპიონმა ფეხის ტრავმა მიიღო და ამის გამო, დოჰასა და ინდიან უელსის ტურნირებიდან მოიხსნა. ძირითად ბადეში მისკინას ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა** შეცვლის.

ამ სეზონში მისკინამ მხოლოდ ერთი ოფიციალური შეხვედრა გამართა - წლის დასაწყისში, ოკლენდის ტურნირის პირველ წრეში არგენტინელ **გისელა დულკოსთან** დამარცხდა.

ჭადრაკი

### ფედერაცია მოკარნახეებს ებრძვის

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (FIDE), მოჭადრაკეების მხრიდან კომპიუტერის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს. FIDE აპირებს, ჭადრაკში კომპიუტერების წყალობით მიღებული დახმარება, სპორტის სხვა სახეობაში დოპინგის მიღებას გაუტოლოს.

ყველას კარგად ახსოვს სკანდალი, რომელიც **ვლადიმერ კრამნიკისა** და **ვესელინ ტოპალოვის** საჩემპიონო მატჩის დროს მოხდა. მაშინ, ბულგარელმა დიდოსტატმა მეტოქე იმაში დაადანაშაულა, რომ პარტიების მსვლელობისას კრამნიკი კარნახით სარგებლობდა. რუსმა ყველა ბრალდება უარყო და პროტესტის ნიშნად, ერთ პარტიაზე არ გამოცხადდა. ტოპალოვმა ვერაფერი დაამტკიცა და ინციდენტი მოგვარდა.

ამ დღეებში კი, ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ ამგვარ მეთოდებს თავად ტოპალოვიც იყენებს. მას ამაში მისივე მენეჯერი **სილვიო დანაილოვი** ეხმარება.

სწორედ ამ ფაქტების გამო, FIDE-მ საჭადრაკო მატჩების ჩატარების წესების გამკაცრება გადაწყვიტა. ის მოჭადრაკე, რომელიც კარნახით ისარგებლებს, დისკვალიფიკაციით დაისჯება.

კალათბურთი

### პარდუეის გეები ეზიზღება

"მაიამი ჰიტის" ყოფილმა მცველმა **ტიმ ჰარდუეიმ** განაცხადა, რომ საშინლად ეჯავრება გეები.

აი, რა თქვა ცნობილმა კალათბურთელმა სპორტულ გადაცემა Sports Talk-ში: *"დიახ, მე მეზიზღება გეები და ამას ხმამაღლა ვაცხადებ. ეს არაბუნებრივი მოვლენაა, რომელიც ამ სამყაროში არ უნდა არსებობდეს"*.

კალათბურთში ჰომოსექსუალიზმის თემა ამ დღეებში გახდა აქტუალური. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც NBA-ის ყოფილმა კალათბურთელმა **დონ ამაეჩიმ** აღიარა, რომ ის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა გახლავთ.

გადაცემაში ჰარდუეის ისიც ჰკითხეს, თუ რა რეაქცია ექნებოდა, მის გუნდში გეის რომ ეთამაშა: *"პირველ რიგში, არანაირი სურვილი არ მექნებოდა, რომ ჩემს გუნდში ასეთი ადამიანები ყოფილიყვნენ. მაგრამ, თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა და მეცოდინებოდა, რომ ერთ-ერთი თანაგუნდელი პედერასტია, მისგან შორს დავიჭერდი თავს. კიდევ ვიმეორებ - ეს არაბუნებრივია! არა მგონია, რომ ის სხვებთან ერთად გასახდელში გაეჩერებინათ"*.

### დივაცს პენსია დაუნიშნეს

როგორც Eurosport.com იუწყება, სერბეთის მთავრობამ ცნობილ კალათბურთელ **ვლადე დივაცს** კალათბურთის განვითარებისთვის გაწეული ღვაწლი დაუფასა და მას პერსონალური ხელფასი დაუნიშნა.

უნდა აღინიშნოს, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი მადრიდის "რეალის" სპორტულ დირექტორად მუშაობდა.

### უცნაური გადაწყვეტილება

ვილნიუსის "ლეტუვოს რიტასის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი პოსტიდან გაათავისუფლა სლოვენიელი სპეციალისტი **სმაგო ზაგადინი**.

კლუბის შეფების ამ გადაწყვეტილებამ გაკვირვება გამოიწვია, რადგან ლიტვურმა გუნდმა ორი დღის წინათ, ULEB-ის თასზე იტალიის "სნაიდერო" გამოთიშა ასპარეზობას და მეოთხედფინალში გავიდა.

"ლეტუვოს რიტასის" გენერალურმა მენეჯერმა **იონას ვაინაუსკასმა** მადლობა გადაუხადა სლოვენიელს იმისთვის, რომ მან რთულ მომენტში დიდი დახმარება გაუწია გუნდს, მაგრამ იქვე დაამატა, რომ მომავალი წარმატებებისთვის ზაგადინის შეცვლა გარდაუვალი იყო.

ლიტვურ კლუბს სეზონის ბოლომდე **ალექსანდრ ტრიფუნოვიჩი** უხელმძღვანელებს, რომელიც მანამდე, მთავარი მწვრთნელი ასისტენტის მოვალეობებს ასრულებდა.

მძლეოსნობა

### რედკლიფმა მუნდიალისთვის მზადება დაიწყო

ცნობილმა ბრიტანელმა მორბენალმა, მარათონში მსოფლიო რეკორდის მფლობელმა **პოლა რედკლიფმა** შვილის დაბადების შემდეგ ვარჯიში განაახლა. ბრიტანელი მძლეოსნის განცხადებით, პირველი მსუბუქი ვარჯიში მან მშობიარობიდან 12 დღის შემდეგ ჩაატარა, ახლა კი, გრძელ მანძილებზე სირბილიც დაიწყო.

უახლოეს დღეებში, რედკლიფი ოჯახთან ერთად კოლორადოში, თავის ტრადიციულ საწვრთნელ ბანაკში გამგზავრებასა და იქ სრულფასოვანი შეკრების გამართვას აპირებს. ამ სეზონში ბრიტანელის მთავარი მიზანი, ოსაკაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლაა. თუმცა, რედკლიფს ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელ დისტანციაზე გააკეთებს არჩევანს - 10000 მეტრზე თუ მარათონზე.

სათხილამურო სპორტი

### ტრაგედია ალპებში

ფრანგმა მაშველებმა ალპებში ბრიტანელი სამთო მოთხილამურის - **სტივენ გლედმენის** უსულო სხეული აღმოაჩინეს. მოთხილამურე რამდენიმე დღის წინათ, პატარა ქალაქ ლა-პლანის ახლოს ჩამონოლილმა ზვავმა იმსხვერპლა. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ეს ინფორმაცია ადგილობრივმა პოლიციამ გაავრცელა.

სხვათა შორის, ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე, ალპებში ანალოგიური მიზეზის გამო კიდევ ორი მოთხილამურე დაიღუპა.

კრივი

### ჰოლიფილდი 17 მარტს იჩხუბებს

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდი** თავის მორიგ ბრძოლას 17 მარტს გამართავს. სააგენტო AP-ის ცნობით, მისი მეტოქე **ვინი მედელოუნი** იქნება.

ბრძოლა ტექსასის შტატში გაიმართება. ეს იქნება ერთ-ერთი ნაწილი იმ შოუსი, რომელშიც მძიმეწონოსანი **კლეინ ბროკი** და უმჩატეს წონაში მოასპარეზე **რაულ მარტინესი** იჩხუბებენ.

## ცურვა

ვარსკვლავი

# ტორპი არაფერზე დარდობს




იან ტორპი

სახელოვანი ავსტრალიელი მოცურავე **იან ტორპი** ამბობს, რომ არ ნანობს, სპორტიდან წასვლის გადაწყვეტილება რომ მიიღო და კატეგორიულად გამორიცხავს დაბრუნებას - ერთხელ ვთქვი და მორჩა, გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებო.

კვირის დასაწყისში, ტორპი მელბურნს ეწვია, სადაც მონაწილეობა მიიღო მელბურნ პარკის **როდ ლეივერის** სახელობის კორტის დროებით საწყლოსნო კომპლექსად გადაკეთების სამუშაოების დაწყების ცერემონიაში. ეს კომპლექსი მარტში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს და ბუნებრივია, რომ მშენებლობის დაწყებამ ჟურნალისტთა ყურადღება მიიქცია.

ტორპმა სპორტი სამი თვის წინათ დატოვა, მაგრამ მალე პრესაში გაჩნდა ინფორმაცია მისი შესაძლო დაბრუნების შესახებ. მაშინ ამის მიზეზი ის იყო, რომ ტორპმა დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს გვიან აცნობა თავისი გადაწყვეტილება და შესაბამისი რეესტრიდან მოხსნაც დაუგვიანდა. საქმე ისაა, რომ ამ რეესტრში აღდგენას საკმაოდ დიდი დრო (ცხრა თვე) სჭირდება, რაც სპორტში დაბრუნების შემთხვევაში, გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის. ჰოდა, როცა გაირკვა, რომ ტორპი დოპინგის რეესტრში კვლავაც რეგისტრირებული იყო, ბევრმა ჩათვალა, რომ ავსტრალიელი "ტორპედო" მალე შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას.

*"როცა გამოვაცხადე, რომ დიდი სპორტიდან მივდივარ, იმთავითვე გამოვრიცხე დაბრუნების შესაძლებლობა. იმ ადამიანების კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც დღეს ერთს ამბობენ, ხვალ კი სხვას აკეთებენ. ერთხელ ვთქვი და შევასრულებ კიდეც. ისე კი, ცურვაზე ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ეს მხოლოდ წარსულის გახსენებას ეხება და არა იმას, რომ დავრჩენილიყავი, რას მივაღწევდი"*, - ამბობს ტორპი.

ის დასძენს, რომ ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, თუ რა სფეროში გააგრძელოს მოღვაწეობა. ერთ რამეში კი დარწმუნებულია - ის აუცილებლად მოუხშირებს მასმედიასთან ურთიერთობას და შესაძლოა, ეს, პირველ რიგში, იმაში გამოიხატოს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ტელერეპორტაჟების დროს კომენტარები გააკეთოს.

*"ამ დღეებში უამრავი შეხვედრა მქონდა, უფრო მეტი კი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მექნება. ამ ეტაპზე ჩემი უმთავრესი საზრუნავი შემდგომი კარიერაა, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ გარკვეულწილად, ტელევიზიასთანაც ვითანამშრომლებ. ალბათ, ერთბაშად რამდენიმე საქმეს მოვეკიდები და მათ შორის, აუცილებლად იქნება ტელევიზია. პირველ ხანებში მაინც"*, - ამბობს ტორპი, ვისაც თავისი არცთუ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, ოლიმპიადებზე 5 და მსოფლიო ჩემპიონატებზე 11 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული. ამასთან, 2001 წელს იაპონიის ფუკუოკაში ჩატარებულ მუნდიალზე მან სარეკორდო, 6 ოქრო მოიპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

პრო ტური

# დიდი სამეული შეტევაზე გადადის

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირსა (UCI) და დიდი ტურების ორგანიზატორებს შორის დაძაბულობა მალე პიკს მიაღწევს. ამის მიზეზი კი შეიძლება გახდეს ჯირო დ'იტალიას ორგანიზატორების გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სეზონის პირველ ველომარათონზე პრო ტურის ლიცენზიის მქონე 20-ვე გუნდის ნაცვლად, მხოლოდ 18 მიიწვიონ.

ჯიროს ორგანიზატორმა კომპანია RCS-მა გამოაცხადა, რომ რბოლაზე არ დაუშვებს პრო ტურის ახალ გუნდ "იუნიბეტ.კომი-ს". გარდა ამისა, ჯერაც არაა გადაწყვეტილი პრო ტურის კიდევ ერთი გუნდის, ყაზახური "ასტანას" ბედი. თუ ეს გუნდი უაილდ ქარდს არ მიიღებს, მაშინ იტალიის ტურზე ვერც ის გამოვა.

გარდა ამისა, RCS აცხადებს, რომ "იუნიბეტ.კომ-ს" მის მიერ ორგანიზებულ სხვა რბოლებშიც არ დაუშვებს. ეს რბოლები კი არის პრო ტურის კალენდარში შესული ტირენო-ადრიატიკო და მილანი-სან რემო.

აღსანიშნავია, რომ ჯიროს ორგანიზატორთა გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ ტურ დე ფრანსისა და ვუელტას ორგანიზატორები, რომლებიც ემხრობიან მათ რბოლებში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებას. ამ გადაწყვეტილებით კი ღრმავდება განხეთქილება პრო ტურის ორგანიზატორ UCI-სა და დიდი ტურების ორგანიზატორებს შორის, რომლებიც ველომარათონების გარდა, სხვა პრო ტურის კალენდარში შესულ პოპულარულ რბოლებსაც ატარებენ.

"გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას, ჯიროს დირექტორმა **ანჯელო ძომენიანმა** განაცხადა, რომ "იუნიბეტ.კომ-ის" არმიწვევის მთავარი მიზეზი ჯიროს ტექნიკური და ეკონომიკური მოთხოვნებისადმი ამ გუნდის შეუსაბამობაა. მისივე თქმით, ჯიროს ორგანიზატორებს სრულ მხარდაჭერას პირდებიან ტურის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი** და ვუელტას დირექტორი **ვიქტორ კორდერო**.

სხვათა შორის, ჯიროს ორგანიზატორები აცხადებენ, რომ პრო ტურის რამდენიმე გუნდისგან ჯერაც არ მიუღიათ განაცხადები. ეს გუნდებია "რაბობანკი", "გეროლშტაინერი" და "კაისე დ'ეპარნი". ამ გუნდებიდან, განაცხადის შეტანის ვადას გადააცილა "კაისე დ'ეპარნმა", "რაბობანკი" და "გეროლშტაინერი" კი თვლიან, რომ მათ განაცხადის გარეშეც აქვთ ჯიროზე მონაწილეობის უფლება.

თუ არსებული პრობლემა დროულად არ მოგვარდა, მაშინ ამ სამ გუნდსაც არ გააკარებენ ჯიროს. ამ შემთხვევაში, რბოლის მონაწილეთა შორის გაიზრდება უაილდ ქარდებით მიწვეული გუნდების რაოდენობა.

რაც შეეხება "იუნიბეტ.კომ-ს", მისი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დიდი რბოლების ორგანიზატორთა მხრიდან მათი უგულვებელყოფის შემთხვევაში, გუნდი სპონსორის დაკარგვისა და შესაბამისად, გაკოტრების საშიშროების წინაშე აღმოჩნდება.

**გუნდები, რომლებსაც გარანტირებული აქვთ ჯიროზე გამოსვლა**

Ag2r პრევოიანსი, ბუიგ ტელეკომი, კოფიდისი, კრედიტ აგრიკოლი, ფრანსის დე ჟუ (საფრანგეთი)

დისქავერი ჩენელი (აშშ)

ეუსკალტელ-ეუსკადი, სონიე დიუვალ-პროდირი, კაისე დ'ეპარნი * (ესპანეთი)

ლამპრე-ფონდიტალი, ლიკიგაზი, მილრამი (იტალია)

პრედიქტორ-ლოტო, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი (ბელგია)

ტიმ CSC (დანია)

T-მობილი, გეროლშტაინერი * (გერმანია)

რაბობანკი * (ჰოლანდია)

* - ვარსკვლავით აღნიშნულმა გუნდებმა რბოლის ორგანიზატორებს დროულად უნდა მიაწოდონ განაცხადები

**უაილდ ქარდის კანდიდატები**

აკვა ე საპონე-კაფე მოკამბო, კერამიკა ფლამინია, კერამიკა პანარია-ნავიგარე, ტინკოფ კრედიტ სისტემსი, ტენაქს-სალმილანო (იტალია)

ასტანა (ყაზახეთი)

ბარლოუორლდი (ბრიტანეთი)

სერამენტი PVC დიკვიჯოვანი-სელე იტალია (ვენესუელა)

ტიმ LPR (შვეიცარია)

**მერაბ ლორთქიფანიძე**




ჯიროს დირექტორი ანჯელო ძომენიანი პრო ტურიდან პირდაპირ კონფერენციაზე წავიდა

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კოლამბუსი-სტ. ლუისი 2:4**

1:1, 1:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ნეში-15 (ვიბორნი-35, ფრიტშე-14), 1:1 გერინი-26 (ჩაიანეკი-23, უეიტი-32), 1:2 ბეკსი-3 (სტემპნიაკი-15, სალვადორი-5), 2:2 სვიტოვი-7 (კლესლა-8, ე. კარტერი-17), 2:3 ბეკსი-4 (მაკლემანი-15, სტემპნიაკი-16), 2:4 დრეიკი-6 (ტკაჩუკი-23).

**ნეშვილი-სან ხოსე 5:0**

2:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 დუმონი-12, 2:0 შ. უებერი-9 (არნოტი-22), 3:0 ერატი-13 (ფიდლერი-9), 4:0 შ. უებერი-10 (ჰამჰუისი-8, სმიტსონი-5), 5:0 ლეგვანდი-20 (ერატი-37, კ. ტიმონენი-29).

**ოტავა-ფლორიდა 4:0**

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ფილიპსი-8 (ვერმეტი-15, კელი-18), 2:0 ფიშერი-11 (შეფერი-22), 3:0 კომრი-14 (ჰიტლი-39, სპეცა-30), 4:0 მაკამონდი-7 (ალფრედსონი-36).

**დალასი-დეტროიტი 1:3**

0:0, 1:0, 0:3

**გოლები:** 1:0 რიბეირო-8 (ი. იოკინენი-19, რობიდასი-15), 1:1 დაციუკი-18 (ზეტერბერგი-32, ჰოლმსტრიომი-20), 1:2 ზეტერბერგი-27 (კრონვალი-16, დაციუკი-37), 1:3 შ[illegible]-9 ([illegible]-16, ზეტერბერგი-33).

**ნიუ ჯერსი-მონრეალი 5:2**

0:1, 3:1, 2:0

**გოლები:** 0:1 სურეი-19, 1:1 რაფალსკი-3 (ელიაში-34, ლანგენბრუნერი-24), 2:1 პარიზე-22 (ბრილინი-19, ზაიაცი-17), 3:1 რაფალსკი-4 (გომესი-34, ელიაში-35), 3:2 სამსონოვი-8 (ს. კოივუ-29, ჰიგინსი-9), 4:2 ელიაში-19 (გომესი-35, რუპი-3), 5:2 ბრილინი-11.

**პიტსბურგი-ჩიკაგო 5:4 (ბ)**

1:1, 2:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 კ. მაკდონალდი-3 (ვრბატა-25, კუკონენი-9), 1:1 პეტროვიცკი-3 (მური-8, ი. რუუტუ-8), 2:1 ტელბოტი-8, 3:1 ულეტი-13 (კრისტენსენი-8), 3:2 შარპი-9 (არხიპოვი-10), 3:3 სტ. პიერი-1 (პარენტო-1, ჰავლატი-23), 3:4 ტ. რუუტუ-13 (ლაპოინტი-6, ოკუანი-9), 4:4 მალკინი-28 (კროსბი-63, სკუდერი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** კრისტენსენი (პიტსბურგი), მალკინი (პიტსბურგი).

**მინესოტა-ვანკუვერი 2:3 (ო)**

0:1, 2:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ნესლუნდი-19 (ბ. მორისონი-19, ს. სალო-17), 1:1 დემიტრა-16 (სკოულა-11, გაბორიკი-10), 1:2 დ. სედინი-24 (ჰ. სედინი-47, პიატი-12), 2:2 გაბორიკი-17 (დემიტრა-27, ვალცი-10), 2:3 ს. სალო-10 (კუკი-9, ბ. მორისონი-20).

## TV სპორტი

**16 თებერვალი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:05** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბრაზილია-პორტუგალია.
**09:50** სპორტინფორმი.
**10:05** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**10:35** სპორტკლუბი.
**10:50** სპორტ-დოსიე.
**11:00** სპორტინფორმი.
**11:10** ბურთის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. რუსეთი-ყაზახეთი. რუსეთი.
**12:50** ფეხბურთი.
**13:12** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
**14:59** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი.
**15:29** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:59** ბურთის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შვედეთი-ფინეთი. რუსეთი.
**17:49** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**18:14** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ვარეგემი-ნიუკასლი.
**20:02** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:45** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი.
**22:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**22:50** სპორტინფორმი.
**23:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-შტუტგარტი (LIVE).
**01:25** სპორტინფორმი.
**01:35** კრივი. რინგ-საიდი.
**02:35** სპორტინფორმი.
**02:48** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:39** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**04:00** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-სან ხოსე (LIVE).
**06:35** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**07:26** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**07:47** სპორტკლუბი.

**EUROSPORT**

**11:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. სტიაუა-სევილია.
**12:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**12:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**13:00** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ჯგუფური ტურნირი. იტალია-კანადა. ავსტრია (LIVE).
**14:00** მულტისპორტი.
**14:15** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-ბელარუსი. ავსტრია (LIVE).
**15:15** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
**17:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა (LIVE).
**20:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სლალომი. I ცდა. შვედეთი (LIVE).
**21:00** სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი (LIVE).
**22:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სლალომი. II ცდა. შვედეთი (LIVE).
**23:45** სნუკერი. უელსის ღია პირველობა (LIVE).
**02:00** საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
**02:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნორვეგია.
**03:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ფინეთის გრან-პრი.
**04:00** საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა.
**15:00** ახალი ამბები.
**16:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ბლექბერნი.
**17:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ჰაპოელი-რეინჯერსი.
**17:45** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ავსტრალია-გერმანია. ვენა. ავსტრია (LIVE).
**18:45** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-ესპანეთი. ვენა. ავსტრია (LIVE).
**20:00** ბალახის ჰოკეი. მსოფლიო თასი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ავსტრია-ბელარუსი. ავსტრია (LIVE).
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
**00:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. სან ხოსე. აშშ (LIVE).
**02:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**02:45** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**03:15** ახალი ამბები.
**03:30** რესტლინგი.
**04:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| პანათინაიკოსი-ეფესი | 84:57 |
| არისი-დინამო | 74:86 |
| მაკაბი-ჟალგირისი | 68:79 |
| ბარსელონა-პროკომი | 92:73 |
| უნიკახა-ბენეტონი | 75:61 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ჰიფკ | 2:1 |
| კალპა-იუვიასკიულა | 4:3 |
| საი პა-ტპს | 1:4 |
| ტაპარა-ილვესი | 2:5 |
| ჰპკ-კერპეტი | 4:6 |
| ესპო-ლუკო | 2:6 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-აიკ | 4:4 |
| ლინკოპინგსი-ფერიესტადი | 3:3 ო.ტ. 3:4 |
| ლულეა-ფრიოლუნდა | 4:1 |
| მორა-მალმიო | 4:3 |
| ჰვ71-მოდო | 3:0 |
| იურგორდენი-ტიმრა | 2:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მარსელი** | |
| სიოდერლინგი-ტ. იოჰანსონი | 6:4, 7:5 |
| ფერერი-ბენეტო | 6:4, 0:6, 1:6 |
| ნიემინენი-მაუ | 6:4, 3:6, 6:3 |
| იუჟნი-სანტორო | 6:7, 6:2, 6:3 |
| ბიორკმანი-სეპი | 6:1, 6:0 |
| ჰიუიტი-სიმონი | 1:6, 2:6 |
| გასკე-ჟიკელი | 7:6, 6:2 |
| ბაღდატისი-სოლნიე | 6:4, 6:3 |
| **ATP. კოსტა დო საუიპე** | |
| ფერერო-დევილდერი | 6:2, 6:4 |
| სტარაჩე-ვასალო არგელო | 7:5, 6:3 |
| ალმაგრო-დლუჰი | 6:3, 6:3 |
| კალერი-მონტანიესი | 3:6, 6:3, 6:4 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| მარეი-პლესი | 6:0, 6:7, 6:4 |
| როდიკი-დანჩევიჩი | 7:5, 6:1 |
| ბლეიკი-კუნიცინი | 6:3, 6:2 |
| ბეკერი-ფაუ | 7:6, 1:6, 6:3 |
| ლი-გრეული | 6:2, 7:6 |
| **WTA. ანტვერპენი** | |
| პეტროვა-ზვონარევა | 7:6, 6:4 |
| დემენტიევა-ლიხოვცევა | 2:6, 1:6 |
| მორესმო-რაზანო | 7:6, 7:5 |
| **WTA. ბანგალორი** | |
| ჩინკი-ჰსიე | 4:6, 7:6, 7:5 |
| მოლიკი-სავჩუკი | 4:6, 6:4, 4:6 |
| მირზა-პუჩეკი | 3:6, 7:5, 6:2 |

# ჩემპიონი, რომელმაც ყველაფერი დაკარგა

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 35*

## ისტორია მესამე: ჯენიკაზე შეშლილი

მას შემდეგ, რაც 26 წლის ასაკში **ბიორნ ბორგი** დიდი ჩოგბურთიდან წავიდა ("სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოფიტვის გამო"), მთელი თავისი ენერგია სექსსა და ბიზნესს დაუკავშირა. ის, თუ როგორ მოახერხა მან ხუთი წლის განმავლობაში 100 მილიონი დოლარის გამომუშავება, ცალკე საუბრის თემაა, ამჯერად კი, გავაგრძელოთ მისი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ თხრობა. ჩოგბურთთან სამუდამოდ განშორების შემდეგ (ყოველ შემთხვევაში, ბიორნს მაშინ ასე ეგონა), ის სამშობლოში დაბრუნდა, სტოკჰოლმის არისტოკრატულ გარეუბანში დიდი ვილა შეიძინა და დედაქალაქის ბოჰემურ სამყაროში გაერია. იმ პერიოდში ბორგის საყვარელი გასართობი ყველანაირი სილამაზის კონკურსებისა და ბიკინი-შოუს ჟიურის წევრობა ან თავმჯდომარეობა იყო. თანაც, ამ სპეციფიური შრომისთვის, რომელიც ნახევრად შიშველი ქალების თვალებით შებმაში გამოიხატებოდა, ბორგი განსაკუთრებულ ჰონორარს ღებულობდა - მას კონკურსის ნებისმიერი მონაწილისთვის შეეძლო პაემანის დანიშვნა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს უარი ეთქვა ლეგენდისთვის. თუმცა არა, ერთხელ ასეთი რამ მართლაც მოხდა. და ამ "ფიასკოს" საბოლოო შედეგი, ჩემი კომპანიონის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და ვნებიანი რომანი გახლდათ.

ეს ისტორია 1984 წლის ივლისის ერთ-ერთ საღამოს დაიწყო, ბიორნისა და მარიანა ბორგის განქორწინებიდან, სულ რაღაც ორიოდ კვირის თავზე. "გათავისუფლების" ფურცელის მიღების შემდეგ, ბორგმა ცხოვრებით ტკბობა გაორმაგებული ენერგიით გააგრძელა. იმავე საღამოს, ტრადიციისამებრ **კრის გუსტაფსონთან** ერთად, "ბულვარის" პრესტიჟულ დისკოთეკაზე გაემართა, სადაც Topless Lady-ის მორიგ კონკურსზე ჟიურისთვის ეხელმძღვანელა. სწორედ იქ შეხვდა ის თავგადასავლების ნორჩ მაძიებელ **ჯენიკა ბიორლინგს**.

მიუხედავად ასაკისა (ჯენიკა ჯერ 18 წლისაც არ იყო), გოგონას ცხოვრებაში ბევრი რამ ჰქონდა ნანახი. ბორგის მომავალი შეყვარებულის ბავშვობამ სტოკჰოლმის ერთ ღარიბ უბანში ჩაიარა, სადაც დედამისს გამყიდველად ორ სმენად უწევდა მუშაობა, რათა სამი ქალიშვილი ერჩინა (ჯენიკას მამამ ოჯახი ბოლო შვილის დაბადების შემდეგ მიატოვა). მართალია, ჯენიკა დებს შორის უფროსი იყო, მაგრამ დედისთვის დახმარებას ნაკლებად ცდილობდა. გრძელფეხება ქერა გოგონას ყველაზე ძალიან სწორედ სახლის საქმეების კეთება ეჯავრებოდა. მაგალითად, მას ვერაფრით აიძულებდი საუზმის შემდეგ ჭურჭლის დარეცხვას. ჯენიკა საშინლად სწავლობდა: რვა წელი სკოლაში სიარულის მიუხედავად, მან მაინც ვერ ისწავლა ინგლისური, რაც შვედისთვის არადამახასიათებელი იყო. სამაგიეროდ, სკოლაში ჯენიკაზე უკეთესად არავინ ცეკვავდა - გოგონა მთელ საღამოებს დისკოთეკებსა და ღამის კლუბებში ატარებდა. ადრე დაქალებულმა ჯენიკამ ქალიშვილობის დაკარგვა 14 წლის ასაკში მოახერხა, 16 წლისას კი, ერთდროულად რამდენიმე მეგობარი ჰყავდა. ცეკვებსა და ორგიებს შორის პაუზებისას, მან გამონახა დრო და პარიზში ჩავიდა - სახელგანთქმული სააგენტო "ელიტის" სინჯებში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ დილიდან საღამომდე პოდიუმზე სიარული და კამერების წინ პოზირება, ზარმაც ჯენიკას იმდენად დამღლელი ეჩვენა, რომ ნახევარი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, თანაც კონკრეტული მიზნით: მოეხიბლა ვინმე მდიდარი მამაკაცი. სრულიად შემთხვევით, იმ საღამოს ბიკინის კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე ავად გახდა და ორგანიზატორებმა იქვე უსაქმოდ მოყიალე ჯენიკას სთხოვეს პოდიუმზე ასვლა. ეს უკანასკნელიც, მრავალფეროვნების გამო, დათანხმდა და რას წარმოიდგენდა, რომ ეს კონკურსი მთლიანად შეცვლიდა მის ცხოვრებას.

იმისთვის, რომ ქალი მოსწონებოდა, ბორგს დიდი დრო არ სჭირდებოდა ხოლმე - საკმარისი იყო ერთი შემაფასებელი მზერა. ასე მოხდა ამჯერადაც. დაინახა რა პოდიუმზე ქერათმიანი ლამაზმანი, რომელსაც ფეხები კისრიდან ეწყებოდა და თანაც მეტად გამომწვევი ბიკინიც ეცვა, ბორგი წამოწითლდა და თვალი ველარ მოაშორა ჯენიკას. როცა კონკურსის შედეგების შეჯამების დრო დადგა, აღმოჩნდა, რომ ჯენიკას მიხვრა-მოხვრა ჟიურის წევრთაგან უმაღლესი ქულით, "ხუთიანით" მხოლოდ ბორგს შეუფასებია, დანარჩენებმა კი, უფრო ობიექტურებმა "სამიანები" ჩამოუწერეს მას. ამის გამო, ჯენიკა კონკურსის ფინალისტთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ წყენა დიდხანს არ გაჰყოლია - კონკურსის დასრულებისთანავე მას კრისტოფერ გუსტაფსონი მიუახლოვდა და წარმოსთქვა ფრაზა, რომელიც ბოლო წლებში ათასჯერ მაინც ექნებოდა ნათქვამი: *"გოგონა, თქვენმა სილამაზემ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს საუკეთესო მეგობარზე, რომ მას ძალიან მოუნდა თქვენი გაცნობა! სხვათა შორის, მას ბიორნ ბორგი ჰქვია!"* ამ ფრაზამ ჯენიკაზეც მოახდინა გავლენა - მან მოულოდნელობისგან პირი გააღო და ჩაიჩურჩულა: *"ნუთუ ის ბორგი?"* ალბათ, სწორედ იმ დროს ჯენიკას თავში შესანიშნავმა იდეამ გაუელვა - გამოეჭირა საჩოგბურთო მილიონერი. ამ გეგმის განხორციელებას ის იმწამსვე შეუდგა.

როცა კრისმა, ძველი ტრადიციისამებრ გოგონა სტოკჰოლმის სასტუმრო "პლაზას" მუდმივად დაქირავებულ ნომერში დაპატიჟა, ჯენიკამ მოჩვენებითი გაკვირვება გამოხატა: *"ჩვენ იქ მარტონი ვიქნებით?"* *"არა, ყველანი ერთად, რამდენიმე ბიჭი და გოგო წამოვა!"* - დაამშვიდა ის კრისმა. "ეს კარგი! მაგრამ მაინც, დედაჩემს უნდა ვთხოვო ნებართვა!" - თქვა ჯენიკამ და სატელეფონო ჯიხურისკენ გაემართა. ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, თანაც არა მარტო, არამედ მეგობართან - სათვალიან, ულვაშებიან, შეუხედავ გოგოსთან ერთად. *"დედამ ნება დამრთო, მხოლოდ ერთი პირობით - ჩვენთან ერთად ჩემი კუზინა მონიკაც უნდა წამოვიდეს"* (როგორც შემდეგ გაირკვა, ჯენიკამ მოიტყუა - იმ საღამოს მას დედასთან არ დაურეკავს). კრისს, რომელსაც მეგობრისგან მიღებული ჰქონდა დირექტივა - ნებისმიერი ხერხით გოგონას ნომერში შეტყუება, ისღა დარჩენოდა თან ეთრია "ულვაშებიანი ბალასტი".

მრავალსაათიანი საღამოს დროს, ჯენიკა წარმატებით თამაშობდა თავის პარტიას: საუბრობდა ახალ შეძენილ მეგობრებთან, მსუბუქი ფლირტი ჰქონდა იქ მყოფ უცნობ ბიჭებთან და რაც მთავარია, მასპინძელს ზედაც არ უყურებდა. ახალი ნაცნობის ასეთმა უჩვეულო ქცევამ, თავის თავზე შეყვარებული ჩოგბურთელი მეტად ჩააფიქრა. მთელი საღამო ის ოთახის შორეულ კუთხეში იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ლუდს მიირთმევდა და თვალს არ აშორებდა ჯენიკას.

მას შემდეგ, რაც საათმა თორმეტჯერ ჩამოკრა, საღამოს მონაწილეები ორგანიზებულად დაიშალნენ და სულ მალე ოთახში ბორგისა და ჯენიკას გარდა არავინ დარჩა (თუ არ ჩავთვლით ულვაშებიან მონიკას). თუმცა, ეს უკანასკნელი დიდ ხიფათს არ წარმოადგენდა, რადგან გუსტაფსონის ძალისხმევით, ის ამ ქვეყანას არ იყო - კრისის საფირმო კოქტეილის (ტეკილას, ჯინისა და ლუდის ნაზავი) მიღების შემდეგ, სავარძელში იყო მისვენებული. ჯენიკასთან ერთი ერთზე დარჩენილმა ბორგმა, თავი გაცილებით დამაჯერებლად იგრძნო და გოგონა ორაზროვანი კომპლიმენტებით აავსო, რომელთა შორის ყველაზე უწყინარი ფრაზა ასე ჟღერდა: *"შენ შესანიშნავი სხეული გაქვს და მინდა შიშველი გიხილო ჩემს საწოლში!"* როგორც წესი, მსგავსი თხოვნა ყოველთვის ჭრიდა ხოლმე და გოგონები გახდას იწყებდნენ, მაგრამ საკუთარი ასაკისთვის შეუფერებლად გამოცდილი ჯენიკას გეგმებში სრულიადაც არ შედიოდა სექსი პირველივე პაემანის შემდეგ. ამიტომაც, მან უკარება ქალიშვილის როლი ითამაშა, რასაც ხშირად აკეთებენ ხოლმე ეშმაკი ქალები, როცა მდიდარი მამაკაცის ხელში ჩაგდება სურთ ხოლმე. *"როცა ბორგმა გახდა შემომთავაზა, სახეში გავარტყი, უგონო მონიკას ხელი ვტაცე და გასასვლელისკენ გავემართე, თანაც ათასგვარი სალანძღავი სიტყვებით შევამკე ის,"* - დიდი ხნის შემდეგ, სიცილით მიყვებოდა ამ ამბავს ჯენიკა.

ასეა თუ ისე, გოგონამ თავის მიზანს მიაღწია - ბორგმა საერთოდ დაკარგა თავი და მოსვენება. განცდილი კრახის შემდეგ, ჩემპიონმა მოულოდნელად ალმართული ბარიკადების მეთოდურად ნგრევა დაიწყო. დილით გამოფხიზლებულმა, მან ყვავილების მაღაზიაში დარეკა, ჯენისთვის წითელი ვარდების თაიგული შეუკვეთა და თან წარწერაც დაურთო: *"პატიებას ვითხოვ! მომეცით ყველაფრის გამოსწორების შანსი! შენი ბ.ბ."* ეს პირველი ნაბიჯი უპასუხოდ დარჩა. მაშინ, მეორე დილით ბიორნმა უკვე 50 ყვითელი ვარდი გაუგზავნა "უკარებას". და კვლავ სიჩუმე! ბრძოლის მესამე დღეს, ჩემპიონი თავად გაემართა ჯენიკას სახლში, მისი "მერსედესი" სავსე იყო ყვავილებით, იქვე იყო დიდი სათამაშო დათვი, რომელსაც კისერზე დიდი პლაკატი ჰქონდა ჩამოკიდებული: "ჯენიკა, მე შენ მიყვარხარ!" მხოლოდ ამ ჟესტის შემდეგ მოლბა ამაყი ჯენიკა და დათანხმდა სტოკჰოლმის ერთ-ერთ ძვირფას რესტორანში ბორგთან ერთად სადილს.

მომდევნო კვირა კულინარიული კუთხით განვითარდა: მათ უამრავი რესტორანი მოიარეს, მაგრამ ბორგმა მთავარ მიზანს მაინც ვერ მიაღწია! ჯენიკა კვლავინდებურად დისტანციას იცავდა და კავალერს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა, მისთვის ლოყაზეხანდახან ეკოცნა.

დრო გადიოდა და ბორგი ნელ-ნელა დეპრესიულ მდგომარეობას უახლოვდებოდა. ჩემპიონს დახმარების ხელი ძველმა მეგობარმა კრის გუსტაფსონმა გაუწოდა. გამოცდილ "მაჭანკალს" თავში ბრწყინვალე იდეამ გაუელვა - კრუიზი მათი საკუთარი იახტით სტოკჰოლმიდან გიოტებორგამდე, კოპენჰაგენში შევლითა და შინ სამი დღის შემდეგ დაბრუნებით. და მართლაც, იდეა შესანიშნავი იყო: გარდა სექსისა, სხვა რა უნდა ეკეთებინათ ორ ახალგაზრდა ადამიანს ცარიელ იახტაზე, რომელიც ავტოპილოტით ცურავდა?! მაგრამ ეშმაკმა ჯენიკამ ამჯერადაც ყველაფერი გააფუჭა - მან კვლავ თავისი მახინჯი ნათესავი , მონიკა იახლა თან. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ბორგის დამანჭული სახე, როცა გოგონას ეს სიტყვები გაიგონა: *"დედამ მხოლოდ მონიკასთან ერთად გამომიშვა ამ კრუიზში"*. მთელი სამი დღე, ბორგი იძულებული იყო, ვიწრო დივანზე დაეძინა კაიუტ-კომპანიაში, გოგონებისთვის კი, საკუთარი კაიუტა დაეთმო თავისივე გრანდიოზული საწოლით. ფიქრი იმის შესახებ, რომ ასე სასურველ ჯენიკასგან მას მხოლოდ ერთი თხელი კედელი აშორებდა, მოსვენებას არ აძლევდა ვიკინგს. ამ სამი დღის განმავლობაში ბორგს თვალი არ მოუხუჭავს.



ჯენიკამ ბორგს შვილიც გაუჩინა

როცა კრისმა მორიგი ფიასკოს შესახებ შეიტყო, შეეცადა მეგობარი დაეწყნარებინა: *"მართალია შენ მისი გული ვერ მოინადირე და ეს დიდი მინუსია, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ერთი პატარა პლუსიც არსებობს - ამ ორი კვირის განმავლობაში ჯენიკას არც ერთი მამაკაცი არ მიახლოვებია. ამიტომაც, მისი დაუფლების შანსები ყოველ დღე იზრდება!"* ამ თითქმის ამოუხსნელი ამოცანის გადასაჭრელად, კრისტოფერმა ახალი გეგმა შეიმუშავა - "ობიექტი" ქალაქგარეთ, ჩოგბურთელის ვილაში გაეყვანათ, რომელიც ბორგმა ჯერ კიდევ 1978 წელს შეიძინა 400 ათას დოლარად, მაგრამ იშვიათად ცხოვრობდა იქ, რადგან ნაზი მარიანა ვერ იტანდა იქაურ კოღოებს. *"იმოქმედე, რაც შეიძლება დამაჯერებლად და ხელგაშლილად!"* - დაარიგა "საქმეზე" მიმავალი მეგობარი გუსტაფსონმა. და ბორგმა გააკეთა ყველაფერი, რაც მის ძალებს შეეფერებოდა.

მეორე დღეს, ჯენიკასა და დედამისის პატარა ღარიბ სახლთან უგრძესი ლიმუზინი გაჩერდა, საიდანაც სმოკინგში გამოწყობილი მძღოლი გადმოვიდა და ჯენიკას ოსტერში, ბატონი ბორგის ვილაზე მიპატიჟება გადასცა. დაინტრიგებული გოგონა დაუფიქრებლად ჩახტა მანქანაში, სადაც, უკანა სკამზე ძვირფასი საღამოს კაბა აღმოაჩინა. ნახევარი საათის შემდეგ, ახალ კაბაში გამოწყობილი ჯენიკა კერძო ვერტმფრენების სადგომზე მიიყვანეს, საიდანაც პირდაპირ ვილაზე გადააფრინეს, სადაც მას ბორგი ელოდა. ამ უკანასკნელმა ცხოვრებაში მეორედ ჩაიცვა ფრაკი. ჩოგბურთელის გარდა, გოგონას ორკესტრიც მიესალმა, რომელმაც შეასრულა მელოდია "ვარსკვლავთა ომებიდან". მაგრამ ამით ქალიშვილის გაოცება არ დასრულებულა. წინ იყო ვახშამი 50 კერძითა და მთვარის ქვეშ ნავით გასეირნება, რომლის დროსაც ბიორნმა ჯენიკას პირველი საჩუქარი გაუკეთა - ყელსაბამი უამრავი ბრილიანტით. ასეთი საფუძვლიანი არტმომზადების შემდეგ, ჯენიკას მოთვინიერება ტექნიკის საქმე გახლდათ. იმის შესახებ, რომ გუსტაფსონის გენიალური გეგმა განხორციელდა, მომდევნო დღეს გავიგე, როცა ერთ-ერთი გაზეთის საღამოს ნომერი ვიყიდე. პირველ გვერდს ასეთი სათაური ამშვენებდა: *"ბორგმა ახალი საყვარელი გაიჩინა, სახელად ჯენიკა"*.

**ელენე თვალაბეიშვილი**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდებერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უბულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა